გაზეთი დაარსებულია 1918 წელს,
შაბათი, 18 ივნისი, 2005 წელი.
№143 (5176)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუპილობით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

## ვინ მიუსაჯა პატიმრებს შიმშილი, უძილობა და უჰაერობა?



საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ საპყრობილეში დაუწერელი კანონები არსებობს, თუმცა დღეს, როგორც ციხის გარეთ, ისე გისოსებს შიგნითაც, კანონს ვერც ერთი „სამყარო“ ვერ იცავს. იქაც სრული ქაოსია... ე.წ. „ობშიაკებისთვის“ ადრე თვეში 30 ლარს აგროვებდნენ, დღეს „სტავკა“ 100-150 ლარია. კარგ საკანში მოხვედრა 500 ლარი ღირდა, დღეს 500 დოლარია.

**სად, ვის ჯიბეში მიდის ეს ფული?** იხ. მე-2 გვ.

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2005 წლის 9 ივნისი — ქ. თბილისი

**მ. გელენიძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების, მისი პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ციფრული და გეომეტრიული მოდელირების დეპარტამენტის დოცენტი **მურმან გელენიძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**მიხეილ სააკაშვილი.**

### შეცდომებს ნუღარ გავიმეორებთ

## მივხედოთ სვანეთს, თორემ მერე გვიან იქნება



სვანებს 7.000 წელზე მეტია, მუდმივი საცხოვრისი მიწა-წყალი არ მიუტოვებიათ. მხოლოდ ახლაღა დაუდგათ ეს მწარე ეტაპი. თუ ხელისუფლება ეროვნული გადასახედიდან შეხედავს, სვანეთის ჯერ კიდევ შემორჩენილ მოსახლეობას თავის კერიას არ მიატოვებინებს.

**გამოიჩენს იგი საამისო ნებას და გამჭრიახობას?** იხ. მე-4 გვ.

**ვიზიტი**

## ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში ივლისის მეორე ნახევარში ჩამოვა

**მიხეილ სააკაშვილი ხელმეორედ შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს, რომლის დროსაც გადაწყდა, რომ ვიქტორ იუშჩენკო საქართველოში 15 ივლისისთვის ჩამოვა.**

შემდეგ პრეზიდენტები ტარას შევჩენკოს სახელობის ბულვარზე საქართველოს საელჩოს ახალი შენობის მშენებლობას დაესწრნენ. მშენებლობა 2007 წელს დასრულდება.

მიხეილ სააკაშვილმა და ვიქტორ იუშჩენკომ საელჩოს მაკეტი დაათვალიერეს, შემდეგ შენობის საძირკველში საზეიმოდ ჩადეს ის კაფსულა, რომელშიც დავით აღმაშენებლის საფლავიდან წამოღებულ მიწასთან ერთად უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტების ხელმოწერილი დოკუმენტებია მოთავსებული.

„ეს ისტორიული მომენტია. უკრაინაში ჩემი ცხოვრების პერიოდში ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ კიევის ამ ისტორიულ უბანში დამოუკიდებელი საქართველოს საელჩოს მშენებლობა დაიწყებოდა და მასში მონაწილეობას მეც მივიღებდი“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**„მედია-ნიუსი“.**

## ქართული სახელმწიფოს მაჯისცემა

### უკრაინელები აფხაზეთში შესასვლელად მზად არიან

**უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის ანტონ ბუტეიკოს განცხადებით, უკრაინა აფხაზეთში თავისი სამშვიდობო კონტინგენტის შეყვანას არ გამორიცხავს.**

„უკრაინას მიაჩნია, რომ გაყინული კონფლიქტების მოგვარება არსებული სამშვიდობო ფორმატით ვერ ხორციელდება, ამიტომ უკრაინას ამ პროცესში მონაწილეობა შეუძლია, აცხადებს უკრაინის საგარეო უწყების წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ ახლახან უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოში განიხილებოდა უკრაინული სამშვიდობო კონტინგენტის მთიან ყარაბაღში განლაგების საკითხი.

### დაკარგული კახნიაშვილი ნაღმზე აფეთქდა

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ორი დღის წინათ გაუჩინარებული 70 წლის გოგი კახნიაშვილის ცხედარი სოფელ კეხვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტყიან ადგილებში იპოვეს. წინასწარი მონაცემებით, მის ცხედარს ძალადობის ნიშნები არ აღენიშნება, თუმცა როგორც დადასტურდა, კახნიაშვილი ნაღმზე აფეთქდა. მისი ცხედარი რუსმა მშვიდობისმყოფელებმა იპოვეს, რომლებსაც ადგილზე გამნაღმველების მიყვანაც დასჭირდათ. ტერიტორია, სადაც გოგი კახნიაშვილის გვამი აღმოჩნდა, მთლიანად დანაღმულია, რის გამოც ცხედრის ამოღება გაჭირდა. გამნაღმველები ტერიტორიის თითოეულ მეტრს ამოწმებდნენ, რომლის დროსაც ერთ-ერთი რუსი გამნაღმველი მშვიდობისმყოფელი, აფეთქების შედეგად დაიღუპა.**

ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, რომ ბოლო ორი კვირის განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე თავისუფლად მიმოდიოდნენ და მაშინ ტერიტორია დანაღმული არ ყოფილა. მოსახლეობა, ისევე როგორც, ქართული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ტერიტორიის დანაღმვა ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში მოხდა.

გოგი კახნიაშვილი ორი დღის წინათ გაუჩინარდა. მისი ნათესავების თქმით, ის ტყეში საქონლის მოსარეკად წავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა. მისი ცხედრის პოვნამდე ქართულ-ოსური ძალოვანი სტრუქტურები კახნიაშვილის გატაცების ფაქტს გამორიცხავდნენ.

### ხიდი ისევ ჩაინგრა

**აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან, მდინარე ენგურზე, სოფელ ხურჩასთან დამაკავშირებელი ხიდი ძლიერი წვიმების შედეგად ისევ ჩაინგრა. ხიდი ახლად შეკეთებული იყო. იგი, დაახლოებით, ოცი დღის წინათ აღადგინეს. სოფელში შემოვლითი გზები არ არსებობს, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა რაიონულ ცენტრს მოწყვეტილია. ბლოკირებულია, პოლიციის ქვედანაყოფი, რომელიც ხურჩაშია დისლოცირებული. სოფელში საკვები პროდუქტების შეტანაც ვერ ხერხდება.**

„მოსახლეობა პანიკაშია, რადგან რაიონში მათი გადმოყვანის არანაირი საშუალება არ არსებობს. სოფელი მთლიანად მოწყვეტილია ჩვენს რაიონს, რადგან ეს იყო ერთადერთი დამაკავშირებელი გზა. პირველ რიგში, შევეცდებით ხურჩელებს კვების პროდუქტები მივაწოდოთ, შემდეგ კი საცალფეხო ხიდის აღდგენას დავიწყებთ“, — აცხადებს ზუგდიდის გამგებელი ალეკო ქობალია.

## თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური რისკები



უმძიმესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი „ვარდების რევოლუციით“ გადაწყდა. მაგრამ სიტუაცია პოსტრევოლუციურ საქართველოში მრავალრიცხოვანი ფაქტორ-რისკებით ხასიათდება.

**შეგვწევს ძალა მომხმარებლური ფსიქოლოგიის დასაძლევად, ეროვნული ინტერესებისა და პრიორიტეტების უფრო ღრმად გამოსავლენად, სახელმწიფო აზროვნების გასავითარებლად?**

იხ. მე-3-4 გვ.



## რას ნიშნავს პოეტთა თვითმკვლელობა?



„სიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და ტყვია დაიხალე,
გული გაიხელე, სისხლით გაიხელე,
ოღონდ არ გაბედო, რომ შენ დაიღალე...“

**გალაკტიონი.**

იხ. მე-5 გვ.

**საზღვარგარეთ**



**ბრიტანელმა ბუკმეკერებმა რამდენიმე საათით ადრე „სანამ დედოფალი ელისაბედ II როიალ ესკორტში დოღზე გამოჩნდებოდა, შეაჩერეს ფსონის მიღება მისი ქუდის ფერზე. მართლაც, ძალზე ბევრი ფსონი იყო ყავისფერზე. ბუკმეკერები ეჭვობენ, რომ ვიღაცამ წინდაწინ იცოდა დედოფლის ჩაცმულობის ამბავი.**

* * *



**პენტაგონმა, რომელსაც კონკურენცია აშინებს, სანქციები შემოიღო ისრაელის წინააღმდეგ. კრიზისი ისრაელის იარაღის ჩინეთისთვის მიწოდების გამო წარმოიშვა და მას ბოლო ჯერ არ უჩანს. ისრაელის თავდაცვის უწყების თანამშრომლები აშშ-ს კონფიდენციალურად ადანაშაულებენ, რომ ის მხოლოდ თავისი ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად ირჯება.**

* * *

**კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას განზრახული აქვს დაუბრუნდეს ექვსმხრივ მოლაპარაკებებს. პარასკევს ფხენიანში შეხვედრისას კიმ ჩენირმა სამხრეთ კორეის დელეგაციის მეთაურს განუცხადა, მზად ვარ დავუბრუნდე ექვსმხრივ მოლაპარაკებებს და, საერთოდ, არც არასოდეს გამოვსულვარ იქიდანო.**



**აქცია**

## კვერცხების დაშენა მაშინ გენახათ!

**„წადით, წადით!“, „საქართველო არ იყიდება!..“ ეს ხმაშეწყობილი სკანდირება მთელი კვირაა ისმის ჭოველიძის ქუჩაზე მდებარე სოროსის ოფისთან.**

საქართველოს აწ უკვე ყოფილი სახელმწიფო სამფეროვანი დროშებითა და ტრანსპარანტებით „აღჭურვილი“ ასობით მომიტინგე ანათემას გადასცემს ცნობილ მულტიმილიონერს ჯორჯ სოროსს და მის ქართველ თანამოაზრეებს.

— ამ შენობაში გამყიდველები მუშაობენ, სოროსი და სოროსელები უნდა მოიკვეთონ საქართველოს ცხოვრებიდან. ეს ჩვენს მისიად მიგვაჩნია! — გვითხრა ერთმა მომიტინგემ.

აქციის მონაწილენი ქალბატონი მანანა არჩვაძის თანამოსაგრენი არიან.

ამ დღეებში რომ მათს გვერდით ჯორჯ სოროსს ჩაევლო, კვერცხების დაშენა მაშინ გენახათ!





**სიტუაცია**

## „სპეცნაზი“... „დესერტად?!“



### როდესაც მარჯვენამ არ იცის, რას აკეთებს მარცხენა, თვით კარგ საქმესაც კი შეიძლება ჩრდილი მიადგეს

**ვერაფერი მადის მომგვრელია, როცა ვახშმობისას თავზე ნიღბიანი ახმახები რესტორანსა თუ კაფეში შემოცვივდებიან და ავტომატებით თავზე დაგადგებიან.... არადა, სწორედ ასე წარიმართა მოვლენები ფირმა „ნიკალას“ კუთვნილ ორ სწრაფი კვების ობიექტზე გამსახურდიასა (ე. წ. „ბუკიას ბაღთან“) და რუსთაველის პროსპექტებზე. როგორც აღმოჩნდა, ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველო თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რაც დიდი ოდენობით გადასახადების დამალვის ეჭვთან არის დაკავშირებული, 16 ივნისს ოპერაციას ატარებდა, ხოლო „პოზიციის“ გასამაგრებლად სპეცდანიშნულების რაზმიც წაიყვანა. სპეცრაზმელები ორივე ობიექტში, ერთსა და იმავე დროს, დაახლოებით 20 საათზე, ერთდროულად და ერთნაირი, მხოლოდ მათთვის ჩვეული მანერით შეცვივდნენ, რამაც იქ მყოფ მოქალაქეებში, დიდებსა თუ პატარებში, ფსიქოზამდე მისული პანიკა გამოიწვია... მომხდარმა საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია. მკვეთრი განცხადებები გააკეთეს ქვეყნის პარლამენტის დეპუტატებმა, რომლებიც, სავარაუდოდ, ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელს დაიბარებენ.**

**სწორედ ამ საკითხთან დაკავშირებით ფინანსური პოლიციის უფროსმა დავით კეზერაშვილმა 17 ივნისს საგანგებო ბრიფინგი გამართა, რომელზეც, კერძოდ, განაცხადა:**

მინდა გამოვეხმაურო 16 ივნისს მომხდარ ფაქტს და აღვნიშნო, რომ სავსებით ვიზიარებთ საზოგადოებასა და პარლამენტში შექმნილ აზრს მსგავსი მოქმედებების დაუშვებლობის თაობაზე, — აღნიშნა დავით კეზერაშვილმა. — 16 ივნისს, საღამოს, მოვლენები ასე განვითარდა: სპეცდანიშნულების რაზმი ფინანსური პოლიციის შენობიდან, ცხადია, გასული იყო ჩემი ბრძანებით, მაგრამ ისინი ფირმა „ნიკალას“ სწრაფი კვების ობიექტებიდან მოშორებით ავტომანქანებში უნდა მსხდარიყვნენ და იქიდან ფეხი არ მოეცვალათ, თუკი ამას უკიდურესი აუცილებლობა არ მოითხოვდა. ანუ ვგულისხმობ იმას, რომ თუ „ნიკალას“ ობიექტების დაცვა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს აქტიურ წინააღმდეგობას გაუწევდა.

იხ. მე-2 გვ.

◎ აკრძალული ზონა

# ვინ მიუსაჯა პატიმრებს შიმშილი, უძილობა და უჰაერობა?

**პენიტენციურ სისტემაში არსებულ მძიმე მდგომარეობაზე საუბარს იუსტიციის სამინისტრომ ორი დღე მიუძღვნა. ჯერ მინისტრის მოადგილე ეკა ტყეშელაშვილი ჟურნალისტებს შეხვდა, მერე კი თვით მინისტრი კოტე კემულარია არასამთავრობო სექტორს შეეჭიდა.**

— ვიდრე პატიმრის კვებისთვის დღეში 76 თეთრია გამოყოფილი, მედიკამენტებისთვის — 3 თეთრი, მომსახურე პერსონალის ხელფასი კი 120 ლარია, მანამ ამ სისტემაში არსებული მდგომარეობა ვერ გამოსწორდება, — ამბობს ქალბატონი ეკა და მართალიც არის. გამოდის, რომ სასამართლო უწყებამ პატიმრებს თავისუფლება აღუკვეთა, ხელისუფლებამ კი შიმშილი, უძილობა და უჰაერობა მიუსაჯა.

ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები 76 თეთრს ერთ ბუტერბროტზე ვერ იკმარებენ, არათუ სადილვახშამზე. ავადმყოფობის შემთხვევაში კი, ეჭვი არ მეპარება, სხვადასხვა ძვირადღირებულ მედიკამენტს იღებენ. არსებული სტატისტიკით, საქართველოს თითოეული მოქალაქე წამლებზე დღეში საშუალოდ 15 თეთრს ხარჯავს, ანუ 5-ჯერ მეტს, ვიდრე პატიმრისთვის არის განკუთვნილი. პატიმარი კი მწვავე დაავადების შემთხვევაში შეიძლება უწამლობით მოკვდეს. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მონაცემებით, შარშან 42 პატიმარი გარდაიცვალა, 2005 წლის პირველ კვარტალში კი — 12. ბოლო შემთხვევა ორი დღის წინათ მოხდა, როცა ქუთაისის №2 საპყრობილის პატიმარი სხვათა უყურადღებობით და მედიკამენტების უქონლობის გამო ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. მოკლედ, დღევანდელი სიტუაცია დაცინვაა და სხვა არაფერი.






საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ საპყრობილეში დაუწერელი კანონები არსებობს, თუმცა დღეს, როგორც ციხის გარეთ, ისე გისოსებს შიგნითაც, კანონს ვერც ერთი „სამყარო“ ვერ იცავს. იქაც სრული ქაოსია... ე. წ. „ობშიაკებისთვის“ ადრე თვეში 30 ლარს აგროვებდნენ, დღეს „სტავკა“ 100-150 ლარია. კარგ საკანში მოხვედრა 500 ლარი ღირდა, დღეს 500 დოლარია.

სად მიდის ეს ფული?

სახალხო დამცველის მოადგილის ბაჩო ახალაიას განცხადებით, „ობშიაკები“ არის დადასტურება იმისა, თუ რა სახით იჩაგრება პატიმრების დიდი ნაწილი კანონიერი ქურდების მიერ. ისინი ამას ადმინისტრაციასთან შეთანხმებით ახორციელებენ. მისივე თქმით, ციხის ყველა დაწესებულებაში არსებობს საკნები, სადაც კანონიერი ქურდები, ავტორიტეტული ადამიანები იმყოფებიან (ასეთი არაერთი საკანი ჟურნალისტებსაც გვინახავს), ხოლო დანარჩენი ხალხი საკანში ღორებივით არიან შეყრილი.

თეა თუთბერიძე და შოთა კოპაძე.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი თეა თუთბერიძე საუბრობს, რომ „რესბალნიცაზე“ მყოფი პატიმრების დიდი ნაწილი ჯანმრთელობას არ უჩივის. ისინი თანხას იხდიან და სანატორიულ მდგომარეობაში არიან.

საზოგადოება კარგა ხნის წინათ დაინტერესდა, თუ სად, ვის ჯიბეში მიდის ეს ფული. პასუხის მოძებნა იოლი ნამდვილად არ აღმოჩნდა. უფრო ხშირად კი თითს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძისაკენ იშვერენ. ამბობენ, რომ ვიდრე კოპაძე ამ სისტემაშია, მანამ საშველი არ იქნება. თავად შოთა კოპაძე ამ საკითხზე ასეთ კომენტარს აკეთებს: — თუ ჩემს მიმართ რაიმე დადასტურებული ბრალდება არსებობს, მაშინ სათანადო გადაწყვეტილებას მივიღებ, ყველა ოფიციალურ ბრალდებას პასუხს გავცემ. ჯერჯერობით კონკრეტული ფაქტი ჩემს მიმართ არაფერი მსმენია, გარდა იმისა, რაც ახასიათებს პენიტენციურ სისტემას თავისი არსებობის მანძილზე.

ისე კი, ბატონი შოთა თანხებს უკანონოდ თუ მართლა ითვისებს, მაშინ საინტერესოა ამ თანამდებობაზე ამდენ ხანს როგორ გააჩერეს. ყველას კარგად გვახსოვს, ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე როგორ დატრიალდნენ გენპროკურორი, შსს მინისტრი და კორუმპირებულ ჩინოვნიკებსა თუ უბრალო მოხელეებს თავი საპყრობილეში უკრეს. იმასაც ამბობენ, კოპაძე თანხებს „ზემოთ“ ანაწილებსო. თუმცა არასამთავრობოებს ამ ფაქტის დადასტურება უჭირთ. სამაგიეროდ, აქტიურად საუბრობენ იმაზე, თუ რატომ არ ხსნიან კოპაძეს თანამდებობიდან. და ვისთვის არ არის ხელსაყრელი ეს. ბაჩო ახალაიას თქმით: — ვიღაცეებს რაღაცეების ეშინიათ და გადაწყვეტილებას ვერ იღებენ?

— ბატონო ბაჩო, ვინ არიან ეს ვიღაცეები?

— ხელისუფლებას თვით კოპაძესი, კანონიერი ქურდების, მთლიანად კრიმინალური სამყაროს ეშინია.

თეა თუთბერიძე კი ამბობს: — პრეზიდენტს აშინებენ და ეუბნებიან, რომ კოპაძის თანამდებობიდან მოხსნის შემთხვევაში პატიმრები აბუნტდებიან, ციხეებიდან გაიქცევიან, სიტუაცია უმართავი იქნება. პრეზიდენტი კი ცდილობს — სანამ ახალი ციხე არ აშენდება, მანამ კოპაძემ თანამდებობა შეინარჩუნოს. თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანას სახელმწიფო არ ჰქვია.

ამ ეტაპზე იუსტიციის სამინისტროს მზად აქვს კონცეფცია, რომელიც პენიტენციური სისტემის რეფორმას უკავშირდება. საამისოდ იუსტიციის მინისტრი 2006 წლის ბიუჯეტში 121 მილიონს ითხოვს.

2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან (გრანტებისა და კრედიტების ჩათვლით), იუსტიციის სამინისტროსთვის 40 მილიონი ლარია გათვალისწინებული. კოტე კემულარიამ პრეზიდენტის წინაშე დააყენა საკითხი წლევანდელი ბიუჯეტის 14 მილიონი ლარით გაზრდის შესახებ, რის წყალობითაც სასჯელაღსრულების სისტემაში დასაქმებულ მედიცინის მუშაკებს ხელფასები გაეზრდებათ.

ცვლილებებია ინფრასტრუქტურაშიც. ქუთაისის 1500-ადგილიანი საპყრობილის მშენებლობა, რომლისთვისაც 10 მილიონი ლარი დაიხარჯა, აგვისტოში დასრულდება. მისი გახსნისთანავე გაუქმდება ქუთაისის ცენტრში მდებარე საპყრობილე.

ივნისის ბოლოს ავჭალის დაწესებულება გაიხსნება. შენობა 250 პატიმარზეა გათვლილი, რემონტისათვის 135 ათასი ლარი დაიხარჯა. აგვისტოს ბოლოს 100-ადგილიანი არასრულწლოვანთა საპყრობილის მშენებლობა დასრულდება, რისთვისაც 825 ათასი ლარი დაიხარჯა. რუსთავის №6 საპყრობილის მშენებლობაც აგვისტოში დამთავრდება, მასზე ევროკავშირის პროექტით გამოყოფილი მილიონ ორასი ათასი ევრო დაიხარჯა, იგი 900-ადგილიანია და მხოლოდ მისჯილებს მოათავსებენ.

გადატვირთული №1 საპყრობილიდან რუსთავსა და ქუთაისში პატიმრებს არ გადაიყვანენ. მათ კიდევ ერთი ახალი საპყრობილის აშენებამდე ლოდინი მოუწევთ, იდეა უკვე არსებობს, — მშენებლობას თბილისში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყებენ, საპყრობილე 3000-ადგილიანი იქნება. ამჟამად მიმდინარეობს ადგილის მოძებნა და ფინანსების გამონახვა. მანამდე კი ჩვენი პატიმრები ისევ გაუსაძლის პირობებში იქნებიან.

**ლელა ხვადაგიანი.**

◎ სიტუაცია

# „სპეცნაზი“... „დესერტად?!“

(პირველი გვერდიდან)

ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ „ნიკალას“ ორივე ობიექტის დაცვას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ადგილზე მყოფმა უფროსებმა, იმათ, ვინც აღნიშნულ ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდა, პირადად ჩემთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სპეცდანიშნულების რაზმი ოპერაციის დაწყებისთანავე, ჩაერთოთ მის მსვლელობაში, რაც, ბუნებრივია, სრულიად მიუღებელია.

**— ფინანსური პოლიციის სახელით საზოგადოებრიობას ბოდიში მინდა მოვუხადო იმის გამო, რაც 16 ივნისს ფირმა „ნიკალას“ სწრაფი კვების ობიექტებში მოხდა და განვაცხადო, რომ წარმოებს სამსახურებრივი მოკვლევა, რომელიც დაადგენს იმის მიზეზებს, თუ რატომ განვითარდა მოვლენები ასე აღმაშფოთებლად, და კერძოდ, ვინ გასცა ბრძანება კაფეებში სპეცდანიშნულების რაზმის შეყვანის თაობაზე. ეს პიროვნებები მკაცრად დაისჯებიან და არც ის არის გამორიცხული, რომ დადგეს მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი,** — განუცხადა დავით კეზერაშვილმა მასმედიის წარმომადგენლებს.

ჟურნალისტების შეკითხვებზე მან უპასუხა, რომ 16 ივნისის ოპერაციას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ საგამოძიებო დეპარტამენტისა და ქალაქის მთავარი სამმართველოს უფროსები. მან ასევე აღნიშნა, რომ მუშაობა საზოგადოებრივი კვების ობიექტებთან კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ სპეციალური დანიშნულების რაზმი არავითარ შემთხვევაში არ იქნება გამოყენებული.

— იმის თაობაზე კი, თუ რატომ გამოიყენეს სპეცდანიშნულების რაზმი, წინასწარ ასეთი პასუხი მივიღეთ: ოპერაცია, ფაქტობრივად, ელვისებური სისწრაფით უნდა ჩატარებულიყო, ვინაიდან იქ დამონტაჟებული



კომპიუტერული პროგრამა საშუალებას იძლევა ჩვენთვის მეტად საჭირო ინფორმაცია ღილაკზე ერთი თითის დაჭერით წაშლილიყო. ამიტომ, როგორც ამიხსნეს, ორი წუთით შეფერხებაც კი მთლიანად ღონისძიების ჩაშლის მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო, — აღნიშნა ფინანსური პოლიციის უფროსმა.

კითხვაზე, თუ რა გახდა „ნიკალას“ ობიექტებზე აღნიშნული ოპერაციის ჩატარების მიზეზი, დავით კეზერაშვილმა უპასუხა, რომ ორიოდე კვირის წინათ ფინანსურმა პოლიციამ ანალოგიური ოპერაცია ჩაატარა „ნიკალას“ მსგავს ორგანიზაციაში, დავით აღმაშენებლის პროსპექტზე სწრაფი კვების ობიექტ „მარენოში“ და აღმოჩნდა, რომ იქაც ზუსტად იმნაირი კომპიუტერული პროგრამა იყო დამონტაჟებული, როგორიც „ნიკალაში“ მოქმედებდა. მიღებული წინასწარი ინფორმაცია სავსებით დადასტურდა და დადგინდა, რომ იქ ბიუჯეტს დაახლოებით 600 ათასი ლარის ოდენობის გადასახადები დაუმალეს. არადა, თავად „ნიკალა“ იმ ფირმაზე დაახლოებით 5-6-ჯერ მსხვილი კომპანიაა. ამდენად, თუკი წინასწარი მონაცემები გადასახადების დამალვასთან დაკავშირებით გამართლდა, მათი მასშტაბის წარმოდგენა ძნელი არ არის. თუმცა, ფინანსურ პოლიციას აქვს დამადასტურებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სალარო-საკონტროლო აპარატები „ნიკალაში“ ისე არ მუშაობდა, როგორც წესით უნდა ემუშავათ, აღნიშნა ფინანსური პოლიციის უფროსმა და დასძინა, რომ მზად არის, მივიდეს პარლამენტში და გასცეს პასუხი ყველა შეკითხვას.

მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც: გამორიცხული არ არის, რომ ორივე შემოწმებულ ფირმასთან საგადასახადო ინსპექციის ზოგიერთი თანამშრომელიც კორუფციულ გარიგებაში იყოს გარეული, რის გამოც ორი პირი უკვე დაკავებულია, აღინიშნა ბრიფინგის მიწურულს.

**ოთარ ტურაბელიძე.**

◎ ერიჰაა!

# „ბერიკაობა“ კაფეში

## ბიუჯეტს ვავსებთ თუ შოუს ვაწყობთ?!

**ასეთი კითხვა მარტო მე კი არა, ალბათ ყველას გაუჩნდა, როცა გუშინწინ საღამოს კაფე „ნიკალაში“ გამართული „ბერიკაობის“ მომსწრე გახდა, ჰო, თავიდან, ვინც კი ტელევიზორით უყურებდა ამ „სპექტაკლს“, საბერიკაოდ განეწყო, მაგრამ მერე ნიღბიანებმა იარაღის ჟღარუნი რომ ატეხეს, ყველას ფერი ეცვალა. განსაკუთრებით მათ, ვინც ამ ობიექტში მეგობართან, ოჯახთან, შეყვარებულთან, შვილთან თუ შვილიშვილთან ერთად იყო მისული. მათ, ბუნებრივია, იფიქრეს, ბანდიტები, შეიარაღებული ყაჩაღები დაგვესხნენ თავსო და აღარავინ უწყოდა, ვინ საით გარბოდა!**

მერე ტელემაყურებლები კი დაგვამშვიდეს, არ შეშინდეთ, ესენი ყაჩაღები კი არა, ფინანსური პოლიციის მუშაკები არიან, ოპერატიული ინფორმაცია აქვთ, რომ „ნიკალა“ ბიუჯეტს კუთვნილ თანხებს უმალავს და ამის გამოსააშკარავებლად ეწვივნენო, მაგრამ რაღა დროს. ჩემ მტერს ასეთი წვეულება! იქაურ მუშაკებს და საქეიფოდ თუ დასასვენებლად მისულ მოქალაქეებს კი კინაღამ ინფარქტი დამართეს და...

შე მამაცხონებულო, პოლიციელი ხარ, მაკონტროლებელი თუ ვიღაც ბლაღოჩინი, ჯერ კარგად მოიფიქრე, რის გაკეთებას აპირებ, კანონი რის უფლებას გაძლევს, რისას არა და მერე ამის მიხედვით იმოქმედე. ვინ მოგცა იმის უფლება, რომ რესტორანში თუ კაფეში შესულს თავზე მეხივით მატყდები და დაგეგმილ საღამოს, რომელიც მშვიდად უნდა გამეტარებინა, მიმწარებ და მიუგემურებ?

რა თქმა უნდა, ფინანსური პოლიცია იმისთვის არის მოწოდებული, რომ მას, ვინც სახელმწიფო ბიუჯეტს შემოსავალს უმალავს, შეამოწმოს და კანონის წინაშე პასუხი აგებინოს, მაგრამ ასეთი ფორმით? მას ხომ შეეძლო უაურზაუროდ, უსპეცნაწოლოდ, იარაღის უჟღარუნოდ შესულიყო ობიექტში, დაელუქა სეიფი, ამოეღო საჭირო დოკუმენტები, ის პროგრამაც კომპიუტერიდან, რომელიც თურმე დიდ ფულს „უტეხავს“ სახელმწიფოს და უამური ცხოვრებით ისედაც ნერვებდაწყვეტილი და გაღიზიანებული საზოგადოება კიდევ ერთხელ არ გაეღიზიანებინა?

მაშინ ალბათ გუშინდელ ბრიფინგზე ფინანსური პოლიციის უფროსს დავით კეზერაშვილს არც საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდა დასჭირდებოდა და არც იმათ დასჯაზე საუბარი, ვინც სავაჭრო ობიექტის შემოწმება შეიარაღებული სპეცნაზის თანხლებით გადაწყვიტა. მით უფრო, რომ, როგორც ბატონი კეზერაშვილი აცხადებს, არც ობიექტის ხელმძღვანელებს და არც იქაურ დაცვას მათ წინააღმდეგ არც ბარიკადები აღუმართავთ და არც ცეცხლი გაუხსნიათ.

თუ არავინ გეწინააღმდეგება და პისტოლეტს არავინ გესვრის, მაშ რას ფაფხურობ, ჩვენო ძმაო და მეგობარო, — ავტომატიანო ფინანსურო პოლიციელო? ჩააგე ხმალი და მშვიდად, კანონის ფარგლებში იმოქმედე! ეს არის და ეს, როგორც ჩვენი პრეზიდენტი გვმოძღვრავს ხოლმე, რის თქმაც გვინდოდა.

**ოთარ ხუციშვილი.**

◎ ინფორმაცია

## ნინო ბურჯანაძე ფინანსური პოლიციის სპეცოპერაციას გმობს



**ფინანსური პოლიციის მიერ სწრაფი კვების ქსელ „ნიკალას“ ორ რესტორანში სპეცოპერაციის ჩატარებას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უარყოფითად აფასებს და აცხადებს, რომ ამ ფაქტმა მისი უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია.**

**„ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ სპეცრაზმის შეყვანის გარეშე ვერ მოხერხდება იმ ოპერაციის ჩატარება“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც მომხდართან დაკავშირებით პროტესტი როგორც ოპოზიციის, ისე უმრავლესობის წევრებმა გამოთქვეს.**

**სპეცოპერაციის დროს სწრაფი კვების ობიექტებიდან დოკუმენტები და კომპიუტერი ამოიღეს. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ „ნიკალას“ ხელმძღვანელობა სახელმწიფოს გადასახადებს უმალავს.**

## საფრანგეთის საელჩო თავს დამნაშავედ არ მიიჩნევს

**საფრანგეთის საელჩო პასუხისმგებლობას არ იღებს იმის გამო, რომ საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები შვეციაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის ჩასატარებლად ვერ გაემგზავრა.**

**„იმაში, რომ საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები შვეციაში ვერ გაემგზავრა, საელჩო დამნაშავე არ არის“, — განაცხადა საქართველოში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ფილიპ ლეფორმა. როგორც ელჩმა განმარტა, „საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ შვეციიდან მიწვევა აპრილის ბოლოს მიიღო, მაგრამ შენგენის ვიზების გაცემის შესახებ ქართული მხარის შესაბამისი თხოვნა საქართველოში საფრანგეთის საკონსულომ მხოლოდ ივნისის დასაწყისში მიიღო“.**

**ელჩის განცხადებით, საქართველოს ფრენბურთის ფედერაციამ 8 ივნისს 10 განაცხადი წარადგინა შენგენის ვიზების მისაღებად. მითითებულ გვარებს შორის ხუთმა საკონსულოს ეჭვები გაუჩინა, რადგან ამ პირებს ადრე უკვე უთხრეს უარი შენგენის ზონის ორ ქვეყანაში ვიზების გაცემაზე. საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შემდეგ 13 ივნისს საკონსულომ საბოლოოდ მაინც გასცა 10-დან 8 ვიზა.**

**„ვიზის გაცემაზე უარის თქმა ან მათი გაცემა ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენული უფლებაა საერთაშორისო სამართლის თანახმად, ხოლო საფრანგეთის საელჩო ვიზების გაცემის პროცესში თვითნებურად კი არ მოქმედებს, არამედ მოქმედებს შენგენის შეთანხმებისა და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში“, — აღნიშნა ელჩმა. ამასთან, მისი თქმით, ვიზის გაცემაზე უარის შემთხვევაში, მოქმედი რეგლამენტის თანახმად, საელჩო ვალდებული არ არის განმარტოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.**

**საფრანგეთის ელჩმა ასევე განაცხადა, რომ საქართველოს ფრენბურთის ფედერაციას უფლება აქვს, საელჩოს მოქმედება საფრანგეთის კომპეტენტურ სასამართლო ინსტანციებში გაასაჩივროს.**

## 20 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა



**წყალდიდობის შემდეგ დუშეთში 20 ოჯახი უსახლკაროდ არის დარჩენილი. 200-მდე ოჯახს კი ღვარცოფი სახლებში შეუვარდა და პირველი სართულები სერიოზულად დაუზიანა.**

**სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა თავს ახლობლებსა და მეზობლებს აფარებს. ზარალის ოდენობა, სავარაუდოდ, 10 დღეში გახდება ცნობილი.**

**როგორც „მედია-ნიუსს“ დუშეთის რაიონის გამგებელმა გოდერძი ბერბერაშვილმა განუცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაზარალებულ რაიონს სხვადასხვა დასახელების კვების პროდუქტი და ტანსაცმელი გაუგზავნა. რაიონშივე აღდგენით სამუშაოებში ამავე სამინისტროს ორი ავტომობილი მონაწილეობს.**

**ბერბერაშვილის თქმით, სოფლებში მისასვლელი გზებისა და ხიდების აღსადგენად გადაუდებელი სამუშაოები უკვე დაწყებულია.**

**მედია-ნიუსი.**

◎ ცხინვალის რეგიონი

# სისხლი სისხლით არ მოიბანება

**ყველა ამ აზრს გამოთქვამდა უღიარებელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ედუარდ კოკოითის მიერ ცხინვალში მოწყობილ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც 29 მაისს თამარაშენი-ცხინვალის საზღვარზე მომხდარი ინციდენტის დროს დაღუპული ოსების ახლობლები, ისე ამ დღეებში უგზო-უკვლოდ დაკარგული ქართველი ხაჭაპურიძეების მშობლები, და-ძმები, მეუღლეები. ისინი ერთმანეთის მოპირდაპირედ უსხდნენ მრგვალ მაგიდას: ერთნი ღრმა ძაძებით შემოსილნი, მეორენი — გაურკვევლობისგან სასოწარკვეთილნი. და ძნელია იმის თქმა, რომელი მხარე უფრო იმსახურებდა თანაგრძნობას.**

ადვილი არ იყო ჩემთვის ამ ღონისძიებაზე დასწრება, სადაც ჰაერიც კი ტკივილიანი ემოციით იყო გაჟღენთილი. ჯერ მაშინ არის ძნელი ასეთი სიტუაციის ატანა, მხოლოდ მოვლენის აღწერა რომ გევალება და თუ არა მარტო მოწმე, მონაწილეც ხარ ყოველივესი?! ერთი მხარე ხომ ჩემი მშობლიური ხეობიდან იყო, რომელთაგან ზოგი ჩემი თანაკლასელია, ზოგი — თანაკურსელი, ზოგიც — ნათლია და მეგობარი. მათი შვილები დაიკარგნენ და ისიც კი არ იციან, ცოცხლებს ნახავენ თუ მკვდრებს, ან საერთოდ თუ ნახავენ. მათი სიბრალულით გული მეკუმშებოდა, ხოლო რაკი მე „ვეფხისა და მოყმის ბალადის“ შემქმნელი ხალხის შვილი ვარ, მეორე მხარის გამოც მტკიოდა გული, მათ გამო, ვისაც უკვე არაფრის იმედი აღარა აქვთ — დამარხეს და სამუდამოდ მგლოვიარედ დარჩნენ...

რაც უფრო დააწყდა ამ რეგიონში ხალხს ნერვები უმომავლობით, მით უფრო შემწყნარებელი და კეთილგონიერი გამხდარა თურმე. ეს ამ შეხვედრაზეც გამოიკვეთა.

ერთი შავებიანი ქალი ცხარობდა — ამათ ყველას ვიცნობ (ქურთელებზე ამბობდა), ესენი რისთვის მოდიოდნენ, რატომ თამარაშენელები არ მოვიდნენო. მეორე შავებიანი გაუწყრა, ხომ იცი, ვინც დახოცა ჩვენები და ესენი რა შუაში არიან, რას ერჩიო. ისიც უმალ გაჩუმდა.

— თქვენ თქვენი მკვდრები ხომ დაიტირეთ და დამარხეთ, ჩვენებიც გვაპოვნინეთ და თუ მკვდრები არიან, ჩვენც დაგვატირებინეთ, — სასოწარკვეთილმა გადმოსძახა გალაქტიონ ხაჭაპურიძის მამამ, ვასილმა. მასაც დუმილით უპასუხეს.

მერე დარბაზში შემოვიდა ედუარდ კოკოითი საგანგებო საქმეთა მინისტრ ბორის ჩოჩიევთან და ცხინვალის რაიონის ადმინისტრაციის თავმჯდომარე ინალ ფუხაევთან ერთად.

კოკოითმა სათითაოდ გამოუცხადა სამძიმარი და თანაგრძნობა როგორც დაღუპულთა, ისე უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ახლობლებს. მან ბოდიში მოუხადა იმ ტრაგედიის, იმ მწუხარებისთვის, რაც დედებმა განიცადეს თავიანთი დაკარგული შვილების გამო.

— მჯერა, რომ სწორედ თქვენს ხმას გაიგებენ ის პოლიტიკოსები, რომლებიც გახდნენ მიზეზი ადამიანთა ტრაგედიისა, როგორც 1990-1992 წლებში, ისე — შარშან ზაფხულში. თბილისში თუ გორში არ აინტერესებთ, როგორ ვცხოვრობთ აქ. მე ბევრ ქართველ პოლიტიკოსს აღარ ვენდობი. მათთვის მთავარი იმიჯის შექმნა და დასავლეთის კარნახით მოქმედებაა. იმედი მაქვს, რომ ჩვენი ძალისხმევა შედეგს გამოიღებს და ხაჭაპურიძეების ოჯახებს მდგომარეობას გავუიოლებთ.

რაც შეეხება ტოლიკ კოჩიევის ვაჟს, აცამაზს, მას რაიმე რომ ჩაედინა, აქ არ იჯდებოდა. რად სურს ვიღაცას ამ ორი გვარის — კოჩიევებისა და ხაჭაპურიძეების ერთმანეთისთვის სამტროდ გადაკიდება?! კმარა ქართული მასმედიის ცილისმწამებლური, ეჭვების ნიადაგზე შეთხზული ბრალდებები მის მიმართ. აცამში ყველანაირად თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან, რათა ის ბიჭები ვიპოვოთ, მაგრამ, 1992 წლის მაისში ძარის გზაზე დაღუპულთა ოჯახებს ვინ უსამძიმრებს, ვინ ეძებს იმ დანაშაულის ჩამდენთ?

სამი წელიწადია, ვცდილობ, შევხვდე საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრებს, რომ ერთობლივი ღონისძიებები გავატაროთ კრიმინალური ელემენტების წინააღმდეგ, მაგრამ უშედეგოდ. საქართველო ასეთი შეხვედრის წინააღმდეგია. და აი, როგორ შედეგებს ვლებულობთ. როდემდე უნდა იარონ ოსმა და ქართველმა ქალებმა ძაძებში? ქართველი პოლიტიკოსები ამ რეგიონში მცხოვრები თავიანთი ხალხისკენ მაინც შემოტრიალდნენ, დროა, საკმარისია ქარელი, ოქრუაშვილი ან სხვა მათი მსგავსნი გამოჩნდნენ აქ, რომ მალე ტრაგედიაც ხდება. მერე ისინი მიდიან გორში, თბილისში და იქ მშვიდად განაგრძობენ ცხოვრებას.

მე ვუერთდები ქართველი და ოსი დედების ხმას, როცა ამბობენ: „დაე, ჩემი შვილი იყოს უკანასკნელი მსხვერპლიო“. ეს სიტყვები თქვა ჯერ კიდევ 15 წლის წინათ ხადოზა ლალიევამ. და მოგვცემენ იმის საშუალებას, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრებმა ხალხმა თვითონ განვსაზღვროთ სად ვიცხოვროთ, როგორ სახელმწიფოში, ჰკითხეთ, ვინც შვილი დაკარგა კონფლიქტის წლებში, მისთვის სტატუსს რაიმე მნიშვნელობა აქვს?

არც ქართველები, არც ოსები არა ვართ მრავალრიცხოვანი. ვინც ასობით მილიონია, მათ შეუძლიათ გასწიონ რისკი, ჩვენ კი ექსპერიმენტებისთვის შვილების შეწირვის უფლება არა გვაქვს.



— კმაყოფილი ვარ, რომ თქვენთან საუბრის საშუალება მომეცა, — მიმართა ოს შაოსნებს დაკარგული ჰამლეტ ხაჭაპურიძის დედამ მანანა ოთინაშვილმა, მიუსამძიმრა მგლოვიარეებს მათი ტრაგედია და განაგრძო, — ოთხი შვილი გავზარდე, მათგან 3 ვაჟი და ვერც ერთი ოსი ვერ იტყვის, რომ რომელიმე მათგანმა თუნდაც სცემა როდისმე ოსს. ასეთები ჩვენს შორის ბევრია, ვისაც არაფერი დაუშავებია ოსისთვის და არც მისდამი სიძულვილი აქვს. მე არ ვიცი, ჩემი შვილი ცოცხალია თუ არა, მაგრამ თუ მკვდარია, ჩემს დანარჩენ ვაჟებს არასოდეს მივცემ უფლებას შურისძიებაზე იფიქრონ. სწორედ ჩვენმა თაობამ უნდა შეძლოს შერიგება, რომ მომავალ თაობებს აღარ გადაეცეს ურთიერთმტრობა და შუღლი. თანაც დროზე უნდა შევრიგდეთ, თორემ თუ ახალგაზრდობამ ერთმანეთი დახოცა, ჩვენ რიღასთვის და ვიღასთვის ვიცოცხლოთ? თუ მე ჩემს ოთხ შვილს მომიკლავენ, ხოლო სხვა ოსს კიდევ ოთხს, ამ ტერიტორიას თუნდაც ჩიკაგო დაარქვან მერე!

ვალია და ლენა კოჩიევებმა, დაღუპული ტოლიკ კოჩიევის დებმა, განაცხადეს, რომ იციან, ვინ მოკლა მათი ძმა და სხვებთან, მით უფრო, უდანაშაულო ხალხთან საქმე არა აქვთ. კოჩიევის მეუღლემ თამარმა კი, რომელიც ეროვნებით ქართველია, განაცხადა, დღეიდან აღარ ვიტყვი, რომ ქართველი ვარ, კოჩიევა ვარო, მერე დაუმატა, დაე, გამოიძიონ, ვინც გაიტაცა ის ბიჭები და ჩემს შვილს ქართული მასმედია ტყუილუბრალოდ ნუ სდებს ბრალს, ვინც ჩემი მეუღლე და სამი სხვა ოსი მოკლა, მათი ვინაობა იციან, ამისთვის არსებობენ სათანადო ორგანოები და მათ მიხედონო.

დაკარგული ჰამლეტ ხაჭაპურიძის ძმამ, ლევანმა, იმედი გამოთქვა, გული მიგრძნობს, ის ბიჭები დაღუპულები არ არიანო, რაზეც ოსმა დედებმა ერთხმად შესძახეს, ნეტავ, ნეტავ, ღმერთმა ქნასო!

— შეხვედრისთვის მადლობელი ვარ, — მიმართა მან კოკოითს, — მე შევხვდი აცამზ კოჩიევსაც. ვიცი, ეს მას არ ჩაუდენია და ეს იყოს უკანასკნელი. სისხლი სისხლით არ მოიბანება. მეც მეჭირა იარაღი საჭირო დროს და საჭირო ადგილზე, რადგან მამაკაცი ვალდებულია დაიცვას თავისი კერა. მაგრამ უდანაშაულო ადამიანი არ უნდა დაიღუპოს, შურისძიების ნიადაგზე. მოდით, ერთად ვიმოქმედოთ მსგავსი მოვლენების აღსაკვეთად. შევქმნათ ორივე მხრიდან ათკაციანი ჯგუფი, რომ თუ რამე მოხდა, მათ მიხედონ საქმეს. თორემ ორივე მხარე გავნადგურდებით ამ რეგიონში. მოდით, კვლავ ვიმეზობლოთ და ვიმეგობროთ.

**აცამაზ კოჩიევი:** მოტაცებულთა შესახებ არაფერი არ ვიცი. ტყუილუბრალოდ ტალახში მსვრიან. ჩვენ ვიცით, რაც მოხდა თამარაშენში. დაე, სამართალდამცავებმა გაარკვიონ და ზომები მიიღონ. მე ხელები სუფთა მაქვს.

**ედუარდ კოკოითი:** მე მზად ვარ, თუ თქვენც თანახმა იქნებით, შევქმნათ ჩემს აპარატთან საზოგადოებრივი ჯგუფი, შემიძლია შერეულ საკონტროლო კომისიაშიც ჩავრთო თქვენი წარმომადგენელი, რადგან, ვინც იქ ზის, მათ არავინ დაუკარგავთ და ჩვენი ტკივილი ნაკლებად ესმით. თქვენს ყველა შეხვედრას მე დავაფინანსებ, რომ ოსი ხალხის დახმარებით კონფლიქტს ბოლო მოვუღოთ.

დარბაზში ასეთმა სიტყვებმაც გაიჟღერა: ქართველებმა შეუთვალოთ ქარელს, რომ ოსების გვერდით გინდათ ცხოვრება და თავი დაგვანებონ. ან კიდევ: ქართველები გვესხმიან თავს, გვხოცავენ, ოსებს არასოდეს არავინ მოუკლავთ, ქათამსაც კი არ კლავენ, ისე ებრალებათო... ამ სიტყვების ავტორები 15 წლის წინათ დაღუპულთა დედები იყვნენ.

ედუარდ კოკოითმა მსგავს გამოსვლებს ასე უპასუხა: მოდით, ბრალდებებს, პოლიტიკას თავი დავანებოთ, ის, ვინც უდანაშაულო ხალხი დახოცა, აქ არ ზისო.

დაბოლოს, ჩემი წერილი შეხვედრის ერთ-ერთ მონაწილე ქალის მიერ ჩემთან პირისპირ გამოთქმული გულისტკივილით მინდა დავასრულო: კოკოითმა მიგვიღო, მოგვისმინა, გვითანაგრძნო, დახმარებას დაგვპირდა, ჩვენი ტკივილის გამოთქმის საშუალება მოგვცა. თბილისში კი ჩვენი მოსმენაც არ მოინდომეს. განა რამდენი ძვირფასი დრო უნდა დაეკარგათ ჩვენთან შეხვედრისას. ნუთუ მათი თანაგრძნობის ღირსნი არა ვართ? ჩვენ ხომ არც მამული მიგვიტოვებია, არც ენა და სარწმუნოება დაგვიკარგავს...

**ციალა კახნიაშვილი,**
**„სრ“ საკ. კორ.**
**ცხინვალი.**

**რედაქციისგან: ყოველგვარი კომენტარის გარეშე ვბეჭდავთ ჩვენი კორესპონდენტის რეპორტაჟს ცხინვალში გამართული შეხვედრიდან. დასკვნებს მკითხველი თვითონ გამოიტანს, განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელმძღვანელის სიტყვებიდან.**

◎ კანონმდებლები

## ვინ ასხამს ხალხს თავზე პიურეს და ვინ აფარებს ხელს კეზერაშვილს?

**გუშინ პარლამენტის პლენარული სხდომის ძირითად განსახილველ თემად კაფე „ნიკალას“ დარბევის ფაქტი იქცა.** იმას, რასაც ფინანსური პოლიცია მორიგ სპეცოპერაციად მიიჩნევს, დეპუტატებმა სწორედ დარბევა უწოდეს.

პლენარული სხდომის შესახებ რუსუდან გახარიას რეპორტაჟს ხვალ შემოგთავაზებთ.

№ 143, შაბათი, 18 ივნისი, 2005 წელი.

სიტუაცია

# სიკვდილის ბუზი

## რუსეთი ფიზიკურადაც და სულიერადაც ისე ნადგურდება თავისით, რომ თითის წაშველებაც აღარ სჭირდება

**თვალუწვდენელია რუსეთი. რაღა დედამიწისთვის შემოგივლია და რაღა მაგისთვის. არც მოსახლეობითაა ვინმეზე ნაკლები, სუფთა რუსი ლამის 120 მილიონს ურტყამს, მაგრამ... შავად მიდის მაგის საქმე. აი, იშლებაო, ინგრევაო... მაგას ჩივიხართ? კვდება, ხალხო, საკუთარი სურვილით კვდება, თითის წაშველებაც აღარ სჭირდება. არა გჯერათ? ა, ბატონო, თავად ნახეთ:**

1920 წელს რუსეთში ერთ ქალზე საშუალოდ მოდიოდა 5,23 ბავშვი, 1940 წელს – 4,74, 1960 წელს – 2,67, 1980 წელს – 1,93, 2004 წელს – 1,17... რა იქნება 2020 წელს? ამაზე უარესი. თავად რუსი ქალი ხელს იღებს ოჯახზეც და ბავშვზეც. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აშშ-ში ათას ქალზე მოდის 4-5 აბორტი, რუსეთში კი – 25-27. ბუნებრივი სიკვდილი კიდევ სხვაა, რომელიც ასევე მიდის ზევით და ზევით. 1987 წელს, მაგალითად, დაიღუპა 1,55 მილიონი რუსი, 2004 წელს კი უკვე – 2,25 მილიონი...

რაც ყველაზე მთავარია, ეს ამხელა ტერიტორია რუსეთს ოხრად რჩება. სადღეისოდ იგი ჩვენს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ორივე ხელით ებღაუჭება, არადა, საკუთარი სამშობლოს მიწები უცარიელდება, უტყევდება. 2000 წლის მონაცემებით, აშშ-ში ერთ კვადრატულ კილომეტრზე მოდიოდა 30 კაცი, საფრანგეთში – 107, ჩინეთში – 133, დიდ ბრიტანეთში – 2,43, ხოლო რუსეთში – 9. ექსპერტთა პროგნოზით, 2050 წლისათვის ეს ციფრები აშშ-ში გახდება 42, საფრანგეთში – 112, ჩინეთში – 152, დიდ ბრიტანეთში – 245, ხოლო რუსეთში – 6. ჯერ 9 რა იყო და მერე 6 რაღა იქნება!

თვითმკვლელობაში, დემოგრაფიულ კატასტროფაში რუსები ადანაშაულებენ ქალებს, მაგრამ ძირითადი იერიში მაინც მიაქვთ კაცებზე. ყველაფერი მაგათი ბრალიაო, დადედლდნენ, დაჩაჩანაკდნენ, გალოთდნენ, განარკომანდნენ, „გაპიდარასტდნენო“... სიცოცხლის წლები გვაკლდება, მთელი რუსეთი კი არაყს ვინ ჩივის, – ტექნიკურ სპირტში, ოდეკოლონსა და წებოში იხრჩობაო. ამეების დამლევს ან რა შვილი ეყოლება, ან რა ქალი მოუნდებაო... 1986 წელს ჩვენი კაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა 67,3 წელს უდრიდა, 2001 წელს კი – 63,1-მდე დაეცაო. იაპონიაში მამაკაცთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 80 წელს უკაკუნებს. ეს გაბოროტებული რუსეთი კი ხელს კავკასიისკენ, კერძოდ, სომხეთისა და საქართველოსკენ იშვერს. კაცო, რაც მაგათ ომები გადაიტანეს, რაც მაგათ კატაკლიზმები გადახარშეს და მაინც არაფერი დაიკლესო. სომხეთში მამაკაცები ცოცხლობდნენ საშუალოდ 71 წელიწადს, ისევ ისე დარჩა, საქართველოში – 68 წელიწადს და იქაც საიქიოში წასასვლელად არავინ აჩქარებულაო...



მოკლედ, იკბინება რუსეთი შემოდგომის ბუზივით, რომელსაც უკვე სიკვდილი ეთამაშება. აღარ იცის, რა კლდეს ეცეს, რა მდინარეში გადავარდეს. წავა, წამოვა და ისევ კავკასიელებს, ისევ ქართველებს დაგვეტაკება, თითქოს მაგათ ქალებს აბორტებს ჩვენ ვუკეთებდეთ ან მაგათ კაცებს ჭაჭის მაგივრად ოდეკოლონს ჩვენ ვასმევდეთ. სხვათა შორის, თავად რუსები აღიარებენ, რომ სომხებიც და ქართველებიც ჩვენზე ნაკლებს არა სვამენ, მაგრამ სვამენ სულ სხვაგვარად – დინჯად, კაცურად, სითბოთი და სიყვარულითო. ჩვენ კი მუცლის გახეთქვამდე და გონების დაკარგვამდე მივდივართ. ბოლო 15 წლის მანძილზე ჩვენი ცხოვრება 4-5 წლით ამიტომაც შეიკვეცაო...

ახლა არ იკითხავთ – რაში ეძებენ რუსები თავის გადარჩენის გამოსავალს? წმინდა რუსული, მართლმადიდებლური სახელმწიფოს შექმნაში, სხვა ეროვნების, სხვა სარწმუნოების ადამიანთა შეზიზღებაში, ქვეყნიდან მათს გაძევებაში, ანდა ჩახოცვაში. ამ ციფრებს ვიმეორებ სპეციალურად: 2003 წელს რუსეთში ეროვნული შუღლის, რასობრივი სიძულვილისა და რელიგიური მტრობის ნიადაგზე მოკლეს 20 უცხოელი, 2004 წელს კი – 44. ამ უცხოელში შედის უზბეკიც, მოლდოველიც, ჩეჩენიც, ქართველიც, სომეხიც (ეს მეცხრეკლასელი სომეხი ბიჭიც, რომელსაც სურათზე ხედავთ, მოსკოვში იმსხვერპლეს)...

რუსული პრესა ახლა ძალიან ხშირად აგზავნის თავის მუშაკებს საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ბელგიაში... და იცით, რა მასალები ჩამოაქვთ იქიდან? წალეკაო მუსულმანობამ მთელი ევროპა. ჩაყლაპაო მართლმადიდებლობაც, კათოლიკობაც. სლავური სახე სანთლით საძებარი გახდა. სულ მალე პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი მეჩეთად გადაკეთდებაო. თუ ჭკუით არ ვიმოქმედეთ (არ გავყარეთ ან არ ამოვჟლიტეთ), რუსეთსაც ეგ დღე არ ასცდებაო.

აი, რას ამბობს ტელეპროგრამა „ოდნაკოს“ წამყვანი, კავკასიელთა დაუძინებელი მტერი მიხეილ ლეონტიევი: საფრანგეთშიც ყველაფერი წყნარად დაიწყო. ნელნელა შევიდნენ „გაფრანგებული ალჟირელები“, მაგრამ მერე ჩქარჩქარა ეტაკნენ წმინდა წყლის მუსულმანები, რომლებიც ჯიუტად ცხოვრობენ არა ფრანგული კულტურით, არამედ ყურანის ნორმებითო. გაიხსენეთ რას გაჰკიოდნენ „ნორდ-ოსტის“ ორგანიზატორები, – ჩვენ უფრო ნაკლებად გვეშინია სიკვდილის, ვიდრე თქვენ სიცოცხლისო. თუ კიდევ რამეს გაბედავენ, მაგათ ცხედრებს დავახვავებთ, თუმცა სჯობს ეს პრობლემა ეფექტური დემოგრაფიული პოლიტიკით გადავჭრათო.

ხომ არ დაგავიწყდათ, ჩეჩნებმა მიხეილ ლეონტიევს სიკვდილი მიუსაჯეს. ჯერ ეს განაჩენი არ აღსრულებულა, თუმცა არც საშიშროება ჩამცხრალა. ტელეწამყვანი დღესაც ძველებურად უბერავს, იქნებ უფრო ომახიანადაც, რადგან მას უკვე მხარში ამოუდგა მასმედიის უმრავლესობა. ისე უცერემონიოდ აბიაბურებენ ყურანს, თითქოს მილიარდიანი მრევლის წმინდა წიგნი კი არა, 3 წლის ბავშვის უნიჭო ზღაპარი იყოს!

რუსეთის ფიზიკურ თუ სულიერ გადაჯიშებას დღეს ექსპერტებიც უცხოელებს აბრალებენ. ერთი ნახეთ, ჩვენს შვილებს ვინ ასწავლიანო. სკოლები სავსეა ჩამოსულებით, ჩვენთვის მიუღებელი ტრადიციების მატარებელი მასწავლებლებით, რომლებსაც რუსეთის ინტერესები ფეხებზე ჰკიდიათო. და აქ ისევ კავკასიელებს კბენენ. მოსკოვის პედაგოგთა შორის 41 პროცენტი ქართველები, 29 პროცენტი სომხები, 12 პროცენტი კი აზერბაიჯანელები არიანო. უფრო მეტიც, გონებრივ მუშაკთა შორის (ვთქვათ, ჟურნალისტები, მწერლები) ებრაელთა წილმა 55 პროცენტს მიაღწიაო. მერედა, ვისი ბრალია ეს, ჩვენი? – ქართველების და სომხების? აზერბაიჯანლების და ებრაელების? მიხედეთ თქვენს შვილებს, თუკი მაგის შნო გაქვთ, მაგრამ გაქვთ?

რუსეთი ახლა მარტო თავის ტერიტორიაზე არ უტევს „ინოროდცებს“. იგი საზღვრებს კვეთს და აქეთაც გადმოდის, იქითაც... ატყდა უკვე აქტიური პროპაგანდა სააკაშვილისა და ბურჯანაძის, იუშჩენკოსა და ტიმოშენკოს დაპირისპირებაზე, ახალი რევოლუციური მთავრობების დამხობაზე. კიდევ კარგი, ორივე ეს ქვეყანა ქრისტიანულია, მართლმადიდებლურია ძირითადად, თორემ დიდი იმპერია რელიგიას ჩვენც შეგვილანძღავდა. რა, ყირგიზეთსა და უზბეკეთში ამ მოტივებზე არ ალაპარაკდა? მერე როგორ! ვიცით, მაგის მუცელი არ დაყუჩდება, ვიდრე მუსულმანი მესხობა რუსეთიდან არ გამოვა. არა უშავს, მაგასაც ავიტანთ, მაგრამ თავად მაგას რა ეშველება?

**ბონდო გულიაშვილი.**

მოვლენის კვალდაკვალ

# იქნებ, აწი მაინც გაახსენდეთ თავდაცვის სამინისტროს!

**როდესაც სპეციალური თვითმფრინავი აეროდრომის სარბენ ბილიკს შეეხო, აქ შეკრებილმა ხალხმა შვებით ამოისუნთქა და აცრემლებული თვალებით ერთმანეთს მიულოცეს რეისის მშვიდობიანი დასრულება.**

**თუმცა, ეს არ იყო მხოლოდ მშვიდობიანი მოგზაურობის დასასრულით გამოწვეული სიხარული, ეს იყო ბრძოლის ველიდან ახლობელთა მშვიდობიანი დაბრუნების ცრემლები.**

არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკისთვის“ ამჯერადაც არავის შეუტყობინებია ამ ფაქტის შესახებ, მაგრამ „ჩიტმა ამბავი მოგვიტანა“ და შეხვედრას ჩვენც დავესწარით. თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებს, ამ ბოლო ხანებში, რატომღაც ავიწყდებათ, რომ ჩვენი გაზეთი ჭორებითა და „პაპარაცული ხელოვნებით“ მოპოვებულ მასალებზე არ ნადირობს, რადგან ქვეყანაში მიმდინარე ყოველ მოვლენას განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდება და თუ ზედმიწევნით გაანალიზებული არ არის ესა თუ ის ფაქტი, ზედმეტს არაფერს იტყვის.

თვითმფრინავი ერაყიდან ჩამოფრინდა. ქვეყნიდან, რომლის ნავთობჭაბურღილებიდან ავარდნილი კვამლი, პირდაპირი თუ არაპირდაპირი მნიშვნელობითაც, აქ, საქართველოშიც გვიფუჭებს ამინდს და ბურუსით ფარავს ჩვენს ცას.

ასე იყო ეს საუკუნეების წინათაც, როდესაც ქართველი მამლუქები სისხლს ღვრიდნენ ამ ალაგებში და ბოლოს თავიანთი დინასტიაც კი შექმნეს. ამბობენ, ერაყის მოსახლეობის გარკვეული პროცენტი დღესაც ატარებსო ქართულ სისხლსა და ჯილაგს. მინდოდა ასე გამეგრძელებინა სტრიქონი: – „არ ვიცი რამდენად სწორია-მეთქი ეს „მონათხრობი“, მაგრამ ასე არ ვაგრძელებ, რადგან ისტორიის ამ ფურცლების უტყუარობაში არავის და არსად ეპარებოდა ეჭვი და რაღა ჩვენ, ქართველებმა უნდა გავაკეთოთ ეს? თუმცა, საკუთარის განქიქებისა და დაუფასებლობის ჭირი ხშირად შეგვყრია ქართველებს. არანაკლებად ვიცით, ხოლმე ზედმეტი აჟიოტაჟი და, როგორც იტყვიან, – „უკუდო ამპარტავნობაც“!

ასეა თუ ისე, მადლობა ღმერთს, მშვიდობით დაგვიბრუნდნენ ბიჭები! მართალია, ამ მშვიდობით დაბრუნებას ერთი ქართველის დაღვრილი სისხლის სუნიც ასდიოდა, მაგრამ ომიდან ასეთ დაბრუნებასაც გამარჯვებით დაბრუნებად მიიჩნევენ მაინც. ესეც არ იყოს, როგორც ოფიციალური, ასევე მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი, არაოფიციალური ინფორმაციიდან ვიცით, ქართველმა ბიჭებმა, მართლაც, ვაჟკაცურად შეასრულეს საკუთარი ქვეყნის დავალება და ამის გამოც ცვიოდა ახლა, ქართულ მიწაზე სიამაყის ცრემლები...

– ბედნიერი ვარ, ბედნიერი... ცრემლებჩამომდინარი ქერათმიანი ქალის ეს სიტყვები რეალურად ასახავდა უმეტესობის გულისძახილს.

აქამდე უნახავ, მამასთან შესახვედრად „მობრძანებულიყვნენ“ 5 თუ 6 თვის ყრმები, რომელთაც ამ შუაღამისას ძილი დაურღვია ვაჟკაცი მამების შეხვედრის მოლოდინმა.

– თქვენი შვილია, ბატონო? – ჩემს წინ სანდომიანი, ჭაღარა მანდილოსანი იდგა, შევცბი. ამ კითხვას არ ველოდებოდი. როცა მივხვდი, რას მეკითხებოდა, ღიმილით ვუპასუხე:

– ყველა ჩვენი შვილები არ არიან, ქალბატონო?..

– დიახ, მართალს ბრძანებთ, ჩემო ბატონო!.. ჩემი შვილიშვილი ჯერ არც უნდა ჩამოსულიყო, ჯერ სულ სამიოდე თვეა, რაც წაიყვანეს. მარა მაინც მოვედი, მინდა ვნახო როგორები გახდნენ, როგორები არიან იქიდან დაბრუნებულები...

– კარგები არიან, ბაბო, კარგები და კარგადაც დაბრუნდნენ!.. – ჩაგვერთო საუბარში დამხვდური ჯეელი, – მაგრამ ის ვერ გამიგია, მარტო ჩვენ, ქართველებმა უნდა მოვუაროთ ამერიკულ საქმეებს?.. ამბობენ, ყველაზე მეტი ჩვენა გვყავსო ერაყში ჯარი...

მემცხეთა „ამერიკული საქმეო“ რომ თქვა ამ ახალგაზრდა კაცმა. პასუხიც მზად მქონდა თითქოს, – „ეს მარტო ამერიკის საქმე არ არის-მეთქი“, მაგრამ გავჩუმდი, რადგან, რახან არსებობდა ეს კითხვა, მას გახმოვანების უფლება ჰქონდა, ესეც არ იყოს, ამჯერად ჟურნალისტად არ ვიყავი მოვლინებული აქ და, როგორც რიგითი დამხვდურის სტატუსის მქონე პირს, არ ეგებოდა „პოლიტიკურ დებატებში“ ჩაბმა! ესეც არ იყოს, ჭორებზე და ყურმოკრულ ამბებზე არასოდეს დამიწერია საგაზეთო მასალა.

...პრესისთვის გამოყოფილ „არენაზე“ გაწამაწიაში იყვნენ ჩემი კოლეგები. მე კი, როცა ღამეულ სიბნელეში ქალაქისკენ ვბრუნდებოდი, ერთს ვფიქრობდი მხოლოდ, – იქნებ თავდაცვის სამინისტროს მომავალში მაინც გაახსენდეს ასე ამაყი სახელის მქონე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“! ჩვენ, ყველანი, ხომ ამ რესპუბლიკას ვემსახურებით?

**ზაურ ფიფია,**
**„სრ“ საკ. კორ.**

ინფორმაცია

## დეპუტატი და ჟურნალისტი პრეზიდენტის წინააღმდეგ

**საქართველოს პარლამენტის დეპუტატი კახა კუკავა და გაზეთ „ახალი თაობის“ ჟურნალისტი ირაკლი გოგორიშვილი ცესკოს ახალი შემადგენლობის გაუქმების მოთხოვნით საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავენ.**

სარჩელი სასამართლოში უახლოეს დღეებში შევა. სარჩელის შეტანის ინიციატორებს მიაჩნიათ, რომ ცესკოს წევრებისა და თავმჯდომარის შესარჩევი კონკურსი, ასევე ცესკოს შემადგენლობის წევრებისა და თავმჯდომარის კანდიდატურების დამტკიცების პროცესი კანონმდებლობის დარღვევით ჩატარდა.

„სარჩელი, რომელსაც სასამართლოში შევიტანთ, სასამართლოსთვის გამოცდა იქნება და გაარკვევს, რამდენად არის სასამართლო სისტემა დამოუკიდებელი“, – განაცხადა გოგორიშვილმა, რომელიც საქართველოს ცესკოს წევრი იყო 1995 წლიდან. მისი აზრით, „ცესკოს ახალ შემადგენლობაში არაპროფესიონალი კადრები მოხვდნენ“.

## მოსამართლეობის გამოცდის პირველი ეტაპი 229 იურისტმა გაიარა

**მოსამართლეობის მსურველთა საკვალიფიკაციო გამოცდა 1.100 მონაწილიდან წარმატებით მხოლოდ 229 იურისტმა გაიარა, – განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ვალერი ცერცვაძემ.**

ცერცვაძის ინფორმაციით, სისხლის სამართლის ტესტირებაზე წარმატება მოიპოვა 62-მა, სამოქალაქოზე – 98-მა, ხოლო საერთო სამართლის ტესტირებაზე 38-მა იურისტმა. მათ რიცხვს ემატება ის 31 ტესტირებაგავლილი, რომელთაც საპრეტენზიო კომისიამ მოთხოვნა დაუკმაყოფილა და ტესტირება წარმატებით გავლილად ჩაუთვალა.

ვალერი ცერცვაძემ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მიმდინარე ტესტირებაზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებითაც ისაუბრა. უცხოელმა დამკვირებლებმა ტესტების პასუხების „შპარგალკა“ აღმოაჩინეს, რომელიც ადრესატამდე არ იყო მისული.

„ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს“, – თქვა ცერცვაძემ.

ამასთან, მობილური ტელეფონების გამოყენებისთვის ტესტირებიდან ორი იურისტი გააძევეს.

## „თბილგაზი“ პროფილაქტიკურ სამუშაოებს იწყებს



**ზამთრის სეზონისთვის მოსამზადებელი გეგმითი სამუშაოების ჩატარების მიზნით „თბილგაზი“ 15 საათამდე გაზმომარაგებას გამორთავს მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე – მარჯანიშვილის ხიდიდან ორთაჭალჰესამდე და მარცხენა სანაპიროზე სამასი არაგველის და ბოჭორმის ქუჩებზე.**

„თბილგაზი“ ქალაქის მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების მიზნით სამ დღემდე ვადით კორპუსების გამორთვასაც გეგმავს.

იმ მობინადრეებს, რომელთაც ზამთრის დავალიანება აქვთ, „თბილგაზი“ ორ-სამთვიან გრაფიკს სთავაზობს დავალიანების დასაფარავად.

## ქსნის კოლონიაში წყლის პრობლემა მოგვარდება

**იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქსნის №7 დაწესებულებაში წყლის პრობლემა უახლოეს ხანში მოგვარდება. ამ მიზნით ბანკმა „რესპუბლიკამ“ 35 ათასი ლარი გამოყო.**

ქსნის დაწესებულების ამ პრობლემაზე იუსტიციის მინისტრს კონსტანტინე კემულარიას ინფორმაცია იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა მაისში გამართულ შეხვედრაზე მიაწოდეს. მათი თქმით, პატიმრებს ე.წ. ტექნიკური წყლის დალევა უწევთ, რაც არათუ დასალევად, სხვა დანიშნულებისთვისაც კი უვარგისია.

„ჩვენ შევისწავლეთ არსებული მდგომარეობა, რომელიც მართლაც სავალალოა. ამ პრობლემას სასწრაფო მოგვარება სჭირდება, რაშიც ბანკი „რესპუბლიკა“ დაგვეხმარება“, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

## დეპუტატი რკინიგზის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ

**ხულოს მაჟორიტარი დეპუტატი ოთარ ღორჯომელაძე სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების გაძვირებას აპროტესტებს.**

დეპუტატი აცხადებს, რომ მოსახლეობა შეშფოთებულია ტარიფების მოსალოდნელი გაძვირებით და მათი აღშფოთება სრულიად სამართლიანია.

დეპუტატის აზრით, აღნიშნული გადაწყვეტილება პრეზიდენტისა და მთავრობის ინიციატივა არ არის, აქედან გამომდინარე, მან მოუწოდა რკინიგზის ხელმძღვანელობას, ნუ ჩაიყენებენ თავს უხერხულ მდგომარეობაში.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ რკინიგზის ტარიფების მოსალოდნელ გაძვირებასთან დაკავშირებით დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს საკითხში გარკვევა და შესაბამისი სხდომის ჩატარება დაავალა.

## ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“

**ხობში მეორე საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ გაიხსნა, რომლის ორგანიზატორია განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობი“.**

ფოთში, სენაკსა და ზუგდიდში უკვე გაიმართა მონაწილეთა შესარჩევი კონკურსები. ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან სპეციალური რეისით ჩამოფრინდებიან რუსეთიდან მოწვეული დელეგაციები და ცნობილი მომღერლები: ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, ელენე ობრაზცოვა. ირაკლი ფირცხალავა კი დედასთან ერთად, ხვალ ფესტივალის გახსნაზე მეგრულ „ჩელას“ შეასრულებს.

ფესტივალის გასაშუქებლად რეგისტრაცია 100-მდე ქართველმა და უცხოელმა ჟურნალისტმა გაიარა.

**მელია-ნიუსი, „ჰო-ეიჩ-ენი“.**

განსჯა

# თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური რისკები

**როგორც პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, საქართველო თავისი ისტორიის საპასუხისმგებლო პერიოდში იმყოფება.**

**იგი განვითარების რისკებს განიცდის. ისეთ პირობებში, როდესაც გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში არ არსებობს გეოსტრატეგიული გეგმები, გააზრებული პოლიტიკური ნაბიჯები, საქართველოს გარდაუვალად ელის კრიზისები, რომელთა ციკლურობა დამოკიდებული იქნება როგორც განვითარების შინაგან პირობებზე, ისე საგარეოპოლიტიკურ ფაქტორებზე.**

**კრიზისების პერმანენტულობის საფრთხეზე მეტყველებს ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს მთელი პოსტსაბჭოთა პოლიტიკური ისტორია.**

**რისკების ხარისხი დამოკიდებულია შესაბამის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, სამხედრო, სიმბოლურ-იდეოლოგიურ რესურსებზე.**

ყოფილ მეტროპოლიასთან კავშირების გაწყვეტას თან მოჰყვა „ცურვა გაშლილ ზღვაში“. ქაოტურ მოძრაობას გლობალიზაციის პროცესების პირობებში შეუძლია სახელმწიფოთა ერთ-ერთ კავშირთან, ანუ ეროვნული იდენტურობის დაკარგვასთან მიგვიყვანოს.

როგორია პოლიტიკური რისკები?

ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეროვნული სახელმწიფოს, საკვანძო სტრუქტურული სისტემების ჩამოყალიბება. გამომდინარე ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარების ციკლურობიდან, განვითარების პროცესების ეტაპების „სახელმწიფო ბიუროკრატიის“ (XV11-XV111 საუკუნეები), „სახელმწიფოერის“ (X1X-XX საუკუნეები) დაუმთავრებლობიდან, ამის გაკეთება მეტად რთული იქნება. განვითარების ცალკეული დამოუკიდებელი პერიოდები (1918-1921 წლები!) და პოსტსაბჭოთა პერიოდი სახელმწიფოებრიობის ცივილიზაციური, ფუნქციონალური საფუძვლების ჩამოსაყალიბებლად არ კმარა. საგრძნობია სამართლებრივი სახელმწიფოს ბიუროკრატიის, მმართველობითი საწყისების, პრინციპების სისუსტე. თავად სახელმწიფოს იდეოლოგია ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ფეოდალური პარტიკულარიზმის შეცვლილ ფორმას წარმოადგენდა. ეროვნული იდეოლოგიის უქონლობამ მიგვიყვანა საზოგადოების გახლეჩამდე, რომელიც დასავლეთიდან მომავალ ინოვაციებს ისე აღიქვამს, როგორც ფორმალურ პრინციპებს. ძალაუფლების განაწილების, ადამიანის უფლებათა დაცვის, ხელისუფლების არჩევითობისა და ლეგიტიმურობის ასახვასა და შინაარსს გამოყენებითი, ფორმალიზებული ხასიათი ჰქონდა. იდეოლოგია მითებით, ფანტომებით, იმ კლანების ინტერესთა თამაშით შეიცვალა, რომლებიც პარტიებსა და ლიდერებს ქმნიან.

უმძიმესი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი „ვარდების რევოლუციით“ გადაწყდა. მაგრამ სიტუაცია პოსტრევოლუციურ საქართველოში მრავალრიცხოვანი ფაქტორ-რისკებით ხასიათდება. აუცილებელი იქნება მომხმარებლური ფსიქოლოგიის დაძლევა, ეროვნული ინტერესებისა და პრიორიტეტების უფრო ღრმად გამოვლენა, სახელმწიფო აზროვნების განვითარება.

2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ დემოკრატიის მიღწევებსმოკლებული დაბეჩავებული ხალხისთვის იმედი იყო. წინა ხელისუფლება აზროვნების დახურულობით იყო პარალიზებული. ის მოწყვეტილი იყო პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობდა როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში, ისე გლობალური მასშტაბით. პოსტსაბჭოთა სივრცის პერიფერიაში მოხდა გარღვევა, რომელმაც „გეოპოლიტიკური რევოლუციის“ სახელი მიიღო. ქართული „ვარდების რევოლუციით“ წინააღმდეგობათა ნაწილი გადაწყდა, მაგრამ მას მოჰყვა ახალი დაპირისპირებები, როგორც მცირე, ისე დიდ სისტემურ სივრცეში.

მაინც რას წარმოადგენს კონკრეტულად საქართველოს პოლიტიკური სტრუქტურა და რამდენად ექვემდებარება ის შიდა რისკების კრიზისების საფრთხეს?

**2004 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ პრეზიდენტის რწმუნებულებანი საქართველოში დომინირებული ჩანს, მნიშვნელოვნად შემცირდა პარლამენტის როლი, სასამართლო კი უფრო დამოუკიდებელი არ გამხდარა. აღმასრულებელი ხელისუფლება ხშირად ერევა ხელისუფლების სხვა შტოების პრეროგატივებში.** აქ სავსებით შესაძლებელია, რომ ბევრი შეზღუდვა კანონიერი იყო, განსაკუთრებით, აჭარის ამბების შემდეგ. მაგრამ **ავტონომიამ დაკარგა ვენეციის კომისიის მიერ დაფიქსირებული თავისი უფლებების ნაწილი, რაც არ ქმნის საქართველოში დემოკრატიის იმიჯს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.** ამასთან, აჭარაში განხორციელებული რეფორმა სეპარატისტული ტერიტორიებისთვის მიმზიდველი ვერ იქნება.

განსაზღვრული არ არის რეგიონებში პრეზიდენტის რწმუნებულთა უფლებამოსილებები. სასწრაფოდ არის საჭირო ეროვნულ-სახელმწიფო მოწყობის და ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა. ისმება ხელისუფლების ვერტიკალის გაძლიერების ამოცანები. პარლამენტში შედის ცვლილებები რეგიონებში პრეზიდენტის რწმუნებულების შესახებ დებულებაში. ამ ცვლილებების თანახმად, რწმუნებულები (გუბერნატორები) არჩეული საკრებულოებისა და გამგებლების კომპეტენციებში აქტიური ჩარევის უფლებას მიიღებენ. ეს მნიშვნელოვნად შეზღუდავს თვითმმართველობის უფლებებს და ეს ხდება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმისა და 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წინ. ალბათ ეს ცვლილებები ადგილობრივი ხელისუფლებას კიდევ უფრო მეტად დაასუსტებს. მთლიანობაში შეინიშნება უმაღლესი ხელისუფლების სწრაფვა ძალაუფლების მთელ ვერტიკალზე, ყველა რესურსზე კონტროლის გაძლიერებისაკენ. ავტორიტარიზაციისკენ ტენდენციები მთლიანობაში ახსნადი ჩანს ქვეყნის გაერთიანების პროცესის დაუმთავრებლობისა და ეკონომიკური განვითარების სისუსტის პირობებში. ხელისუფლება ისწრაფის, გადალახოს წინა პერიოდისთვის დამახასიათებელი „ფეოდალური პარტიკულარიზმის“ რეციდივები. მაგრამ ეს ყოველივე კონსტიტუციურ-იურიდიულ დასაბუთებულობას მოითხოვს.

მწვავედ დგას კადრების მომზადების პრობლემა სახელმწიფო კიბის ყველა საფეხურზე. საქართველოში თანამედროვე ბიუროკრატია არ არსებობს. ხელისუფლება აშკარად სათანადოდ ვერ აფასებს ბიუროკრატიის როლსა და მნიშვნელობას და მას უკავშირებს ბოროტებას – კორუფციას. ამ მოვლენას ღრმა ფესვები აქვს და თანამედროვე ბიუროკრატიის არარსებობა ამ ბოროტების ზრდას იწვევს. უნდა შეიქმნას მმართველობითი აპარატის მომზადების თანამედროვე სისტემა.

ქვეყანაში არ ჩამოყალიბებულა პარტიული სისტემა, ჭარბობს მოძრაობები და კლანური პარტიები, არ არსებობს არც თანამედროვე ოპოზიცია. ფაქტობრივად არ არსებობს ალტერნატიული პროგრამები.

ურთულეს პრობლემად რჩება ტერიტორიების შემოერთება. ჯერ კიდევ ყველგან არ ჩატარებულა საზღვრების დელიმიტაცია, ბევრგან ისინი გამჭვირვალეა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში მრავალი კრიზისის შემდეგ ხელისუფლებამ წარმატებით შეძლო გამოეძებნა კომპრომისის ფორმა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ბაზების 2008 წლის ბოლომდე გაყვანის საკითხის გადაწყვეტაში. ეს ხელს შეუწყობს სახელმწიფოს განმტკიცებას, თუმცა გაიზრდება მოთხოვნები შინაგანი ძალოვანი სტრუქტურების განვითარებისადმი, რომლებშიც რეფორმები მიმდინარეობს.






რთული რჩება რუსეთთან ურთიერთობა, მიგნებული არ არის ინტერესთა წონასწორობა მსოფლიოს ახალი გეოპოლიტიკური განაწილების პირობებში, სადაც კავკასია, და კერძოდ, საქართველო, დიდი სახელმწიფოების მიზიდულობის ცენტრად იქცა. ინასკვება წინააღმდეგობათა ახალი კვანძები.

**როგორც ჩანს, საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ყველა პრობლემამ ვერ ჰპოვა ადეკვატური ასახვა ხელისუფლების მიერ მომზადებულ „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში. კრიტიკას იმსახურებს „სტრატეგიული პარტნიორობის“, „პარტნიორობის“ ან „პრაგმატული თანამშრომლობის“ განსაზღვრებებთან დაკავშირებული დეფინიციები. რატომ ამოვარდა მეზობელი სახელმწიფოებიდან ირანი?**

საქართველოში არასახარბიელო ეკონომიკური სიტუაციაა. გრძელდება საკუთრების გადანაწილების, მისი პრივატიზაციის პროცესი. გაურკვეველია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები. მთლიანობაში ეკონომიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების მილიტარიზაცია ახსნადია, მაგრამ საზოგადოების დემოკრატიზაციის აქტუალური ამოცანების გადასაჭრელად აუცილებელია მისი ფუნდამენტური საფუძვლების შექმნა. საჭიროა ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციის პროცესის შეჩერება, სოციალურ სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების რეგულირება.

საქართველო ღარიბ ქვეყნად რჩება. მოსახლეობის უმრავლესობა იღებს არა უმეტეს 4 დოლარისა ერთ სულ მოსახლეზე დღეში. ეს კი სიღარიბის მაჩვენებელია, უფსკრული 3-4 პროცენტ მდიდრებსა და მოსახლეობის 1/3 შორის იზრდება, რაც ქმნის სოციალურ დაძაბულობას, რისკის ზრდას, ცივილიზაციის უფრო დაბალ საფეხურზე დაშვებას.

ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებით (გაერო) და არა შიდა საერთო პროდუქციით (რომელიც არ წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ძირითად მაჩვენებელს), საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება დემოკრატიულ სტანდარტებს. საქართველოში მაღალი სიკვდილიანობა და დაბალი სასიცოცხლო მინიმუმია. საგანმანათლებლო დონე საშუალო რჩება, განათლებისა და ჯანდაცვის ხარისხი დაბალია და დაცემას განაგრძობს. **განათლებისა და კულტურის სფეროში რეფორმის მიმდინარეობის პირველი შედეგები გარდამავალი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ახალ რისკებს წარმოაჩენს.**

საქართველოს ჩართვა „მეოთხე სამყაროს“ ღარიბი ქვეყნების დახმარების პროგრამაში იმ სოციალური პრობლემების სირთულეზე მეტყველებს, რომლებიც ქართული სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური არასტაბილურობის რისკებს ექვემდებარება.

რთული ხდება საზოგადოების შემადგენლობა – ზარალიანად ჩატარებული საკუთრების პრივატიზაციის გამო პირამიდის ქვედა ნაწილი დაჩაგრული, პოლიტიკურ პროცესს მოწყვეტილი რჩება. მოსახლეობის 70-75 პროცენტის მონაწილეობა დემოკრატიის არჩევნებში შემოიფარგლება საარჩევნო კამპანიებით, რომლებიც შოუ-სპექტაკლებს ემსგავსება. ადრე ეს თავისებურებები განვითარებული კაპიტალიზმის, დემოკრატიის ქვეყნებში შეინიშნებოდა, ახლა კი ისინი ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი.

იხ. მე-4 გვ.

მთა

# შეცდომებს ნუღარ გავიმეორებთ

## მივხედოთ სვანეთს, თორემ მერე გვიან იქნება

**გასულ საუკუნეში გარემოს დაცვაში მომხდარი აურაცხელი ზარალი მთლიანად ანთროპოგენულია. ყველა ბოროტების სათავე ადამიანია. თითქოს შემოქმედი, მოფუსფუსე, მაგრამ ბოროტი, მომხვეჭელი, დიდი საზოგადოების დასაჩაგრად გამმეტებელი ოლიგარქია. ამ სტრიქონების ავტორს მასმედიაში მუშაობის 40 წლის მანძილზე არაერთი ფაქტი და მოვლენა გამოუაშკარავებია, მაგრამ ოლიგარქიის ის ნაწილი, ვინც ამ დანაშაულობებს მართავდა, ყოველთვის ახერხებდა ბრალდებიდან თავის დაძვრენას. როგორც მთასვლელს და სამთო მოთხილამურეს, საფუძვლიანად მქონდა შესწავლილი ზვავებთან მებრძოლი ფრანგული სკოლის პროგრამა. ამან ბევრი რამ, რაც სვანეთში ხდებოდა, ახლებურად დამანახა. იმ პერიოდში ხელისუფლებიდან ბევრი ჩანაფიქრის განხორციელების თანხმობა მივიღეთ. სამწუხაროდ, ისევ შემსრულებელთა ბედოვლათობით, ვერც-ერთი ბოლომდე ვერ მივიყვანეთ. ის პროგრამები დღესაც ძალაშია და შემსრულებელს ელოდება...**

უშგული არა მარტო სვანეთის, არამედ ქრისტიანული მსოფლიოს კულტურული სამყაროს კოლორიტი და გამორჩეული სოფელია. დიდი თამარის ეს საზაფხულო რეზიდენცია ბევრი მონაცემით იმსახურებს იუნესკოს გამორჩეულ ყურადღებას, იგი სვანეთის რამდენიმე სოფელთან ერთად ძეგლების ნაკრძალად, ანუ ხელშეუხებელ კუთხედ არის აღიარებული.

ერთ მშვენიერ დღეს ალპინისტურ ბანაკ „აილამადან“ უშგულის გავლით მესტიაში მიმავალს, თვალში მეცა უშგულის პირველი უბნის ჩვიბიანის თავზე, უკვე თითქმის დასრულებამდე მიყვანილი გზის მშენებლობა. გულმა რეჩხი მიყო: ჯერ ერთი, რატომ აარიდეს ჩვიბიანის ცენტრში გამავალი გზა, სადაც ყველა სახის ტრანსპორტი თავისუფლად მიმოდიოდა. შემდეგ თვალწინ წარმომიდგა სოფლის თავზე გადმომხობილი უზარმაზარი გლუვი მთა და მისი დაქანებული სათიბ-საძოვარსახნავებიანი, თოვლის შემკავებელი,



უამრავი საცალფეხო ბილიკით გადახაზული ფერდობები თანდათან როგორ გადადიოდა შევაკებაში და სოფელს ებჯინებოდა, თითქოს თოვლის შემკავებელი ბარიერი იყო.

ბულდოზერებს სწორედ ეს ფერდობი გადაეკვეთათ. სწორედ ამ საყრდენის გამოცლამ შექმნა ზვავსაშიში ადგილი სოფლის თავზე. 1987 წელს, დიდთოვლიან ზამთარში, სტიქიამ პირველად უშგულის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში გამოიწვია დიდი ზვავი, რამაც იმსხვერპლა ვალერი ჭელიძის დიდი ოჯახი, მეუღლე და ოთხი შვილი. სულ სოფლიდან 15 ადამიანი დაიღუპა. მას შემდეგ სოფელს ყოველ დიდთოვლიან ზამთარში მეტ-ნაკლები რაოდენობით ესტუმრება ხოლმე ზვავი, ზარალს ზარალი ემატება.

ბუნება ვეფხვი არ არის, იმ წუთში რომ ეცეს მსხვერპლს, როდის იჩენს თავს ადამიანთა მიერ არასწორად გადადგმული ნაბიჯი, წინასწარ არავინ იცის.

მაშინდელი ანალოგიური დანაშაულის შედეგებს ახლა იმკის დაბა მესტიის ისტორიული, ასევე იუნესკოს ნაკრძალთა შორის დასახელებული უბანი ლაღამიც, რომელსაც სტიქიის მქუხარების პერიოდში თავისი ფეხით ესტუმრა საქართველოს პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი.

ეს ის სოფელია მესტიის რაიონში, სადაც სვანეთის 300 ეკლესიათა შორის ერთადერთი ორ სართულიანი მაცხოვრის ეკლესია დგას. ამის გარდა 40-კომლიან სოფელში X-X1 საუკუნეებში აშენებული 9 კოშკია. სწორედ ეს სოფელია, რომელზეც, ვერტმფრენიდან გადმოსულმა ბადრი პატარკაციშვილმა წარმოთქვა: „ღმერთო ჩემო, რა საოცარი სილამაზეა, ეს სოფელი მე უნდა შევიძინო“.

სვანებს 7000 წელზე მეტია, მუდმივი საცხოვრისი მიწა-წყალი არ მიუტოვებიათ, მხოლოდ ახლა დაუდგათ ეს ჯოჯოხეთური ეტაპი. თუ ხელისუფლება ეროვნული გადასახედიდან შეხედავს, სვანეთის ჯერ კიდევ შემორჩენილ მოსახლეობას თავის კერიას არ მიატოვებინებს. ახლა საჭიროა ყველა გავერანებული, მიწასთან გასწორებული ადგილი აღვადგინოთ. ის გზა, რომლის გაყვანასაც თავის დროზე ამ სტრიქონების ავტორმა ჩაუყარა საფუძველი, იქ უნდა გავიყვანოთ, სადაც თავდაპირველად მოვნიშნეთ, მაგრამ ფულის მკეთებლებმა შეცვალეს.

რაც შეეხება სოფელ ლაღამის თავზე წარმოქმნილ დამეწყრილ ადგილს, რომელმაც მართლა შეიძლება შეიწიროს ათასწლოვანი ისტორიული სოფელი, სჭირდება ერთი უბრალო რამ. გაყვანილ გზებზე და გზის მოსახვევებს შორის დამეწყრილ-დანაპრალებულ ადგილებზე, გზებზე დაირგოს მწვანე ნარგავები, გზები გავიყვანოთ იქ, სადაც თავდაპირველად იყო მონიშნული. ეს პროგრამა რთული იქნება, მაგრამ აუცილებელია, რათა შევინარჩუნოთ მსოფლიოს უმშვენიერესი კუთხე სვანეთი, მასთან ერთად სამთო-სათხილამურო სპორტში მსოფლიო რანგის შეჯიბრების და საწვრთნო საქმიანობის ჩასატარებლად შეუდარებელი, უნიკალური ადგილები, რომლის შესახებაც 35 წელია ვწერთ. საბჭოთა ეპოქაში ხელისუფლებამ დადგენილებაც კი გამოიტანა მისი ათვისების შესახებ. სწორედ დადგენილების ნაწილია არასწორად გაყვანილი გზა. „სპეცტრანსმა“ საბაგირო გზების დამპროექტებლებიც კი გაგზავნა, მაგრამ შემდეგ საქმე შუა გზაზე მიატოვეს.

ქვეყნის ახალი მმართველობა ალბათ გონების თვალით გადახედავს ვითარებას და მდგომარეობის გამოსწორებაზე დროულად იზრუნებს.

**პირიმე გვარლიანი,**
**„სრ“ კორ. სპორტის ოსტატი.**

განსჯა

# თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური რისკები

(მესამე გვერდიდან)

ინსტიტუციონალიზაციის პროცესი სისტემური ხასიათის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ორგანიზაციის სისტემური ხასიათის განუვითარებლობის რისკებს შობს. კრიზისი ასახავს „ზედების“ სწრაფვას მოახდინონ პირამიდის მწვერვალის კორექტირება. მასებს კი, რომლებიც ქაოსურ მდგომარეობაში არიან, ჯერჯერობით არ ძალუძთ იდეოლოგიის უქონლობის პირობებში მოახდინონ ინტერესთა საკუთარი ჯგუფების ორგანიზება. ისინი ჯერჯერობით „მართვადი მასის“ როლს ასრულებენ, რომელიც „პურსა და სანახაობას მოითხოვს“.

დასავლური ფასეულობების პირდაპირი კოპირება ინფორმაციული საზოგადოების პირობებში გამხრწნელად მოქმედებს ეროვნულ ფსიქიკაზე და ჩამოშორების და ძალადობის რეაქციას იწვევს.

ბოლო ხანებში თვალნათლივ მჟღავნდება პოსტრევოლციურ პერიოდში ქართული საზოგადოების განვითარების კრიზისი. უწინარეს ყოვლისა, ეს არის მმართველი პარტიის „ნაცმოძრაობის“ ბირთვის დასუსტება. ქვეყანაში მიმდინარეობს პარტიის ორგანიზაციული შენების პროცესი. ზოგ რაიონში ეს პროცესი გადააწყდა არა მარტო ორგანიზაციული, არამედ იდეოლოგიურ-პროგრამული ხასიათის სიძნელეებს. აჭარაში, იმერეთში, კახეთში, სამეგრელოში ასობით წევრმა, რევოლუციის აქტიურმა მონაწილემ მიატოვა პარტიის რიგები. მათი წასვლა ხელისუფლების მიერ საკადრო სფეროში განხორციელებული რეფორმებით გაწბილებას, მოსახლეობის მნიშვნელოვანი მასების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას უნდა დავუკავშიროთ.

**ხელისუფლებამ შეცდომები დაუშვა საკადრო სისტემაში, რაც ობიექტურად კანონზომიერი მოვლენაა. რევოლუციონერებს ხელისუფლების ახალი ვერტიკალის აგება გზადაგზა უწევთ. სახელმწიფო აპარატის, ახალი ბიუროკრატიის შექმნასთან დაკავშირებული მწვავე პრობლემების გადაწყვეტისას ისინი დროის დეფიციტს განიცდიან. საკადრო შიმშილი მათ აიძულებს „კარუსელის“ პოლიტიკა აწარმოონ. იმისათვის, რომ „ზევით მყოფებმა“ კორუმპირება ვერ მოასწრონ, „შენჯღრევაა“ საჭირო და სამინისტროთა ხელმძღვანელები თავიანთ „მეგობარ-ამხანაგებთან“ ერთად ხშირ-ხშირად იცვლიან ადგილს, რაც არა მარტო კორპორაციული ინტერესების, არამედ ახალი კლანების ჩამოყალიბების შესაძლებლობასაც ქმნის.**

მაგრამ ეს იძულებითი ნაბიჯებია, რადგანაც პოლიტიკური და საკადრო რესურსები დიდი არ არის.

დღემდე არ არის მოგვარებული კადრების რეგიონებიდან წამოყენების პროცესი.

ხელისუფლების პირველი კრიზისის გამოვლინება იყო ხელისუფლების ბირთვის დასუსტება პირამიდის სულ ზედა ნაწილში. ზურაბ ქვანიას დაღუპვის შემდეგ დასუსტდა მიხეილ სააკაშვილისა და ნინო ბურჯანაძის „დუუმვირატიც“. პარლამენტის თავმჯდომარე აშკარად ჩრდილში მოექცა. აღმოჩნდა, რომ ის სუსტი მოთამაშე ყოფილა, ის ვერ იქნება პრეზიდენტის თანასწორუფლებიანი პარტნიორი. პარლამენტსა და მის ფარგლებს გარეთ ბურჯანაძის თავს დატეხილმა შეტევებმა აშკარად დასცეს „ქართველი რკინის ლედის“ რეიტინგი. ამაში ის თვითონაც არის „დამნაშავე“, რადგანაც ვერ მოძებნა საერთო ინტერესები „ზურაბ ქვანიას გუნდთან“, რომელიც ასევე დაშლის პროცესს განიცდის. ალბათ, მომავალ პოლიტიკაში ნინო ბურჯანაძისთვის ადგილი არ მოიძებნება. პირველ პოზიციებზე ინაცვლებენ „ნაციონალური მოძრაობის“ უფრო რადიკალური წევრები: გიგა ბოკერია, გივი თარგამაძე, დავით კირკიტაძე, რომლებიც პრეზიდენტისეული გვარდიის საბრძოლო ჯგუფს შეადგენენ. ჭრელი ოპოზიცია ცდილობს ისარგებლოს პირამიდის ზედა ნაწილის დასუსტებით, სადაც ძალაუფლება სულ უფრო მეტად იყრის თავს პრეზიდენტის ხელში.

ზურაბ ქვანიას დაღუპვის შემდეგ ძირითადი დარტყმა მიმართული იყო თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილისკენ, ძლიერი ქარიზმული პიროვნებისკენ, რომელიც დიდხანს იყო პრეზიდენტის მარჯვენა ხელი. ახლა, როგორც ჩანს, მას დამოუკიდებელი თამაშის წამოწყებაც შეეძლო. მმართველ პარტიაში განხეთქილების შეტანა, მისი ბირთვის დასუსტება, პრეზიდენტის ინტერესებში არ შედის. ის ისწრაფის, ხელისუფლების სხვადასხვა დაჯგუფების ბრძოლაში არბიტრის როლი ითამაშოს. პრეზიდენტმა „ნაციონალ“ ირაკლი ოქრუაშვილისა და „დემოკრატ“ გიორგი ბარამიძის დაპირისპირებიდან პოლიტიკური დივიდენდების მიღება შეძლო, მაგრამ წინააღმდეგობის პრობლემა არ მოხსნილა.

ოპოზიციის პიარცენტრებმა ახლა სხვა ძალოვან მინისტრებს — ვანო მერაბიშვილსა (შს მინისტრი) და ირაკლი ოქრუაშვილს (თავდაცვის მინისტრი) შორის დაიწყეს „ხელისუფლების ნავის რწევა“. შეგვიძლია გავიხსენოთ ძალოვანთა შეცვლა შიდა ქართლში კონტრაბანდასთან ბრძოლის კამპანიასთან დაკავშირებით. დაიწყო შეტევები ფინანსური პოლიციის უფროს დავით კეზერაშვილზეც. ცხადი გახდა, რომ ხელისუფლების ანტიკორუფციული საქმიანობა გავლენიანი დაჯგუფებების ინტერესებს შეეხო.

ამ ფონზე ოპოზიციის აქტიურობის გაძლიერება მიზნად ისახავდა საჭადრაკო პოლიტიკურ დაფაზე საკუთარი კოორდინატების გაცხადებას, რათა არჩევნების წინ საზოგადოების ცნობიერებაში ალბეჭდილიყვნენ და საერთაშორისო კურატორებს დანახვებოდნენ. ფინანსური დახმარების მიღების მიზნით. პრეზიდენტის განცხადება საქართველოში სიტუაციის გამწვავების საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ 2005 წლის გაზაფხულზე, იმაზე მეტყველებდა, რომ ხელისუფლებამ გამოწვევა მიიღო.

ოპოზიცია აქტიურად ლაპარაკობს ხელისუფლების ლეგიტიმურობის კრიზისზე, პარტიისა და მისი ქარიზმული ლიდერისადმი ხალხის ნდობის დაკარგვის ნიშნებზე. მოჰყავთ სოციოლოგიური გამოკითხვების, კერძოდ „გორბის“ მონაცემები მიხეილ სააკაშვილის რეიტინგის 25 პროცენტით, მმართველი პარტიის კი 47 პროცენტით დაცემის შესახებ.

დაიწყო თამაში რისკთა მოედანზე, სადაც თავს ლაღად ლეიბორისტები გრძნობენ, რომლის ლიდერი შალვა ნათელაშვილი დიდ იმედებს ამყარებდა პრეზიდენტ ბუშის ვიზიტზე საქართველოში და საკუთარ ვიზიტზე აშშ-ში 2005 წლის მაისის შუა რიცხვებში. სანიმუშო ფაქტი: პოლიტიკური და სხვა რესურსების შეზღუდულობის გამო პოზიცია და ოპოზიცია კვლავაც ლეგიტიმაციის გარე წყაროებს მიმართავენ.

ამჟამად ოპოზიცია ხელისუფლების დასუსტების მორიგ ნიშნულზე გადადის - ჩნდება არა მარტო პრეზიდენტის ოფიციალური გარემოცვის, არამედ მისი უახლოესი ოჯახური გარემოცვის მადისკრეტირებული სტატიები, კრიტიკოსთა მტკიცებით, პრეზიდენტის ოჯახური გარემოცვის წარმომადგენლები, მის ზურგსამოფარებულნი, თავის კერძო ინტერესებს ლობირებენ. არსებითად დარტყმა ადგება „ვარდების რევოლუციას“, რომელიც წინა ხელისუფლების კორუმპირებულობის, კლანურობის წინააღმდეგ იყო მიმართული. შეინიშნება ტენდენცია შეიქმნას მწკრივი „ვარშალომიძის კლანიდან“ აჭარაში, „ქარელის კლანიდან“ შიდა ქართლში, „სააკაშვილის კლანამდე“ ქვეყნის ცენტრში. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, მან შეიძლება ძირი გამოუთხაროს ძალზე მყიფე სახელისუფლებო სისტემას, მით უმეტეს, რომ ცენტრი რეგიონალურ პოლიტიკას ჯერჯერობით სერიოზულ ყურადღებას არ უთმობს.



ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტის გამო შეიძლება ეთნიკური და პოლიტიკური კონფლიქტები განვითარდეს სამცხე-ჯავახეთში, წალკაში, სვანეთის მაღალმთიან რაიონებში (სვანეთიდან ვ. ჯაფარიძე პირდაპირი საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების თხოვნით მიმართავს პრეზიდენტს).

„გალხობილი კონფლიქტების“ გადაჭრის დაჩქარებისკენ სწრაფვას შეუძლია გააძლიეროს ძალებისა და სახსრების დაქსაქსვის, ხელისუფლების წალეკვის ტენდენცია. ყველა რევოლუციურ უბანზე შეტევა შეუძლებელი იქნება. აუცილებელია სტრატეგიული მიმართულებებისა და მათი გადაწყვეტის რესურსების განსაზღვრა.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა ტერიტორიების შემოერთების პრობლემაზე. ეს თემა ახდენს ყველა იმ რისკფაქტორის კატალიზირებას, რომელიც არსებობს ან შეიძლება წარმოიშვას.

ახალმა ხელისუფლებამ, რევოლუციონერებმა ძველი კონფლიქტების „გალხობა“ გადაწყვიტეს. „რევოლუციური შეტევები“ წარმატებული აღმოჩნდა „ფეოდალური ოლიგარქთან“ ასლან აბაშიძესთან მიმართებაში, რომელმაც აჭარაში ძალაუფლების უზურპირება მოახდინა, მაგრამ ასეთი „ჰუმანიტარული აქციები“ აშკარად უვარგისია ცხინვალის რეგიონთან და, მით უმეტეს, აფხაზეთთან მიმართებაში. ეს თვითგამოცხადებული რესპუბლიკები საკმაოდ დიდი ხანია არსებობენ დე ფაქტო. გარკვეული პრობლემებია საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან ურთიერთობებში, რომლებიც გამორიცხავენ პირდაპირ ზეწოლას სეპარატისტებზე. ვფიქრობ, რომ ჩემს მიერ გაკრიტიკებულ „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში“ არასაკმარისად არის გათვალისწინებული წინააღმდეგობათა მჭიდრო კვანძის გახსნის რეალიები და ვარიანტულობა. ამ პროცესებს ხანგრძლივი ხასიათი უნდა ჰქონდეს და მთლიანობაში ისინი როგორც საქართველოში, ისე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დემოკრატიზაციის პროცესის წარმატებულობასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ეს ურთიერთკომპრომისებზე, ფედერალური სახელმწიფოს ფორმულის ძიებაზე დაფუძნებული ინკორპორაციის რთული პროცესია. ასეთი კონცეფცია, ჯერჯერობით, არ არსებობს. აპელირება აფხაზეთის მხარის მიერ არცნობილი „ბოდენის დოკუმენტით“ და საქართველოს პრეზიდენტის სტრასბურგში გამოსვლის თეზისებით, ჩემი აზრით, ამ ურთულესი პრობლემების გადაჭრის საფუძველი ვერ იქნება.

საქართველოში დემოკრატიზაციის სრულფასოვანი განვითარების სისტემაზე მომუშავე ექსპერტთა საბჭოებმა ქართული საზოგადოების რეფორმაციის სტრატეგიული, გრძელვადიანი და მოკლევადიანი პროგნოზები უნდა განსაზღვრონ.

**იური სულაბერიძე,**
**პოლიტოლოგი.**

საერთაშორისო ტურნირები

# სპორტის სასახლე უმასპინძლებს

**18-19 ივნისს გივი კარტოზიას სახელობის თბილისის სპორტის სასახლეში დიდი საჭიდაო ფესტივალი გაიმართება. იქ მოეწყობა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, „ჭიდაობის პროფესორად“ შერაცხული ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში და XX საუკუნის ლეგენდარული ფალავნის გივი კარტოზიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ასპარეზობა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.**



ამ საინტერესო შეჯიბრებას მიეძღვნა საგანგებო პრესკონფერენცია, რომელიც გუშინ კაფე „სპორტში“ გაიმართა. მასმედიის წარმომადგენლებს მომავალი ტურნირების შესახებ ესაუბრა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ახლადარჩეული პრეზიდენტი, პარლამენტარი **კახა გეწაძე.**

ვახტანგ ბალავაძისა და გივი კარტოზიას ტრადიციული საერთაშორისო ტურნირები ძველებურად უნდა შევიტანოთ ფილას (ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია) ყოველწლიურ კალენდარში. ჩვენი ფედერაციის მოვალეობაა, მაღალ სპორტულ დონეზე გავმართოთ ეს უმნიშვნელოვანესი ტურნირები, რომელთაც ადრე სპეციალისტები „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატს“ უწოდებდნენ.

შეჯიბრება ორ ხალიჩაზე გაიმართება. ასპარეზზე გამოვლენ აზერბაიჯანის, რუსეთის, სომხეთის, უკრაინის, საბერძნეთის, ისრაელის და საქართველოს მოჭიდავეები. ტრამვის გამო ხალიჩაზე ვერ ვიხილავთ მსოფლიოს ჩემპიონებს — ლუკა (ელდარ) კურტანიძესა (თავისუფალი ჭიდაობა) და მუხრან ვახტანგაძეს (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა). ორთავე ტურნირის კომისრად ფილამ ირანელი ახმად თალიბი მოავლინა.

საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს გათამაშდება 4-4 მედალი, მეორე დღეს ბრძოლაში ჩაებმებიან ჭიდაობის ორთავე სახეობაში კიდევ 3-3 წონითი კატეგორიის ფალავნები. შეჯიბრების მთავარი არბიტრია თბილისელი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი თემურ ყაზარაშვილი.

**შალვა ქორიძე,**
**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

მინიფეხბურთი

# „იმედი“ 6 ქულით დაწინაურდა

**გაგა დარასელის ხსოვნისადმი მიძღვნილ მინიფეხბურთელთა ტრადიციულ ტურნირზე გუშინ მე-2 ტურის მატჩები გაიმართა. გაუწყებთ მათს შედეგებს: „სარბიელი“ — „იმედი“ 2:3, „IIარხი“ — „რუსთავი-2“ 5:2, „მზე“ — „აფხაზეთი“ 2:2, „მთავარი“ — „ბოცვაძელები“ 2:4.**



ორი ტურის შემდეგ 6 ქულით „იმედი“ ლიდერობს. „მზესა“ და „აფხაზეთს“ 4-4 ქულა აქვთ. დღეს III ტურის ორთაბრძოლები 16 საათიდან დაიწყება.

**სურათზე: „ირაოზე“ გამართული შეხვედრის მომენტი.**

**ჯავარ ლომაძის ფოტო.**

ბილიარდი

# „იმპერიალიდან“ „ზევსში“ გადაინაცვლებენ

**სამ დღეს მასპინძლობდა საბილიარდო კლუბი „იმპერიალი“ საქართველოს ჩემპიონატს „პულში („9-იანი“). პირველობისთვის 18 ქალი და 56 ვაჟი იბრძოდა. დაძაბული პაექრობების შემდეგ ქალთა ფინალში სოხუმელმა თამუნა კანკიამ 7:3 სძლია თბილისელ ანა დარახველიძეს და ჩემპიონობა მეორედ მოიპოვა. მესამე ადგილზე დედაქალაქელი ირმა მიქაძე გავიდა.**

ვაჟებში თბილისელმა გურამ ჭოლოშვილმა გადამწყვეტ შეხვედრაში თანაქალაქელი ომარ გელაშვილი დაამარცხა 9:6. მესამე ადგილი ივანე ველთაურს (თბილისი) ხვდა.

ბილიარდის საერთაშორისო ორგანიზაციამ საქართველოს ფედერაციასთან ერთად დაადგინა, რომ „კავკასიის თასზე“ II საერთაშორისო ტურნირი წლეულს ბათუმში გაიმართოს. აჭარის დედაქალაქი ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებას 15-18 სექტემბერს უმასპინძლებს.

**გიორგი გაგუა.**



სეზონის წინ

# გერმანია-შვეიცარიის გავლით — ლიგაში

**24 ივნისს შვეიცარიაში, უეფას შტაბბინაში ჩემპიონთა ლიგის I ეტაპის კენჭისყრა მოეწყობა, სადაც თბილისის „დინამოს“ მეტოქე გაირკვევა. მომავალი სეზონისათვის სამზადისს კახი ცხადაძის გუნდი გერმანიასა და შვეიცარიაში შეკრებებით იწყებს, სადაც დღეს შემდეგი შემადგენლობით მიემგზავრება:**

**მეკარეები:** ზოიძე, სტურუა, თოთლაძე;

**მცველები:** კანდელაკი, ორბელაძე, კაშია, ალადაშვილი, თომაშვილი, გიგაური, აბრამიძე, აკობია;

**ნახევარმცველები:** ნავალოვსკი, ჭელიძე, გრიგალაშვილი, ნოზაძე, ოდიკაძე, ბაბუნაშვილი, ნერგაძე, მახარაძე;

**თავდამსხმელები:** მეგრელაძე, დვალიშვილი, ბობოხიძე, მელქაძე.

საწვრთნელ შეკრებამდე დინამოელთა თავკაცმა დიღმის ბაზაზე გუშინ პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა: ვინაიდან ჩემპიონთა ლიგაში ჩაბმამდე სულ რამდენიმე კვირაა დარჩენილი, ბიჭებს მხოლოდ ათდღიანი შვებულება ჰქონდათ. ვარჯიშების განახლების შემდეგ ტექნიკური ხასიათის დატვირთვებით შემოვიფარგლეთ, ბურთზე კი თანდათან რუიტის განთქმულ ცენტრში გადავალთ.



გულშემატკივარი უკვე ინფორმირებულია, რომ გერმანიაში სპარინგმატჩებს რეგიონალლიგის კლუბებთან გავმართავთ. მიზეზი ბანალურია — ბუნდესლიგის ბინადრები ჯერაც ისვენებენ, თანაც, სანამ არ „ავკრიფავთ“ სათანადო კონდიციებს, არც ჩვენ ვცდილობდით ძლიერ მეტოქეთა მოძებნას. სამაგიეროდ, საკუთარ შესაძლებლობათა ჭეშმარიტ ზღვარს შვეიცარიაში, იქაურ „სენტ გალენთან“ და „გრასხოპერსთან“ შეხვედრებში შევამოწმებთ.

დასასრულს კახი ცხადაძემ გუნდიდან წასულთა შესახებაც ისაუბრა: კონტრაქტი დაუმთავრდათ ჭიჭკვეიშვილსა და ლაშა ჭელიძეს, ტრანსფერზე დავაყენეთ რომერო და მამალაძე, გავანათხოვრეთ დვალი და ქუცურუა, ჯამარაული კვიპროსის აელ-ში ქეცბაიასთან და ქინქლაძესთან გადავიდა, კაკალაძემ უმჯობესია, ამ ეტაპზე სხვა კლუბში ითამაშოს. ჯერჯერობით გაურკვეველია იაშვილისა და ქემოკლიძის საკითხი.

* * *

***გერმანია. კონფედერაციათა თასი. „ბ“ ჯგუფი ბრაზილია — საბერძნეთი 3:0 (ადრიანო, რობინიო, ჟუნინიო), მექსიკა — იაპონია 2:1 (ზინია, ბორხეტი; იანაგისავა).***

სპორტულ ორბიტაზე

## გიბრალტარის ცივ წყალს არ შეუშინდა

**ცნობილმა სამხრეთ აფრიკელმა მოცურავე-მარათონელმა ქალმა კარინა ბრუვერმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა გიბრალტარის სრუტის ცურვით გადალახვაში — 16 კილომეტრი მღელვარე წყალში, აფრიკას ევროპიდან რომ ჰყოფს, მან 3 საათსა და 35 წუთში გადალახა, რითაც 2 წუთით გააუმჯობესა ინდოელი ქალის ბულა ჩოუდხურის მიერ 2000 წელს დამყარებული რეკორდი.**



25 წლის ბრუვერი კეპტაუნიდანაა, ის პროფესიით ფლეიტისტია, ხელმძღვანელობს საკუთარ მუსიკალურ სააგენტოს. ის დასპეციალებულია შორეულ გადაცურვებში, თანაც არ უშინდება ცივ წყალს, რომელსაც კეპტაუნში მიეჩვია, სადაც სათავეს იღებს ბენგელის დინება.

ვარჯიშის დროს ის კეპტაუნის სანაპიროდან ხშირად მიცურავს ცნობილ კუნძულ რობენამდე, სადაც პოლიტიკური პატიმრების ციხეა, რომელშიც 20 წელი იჯდა ნელსონ მანდელა. აქ ატლანტიკის ოკეანის წყლები იშვიათად თუ თბება ცელსიუსით 14 გრადუსზე ზევით.

ბრუვერსვე ეკუთვნის მსოფლიო რეკორდი 11 კილომეტრზე — 3 საათი და 42 წუთი იგი მსოფლიოში ერთადერთი სპორტსმენია, ვისაც უცურავს აფრიკის უკიდურესი ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაპირების გარშემო. უახლოეს დროში კარინა ლა-მანშის დაპყრობასაც აპირებს.

## ყველაზე გავლენიანნი მსოფლიოში

**ასეთ რეიტინგს ყოველწლიურად აქვეყნებს ამერიკული გამოცემა Forbes. მასში არ ფიგურირებენ მოქმედი სახელმწიფო მოღვაწეები და პოლიტიკოსები. სიის შედგენისას ითვალისწინებენ რამდენიმე პარამეტრს. კერძოდ, კანდიდატების მიერ წელიწადში გამომუშავებულ ფულს, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციების საშუალებებში მათი მოხვედრის ინტენსიურობას.**

ამ ვრცელ სიაში მსოფლიო სპორტის რამდენიმე ვარსკვლავიც მოხვდა. მაგალითად, მეორე ადგილზეა ცნობილი გოლფისტი ტაიგერ ვუდსი, მას მხოლოდ ტელეწამყვანმა ქალმა ოპრი უინფრიმ გადაუსწრო. მე-5 პოზიციაზე კალათბურთის ეროვნული ასოციაციის ვარსკვლავი შაკილ ო'რნილი, ამ სიაში მოხვდა, თუმცა 57-ე ადგილზე რუსეთელი ჩოგბურთელი მარია შარაპოვაც. Forbes-ის ცნობით, შარაპოვამ გასულ წელს 18,2 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, 829 ათასჯერ ის მოხსენიებულია ინტერნეტში, პრესაში გამოქვეყნდა მისდამი ასე თუ ისე, დამოკიდებული სტატია, რადიოსა და ტელევიზიაში მას მიეძღვნა 112 სიუჟეტი — თავად ეს მონაცემებიც კი ცხადჰყოფს, თუ რა ძნელია ასეთ სიაში მოხვედრა.

ამ სიაში ბევრი სხვა გამოჩენილი სპორტსმენიცაა: ლენს არმსტრონგი (ველოსპორტი, მე-15-ე ადგილი), მაიკლ ჯორდანი (კალათბურთი, 16), მიხაელ შუმახერი (ავტოსპორტი, 17), კობი ბრაიანტი (კალათბურთი, 19), დევიდ ბექჰემი (ფეხბურთი, 26), ოსკარ დე ლა ჰოია (კრივი, 51), ანდრე აგასი (ჩოგბურთი, 59), სერენა უილიამსი (ჩოგბურთი, 62), რონალდო (ფეხბურთი, 72), ვენუს უილიამსი (ჩოგბურთი, 81), ანიკა სორენსტემი (გოლფი, 89) და ა. შ.

## მხარდაჭერა — „ბატონების“ სროლით

**სპორტისადმი სიყვარული რაღას არ გაგაკეთებინებს, განსაკუთრებით მაშინ, თუ კი ეს შენს გუნდს, ქალაქსა თუ ქვეყანას რამეში წაადგება.**

თავად განსაჯეთ, რათა პარიზმა მოიპოვოს 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება, უწინარეს ყოვლისა კი მიიზიდონ 6 ივლისს სინგაპურში, ამ საქმისათვის შეკრებილი სოკ-ის სესიის მონაწილეთა ყურადღება, ფრანგებმა ჭეშმარიტად ფრანგული შეჯიბრება წამოიწყეს ოთხჭიდში. მონმარტრზე ბაგეტების — წვრილი და გრძელი ფრანგული პურის ბატონების — სროლა, დაბრკოლებებით — სკამებით სირბილი ტიულერის ბაღში, ქოლგებით „ფარიკაობა“ ტრიუმფალურ თაღთან და ეიფელის კოშკის ძირას დაწყებული ველო-კროსი მარსის მინდვრის გაზონებზე.




ღმერთმა ხელი მოუმართოთ, მაგრამ, განა ამით შეძლებენ საოლიმპიადო-სადედაქალაქო ბრძოლაში ლონდონის, მადრიდის, მოსკოვის, ნიუიორკის დამარცხებას?



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №15

„სიტყვა არ წამოგცდეს, რომ შენ დაიღალე,
განზე გადექი და ტყვია დაიხალე,
გული გაიხელე, სისხლით გაიხელე,
ოღონდ არ გაბედო, რომ შენ დაიღალე...“

გალაკტიონი.

# რას ნიშნავს პოეტთა თვითმკვლელობა?

**ჩვენი დროების, ვფიქრობთ, სამუდამოდ აუხსნელ მოვლენათა რიგს თანამედროვე პოეტის თვითმკვლელობაც დაემატა: პოეტმა დათო მჭედლურმა საოცარი თვითგამეტებით მოიკლა თავი: სანადირო თოფით ტყვია ჯერ გულში, მერე თავში დაიხალა...**

ის იშვიათად გაწონასწორებული, მშვიდი და კეთილმოსურნე პიროვნება გახლდათ... ამ პოეტს აქვს ასეთი მშვენიერი სტრიქონებიც: **„მღელვარე ზღვაა სიყვარული და ჩვენც, როგორც ხომალდები ვერ გამოვლენ მღელვარე ზღვიდან — ვერ გამოვალთ სიყვარულისგან...“**

თავთან სასიკვდილოდ მიბჯენილი თოფის ლულა, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენგანისთვის **პაოლო იაშვილის** ტრაგიკულ სიკვდილთან ასოცირდება და მიუხედავად დროის თუ პოეტის განსხვავებულობისა, არაერთგვაროვან საფიქრალს აღძრავს.

**რატომ იკლავენ თავს პოეტები? რისგან ვერ იცავენ თავს?**

არის უხილავი კავშირი საიდუმლოებით მოცულ ისტორიასა და ცხოვრების ყოველ მოვლენას და წუთს შორის. წარსული აწმყოშია და აწმყო მომავალში. ყველაფრის ნაწილია ყველაფერი და ახალ ფორმაში ძველი სული მოძრაობს.

ალბათ შეუძლებელია რაიმე მოვლენა ადამიანის სუბიექტური შემეცნებისგან დამოუკიდებლად არსებობდეს.

* * *

**„ვინ უყურებს, თუ რას იტან შენ, შენს ღარიბულ ოთახში, სადაც წერ... როგორ დაჭიმულია შენი ძარღვები, აზრები... ახლა, როგორც ხანდახან, მუშაობის დროს, მოგიგონებ მაგ ცივ ოთახში მომუშავეს და გამიელვებს აზრი: დრო ულმობელი დღევანდელ თაობას ერთ დროს წაგვშლის... როგორც შემოდგომის ფურცელს, შენც მიგფარავს სამუდამოდ...“**

გალაკტიონ ტაბიძის უბის წიგნაკიდან.

* * *

რისგან ვერ დაიცვეს თავი პოეტებმა, დროის წარმავლობისგან თუ მათივე თანამედროვე ემპირიული გარემოსგან? ვხედავთ მხოლოდ შედეგებს და თითქმის არაფერი ვიცით შედეგთა გამომწვევ მიზეზებზე.

ალბერ კამიუ თვლიდა, რომ თვითმკვლელობაზე, როგორც სოციალურ ფენომენზე, საუბარი, ყოველთვის სქემატურია, „რადგან ჩვენ არაფერი ვიცით **იმ წუთებში ადამიანის პიროვნულ ნაფიქრალზე.** ეს გადამწყვეტი ჟესტი გულის სიღრმეში მზადდება. ერთ საღამოს კაცი შუბლში იკრავს ტყვიას, ანდა თავს ჩამოიხრჩობს იმის სურვილით, რომ რაც შეიძლება სწრაფად გაეცალოს გაუგებარ ვითარებას... თავის მოკვლა, გარკვეული აზრით, აღსარებასაც ნიშნავს... ეს აღიარებაა იმისა, რომ **სიცოცხლე გაუსაძლისი გამხდარა“...**

არსებული სინამდვილისგან თავის დაღწევა ყველა ეპოქის პოეტთა გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებული სურვილია და მარადი წვალების მიზეზიც.

— „მე ვფიქრობ მაიაკოვსკიმ თავი მოიკლა სიამაყის გამო, — წერს ბორის პასტერნაკი. მან საკუთარ თავში ან საკუთარ გარემოში ვერ გამართა რაღაც, რასაც ვერ შეეგუებოდა მისი თავმოყვარეობა. ესენინმა



თავი ჩამოიხრჩო ისე, რომ კარგად არც დაფიქრებულა შედეგზე და სულის სიღრმეში იმედოვნებდა: „ვინ იცის, იქნებ ეს არ არის აღსასრული?“. **მარინა ცვეტაევა** მთელი თავისი სიცოცხლე მუშაობით იცავდა თავს. როცა მიხვდა, რომ აუცილებელია ირგვლივ რეალისტის თვალებით მიმოიხედოს, ქაოსი დაინახა, შიშისგან წაიფორხილა. არ იცოდა ამ საშინელებას სად გაქცეოდა და აცახცახებული დაიმალა სიკვდილში... ვფიქრობ, საშინელი ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიების ჯალოში გახვეული პაოლო იაშვილი უკვე ველარაფერს ხვედებოდა და ღამით, როდესაც თავის მძინარე გოგონას უყურებდა, წარმოიდგინა, რომ აღარ არის მისი ცქერის ღირსი. დილით წავიდა და ორი ლულიდან ერთდროულად გასროლილი საფანტით გაიხეთქა თავი“...

პასტერნაკი კომუნისტი მწერლის **ფადეევის** თვითმკვლელობასაც იხსენებს. თანაუგრძნობს ყველა მათგანის აუწერელ სულიერ ტანჯვას და უიმედობას... **ყველა პოეტის თვითმკვლელობის მიზეზი ერთმნიშვნელოვნად აუხსნელი დარჩა.** უფრო მეტიც, მაიაკოვსკის, ფადეევის და ესენინის თვითმკვლელობაზე სერიოზული ეჭვები გამოითქვა. იქნებ ეს მკვლელობა იყო?

გალაკტიონის ტრაგიკული აღსასრულის გამო შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ: „დადგინდა, რომ აღნიშნული მკვლელობა წარმოადგენს თვითმკვლელობას“.

— „ვერავინ დამარწმუნებს, რომ გალაკტიონის მეოთხე სართულიდან გადმოხტომა შეგნებული აქტი იყო. ეს არ ყოფილა თვითმკვლელობა“, — თქვა პოეტის ძმისწულმა **ნოდარ ტაბიძემ...**

როგორ გავიგოთ ეს ფრაზა? **ვახტანგ ჯავახაძეს** თავის წიგნში **„უცნობი“** მოჰყავს შოპენჰაუერის სიტყვები: რომ თავი შეიძლება მოიკლასო სრულიად ჯანმრთელმა ადამიანმაც კი, თუ ტანჯვის ან გარდაუვალი უბედურების სიმძიმე დასძლევს.

გალაკტიონი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს.

**„მოვიკლავდი თავს, მაგრამ ჩემო სამშობლოვ, არ მინდა მძიმე მოგაყენო შეურაცხყოფა...“** დიახ, ეს გალაკტიონის ჩანაწერია, მაგრამ ფაქტია, რომ ის თვითმკვლელობისთვის ემზადებოდა.

გალაკტიონ ტაბიძის ჩანაწერებიდან: **„სოხუმში მივდიოდი, რომ ღამით გემიდან გადავვარდნილიყავი ზღვაში...“ „არავის არ ვუყვარვარ ქვეყანაზე! უკეთესია, რომ მოვკვდებოდე!..“, „თავს მოვიკლავ და ის იქნება. მობეზრებული მაქვს მაინც ცხოვრება...“**

ეს ერთგვარი მზადება, ანუ გადავადებული სიკვდილი, ანუ საბედისწერო ჟესტისთვის მზადყოფნა, ცნობილია ლიტერატურის ისტორიაში. მაგალითად, მალარმემ სერიოზულად განიზრახა თავის მოკვლა ტურნოში, ბეზანსონში და ავინიონშიც...

**სარტრი** ერთი ფრანგი პოეტის შესახებ წერდა, რომ სულ სხვაა, როცა ახალგაზრდა კაცი იკლავს თავს, მაგრამ თვითმკვლელობა, 50 ან 60 წლის პოეტის, რომელიც თავის შესაძლებლობებს იცნობს და სამოღვაწეოდაა განწყობილი, სულ სხვაგვარი ტრაგედიააო...

**— ეს კაცი, ეტყობა, თვითმკვლელია,** — უთქვამს **ჩეხოვს** კაცზე, რომელმაც მოგვიანებით მართლაც მოიკლა თავი.

**„ადამიანი, ვინც თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს, დაბადებით თვითმკვლელია“,** — ჩაუწერია ჩვენს თანამედროვე და ყველასგან დავიწყებულ მშვენიერ პოეტს — **ვოვა მაჩაიძეს,** რომელმაც ასევე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე...

საზოგადოებამ არაფერი იღონა პოეტების და პოეზიის დასაცავად და გადასარჩენად. რატომ არის დღემდე ბოლომდე აუხსნელი თუნდაც პაოლოს ან გალაკტიონის ტრაგედია?

მიზეზთა უსახელო და მარადიული მწკრივი... რატომ და როგორ მოხდა ეს ყველაფერი? სამწუხაროდ, დრო არ არის ყველაფრის ამხსნელი.

წონასწორობადაკარგული, სასოწარკვეთილებამდე მისული გალაკტიონ ტაბიძე, როგორც ჩანს, რაღაც მყარ საყრდენებს ეძებდა, როცა ასეთი სიტყვები ჩაინიშნა თავის უბის წიგნაკში:

„ყველას და ყველაფერს წაართვა ფერი ჩვენმა დამანარცხებელმა დრომ. ყველას გამხნევება სჭირდება...“

ნინო ხოფერია.

*P. S. რამდენიმე წლის წინათ, „ლიტერატურულ სახელოსნოში“, ჩემს მოსწავლეებს ეპისტოლარული ჟანრის მნიშვნელობაზე ვესაუბრებოდი და საილუსტრაციოდ სხვადასხვა ეპოქის მწერალთა პირად წერილებს ვუკითხავდი... ბავშვების ემოციებით ვიგრძენი, რომ იმ წუთებში მათთვის დროის საზღვრები წაიშალა და წერილების ავტორთა თუ ადრესატთა სიახლოვეს იგრძნეს თავი.*

*შევთავაზე, რომ ჩვენი მონათხრობის მიხედვით, გარდასული ეპოქის რომელიმე პიროვნებად წარმოედგინათ თავი და ახლობლისთვის წერილი მიეწერათ... საოცარი იყო ამ ბავშვების აღქმის ინტენსივობა და აქედან — შედეგებიც...*

*გთავაზობთ ერთ-ერთ წერილს, რომელიც მაშინ მერვეკლასელმა ლევან ქურდიანმა შეადგინა.*

> *ძვირფასო დაო, კოლომბინა!*
>
> *ჩემს ტიციანს უკვე მივწერე რამდენიმე სიტყვა. ხვალ ვეღარ მნახავთ. მაპატიეთ. ეს არ არის ღალატი, მენდეთ, ჩემი თვითმკვლელობა ერთადერთი გზაა დავუბრუნო ღირსეული სახელი ქართულ პოეზიას. ახლა, მედეას შემდეგ, თამრო და შენ მენატრებით, მაგრამ გვიანია. მე ყველაფერი უკვე გადავწყვიტე. ჩემი ხოვლი თვალები და კანკალებული ხელი, ალბათ, მონანიებაა ყოფილებისათვის. გთხოვ, რომ ტანიტი და მედეა დებივით აღზარდო. ტიციანს გაუფრთხილდი. სიკვდილის წინ ის მაიმედებს, რომ ჩემს პიეროს მაინც სჯერა ჩემი ერთგულების.*
>
> *გეხვევით, გკოცნით მარად თქვენი მოყვარული*
>
> *ჯერ კიდევ ცოცხალი პაოლო იაშვილი.*

## ვინ არის ეს ქალი...

რუსთაველზე, სურათების ეროვნული გალერეის გვერდით, უკვე მესამე წელია უცნაური, პოსტ-მოდერნის ჟანრში შესრულებული, ბრინჯაოს სკულპტურა დგას...

როგორც გალერეის დირექტორის მოადგილემ ქალბატონმა **ლამზირა კვანტალიანმა** გვითხრა, მისი ავტორია **ვაჟა მელიქიშვილი** და ჯერ კიდევ 2002 წელს გახლდათ ექსპონირებული გამოფენაზე, სახელწოდებით: „თბილისში დასადგამ ქანდაკებათა შემოთავაზება“.

ეს სკულპტურა დღემდე, როგორც ჩანს, ისევ „შემოთავაზების“ დონეზე იყო. ამიტომაც გალერეის გვერდით დროებით და არა სამუდამოდ იდგა. ამ ნამუშევრის სახელწოდებაა **„დედა“.**

მისი, როგორც ხელოვნების ნიმუშის, ღირებულებასა და შემდგომ ბედზე სურათების ეროვნული გალერეის ძველ და ახალ დირექტორებს მივმართეთ. შეფასების თვალსაზრისით, მათი გემოვნება ერთმანეთს დაემთხვა.

ბატონი **თემო გოცაძე:** ეს არის ბრწყინვალე ნამუშევარი, მაგრამ განსხვავებული აზრებიც არსებობდა. ამიტომ აქამდე ვერ დაიდგა, მოცულობით არის ძალიან მძიმე და ავტორმა სახლში ვეღარ წაიღო. მერე კი ის მოქანდაკე გარდაიცვალა. ამ ნამუშევრით ავტორმა საკუთარი დედის პორტრეტი შექმნა.

ქალბატონი **ქეთი კორძახია:** ეს მალიან მნიშვნელოვანი და ღირებული ხელოვნების ნიმუშია. უკვე არსებობს თბილისის მერიის გადაწყვეტილება და ამ დღეებში სკულპტურას უფრო წინ წამოვწევთ და სათანადოდ ჩავამაგრებთ.

* * *

ასე რომ, **ძვირფასო თბილისელებო,** არ ვიცით, მოგილოცოთ თუ არ მოგილოცოთ; ამ ბრინჯაოს სკულპტურას, რომელიც თურმე **ქართველი დედის** სიმბოლურ სახეს ანსახიერებს, რამდენიმე დღეში რუსთაველის პროსპექტზე სამუდამოდ ჩამონტაჟებულს იხილავთ.

თბილისის მერიას კი, რომელიც კიდევ ერთ საქმეს ჩაიწერს თავის აქტივში, შეუძლია პოეტის სიტყვები გაიმეოროს:

„ძეგლი აღვიგე — ხელთუქმნელი“...



**პოლიტპატიმარ გივი აბრამიშვილის მოგონებიდან** (ავტორისეული სტილი დაცულია): „ჩემი გამომძიებელი, ძაღლი — **თავდიშვილი,** ღამის პირველ საათზე იწყებდა ხოლმე გამოძიებას. კაცმა არ იცოდა, ვის რომელ საათზე გამოიძახებდა. ღამის პირველი საათიდან დილის ხუთ საათამდე სასაკლაოს ხმა ისმოდა იმ არე-მარეში. მასთან სულ ცხრამეტი დაკითხვა მქონდა და სიტყვა-სიტყვით არაფერს განსხვავებულს არ ვამბობდი. იგინებოდა: „მე შენი ბიოგრაფია არ მჭირდებაო“. მას ხან რომელი გამომძიებელი ეხმარებოდა, ხან — რომელი. არაქათი რომ გაუწყდებოდა თავდიშვილს, შუაღამისას ტელეფონს აიღებდა და თავის მეუღლე თინას ესაუბრებოდა. მე კი ფეხზე დგომით, დასივებული და სისხლიანი ვისმენდი მის თინათინთან საამოს საუბარს...

რომ არაფერი გამოუვიდათ, შემომიგდეს ვინმე **პარასტაევი** „ნასედკად“, რომელიც მაშინვე ვიყიდე და სანამ თავი არ მაქეჟინა, მანამდე არ გაიყვანეს.

ვერ ნახეს ჩემს გამოძიებაში რამე ხელმოსაკიდებელი და საქმე ჯახირით დაამთავრეს. გეგმა შეასრულეს. მე საბოლოო საქმეზე ხელი არ მომიწერია, ვინაიდან მათი შეთხზული იყო მთლიანად.

ჩემი გასამართლების შემდეგ ორი წელი და ცხრა თვე ორთაჭალაში, გამანაწილებელ ციხეში, საკანში გავატარე, სადაც 370 კაცი ვისხედით დახრჩობამდე.

ამ დროს გარეთ ომი იყო... გვაინტერესებდა ყველაფერი ომის შესახებ, ამიტომ სამ-სამ თუმანს ვაძლევდით კაცს, გაზეთი რომ მოეტანა. აკრძალული გვქონდა გაზეთის ნაგლეჯის წაკითხვაც კი. ერთი ვინმე **ჭანტურია,** რომელსაც 15 წელი ჰქონდა მისჯილი, თურმე „ოპერ“ მოროზოვის კაცი ყოფილიყო და მან ამბავი წაუღო, ვითომ მე მთელი კამერა ხელში მიჭირავს და ორგანიზაცია მაქვს ციხეში. ეს ამბავი გავიგე და ისეთ დღეში ჩავაგდე გამცემი ჭანტურია, რომ ციხის ლაზარეთში მოათავსეს...

ჩემი დატანჯული დედა და მამა ჩამოვიდნენ ჩემს სანახავად. სულ ორი საათი მომცეს დრო შევხვედროდი მშობლებს. არ ვიცი, რა მოხდა და მათი წასვლის შემდეგ მეძახის ლაგერის უფროსი, მწამებელი იურკოვსკი. შემომთავაზა ახლადაშენებულ აბანოში მუშაობა. ეს დიდი პატივი იყო ლაგერში, სადაც 5000 ქალი იყო და დანარჩენი მამაკაცი, გაყოფილი ვიყავით ეკლიანი მავთულით. თუ კაცმა მოინდომა, ეკლიანი მავთული ვერ დაიჭერს ბუნებრივ მოთხოვნილებებს. **ამიტომ ცხრა თვის შემდეგ საჩქაროდ საბავშვო ბაგა ააშენეს. ვინ იცის, იქიდან რამდენი უპატრონო ბავშვი დარჩა...**

ლაგერში სულ 18-19 წლის ახალგაზრდა ქალიშვილები ისხდნენ: ლატვიელები, ლიტველები, ესტონელები... პოლონეთიდანაც... ეს ის ქალიშვილები იყვნენ, ვისაც მე ვემსახურებოდი აბანოთი... შიშველ ქალიშვილებში დავდიოდი... მაგრამ დიდხანს არ შემრჩა, გამომაგდეს, რა თქმა უნდა, ქალების გულისთვის...

**1945 წელს, როგორც პოლიტიკურ პატიმარს, ჩრდილოეთში მიკრეს თავი. თექვსმეტვაგონიანი ეშელონი მიადგა კავკასიიდან ვორკუტის ქვანახშირის „ბასეინს“.**

როცა ვაგონიდან გადმოვდიოდით, იქით-აქედან თურმე ლაგერის ორი უფროსი იდგა და ხალხს ირჩევდნენ, ვინც კარგად ხტებოდა ვაგონიდან, იმას იტაცებდნენ (რისთვის არ ვიცი). მეც ერთმა ხელი ჩამავლო: „იქით წადიო“. გული მომივიდა და ვუთხარი: „Что, скатину покупаите, что-ли?“ და სადაც კარგი ბიჭები იდგნენ, იქით გავექანე. მეორე დღეს ჩაგვყარეს ქვანახშირის შახტებში, სადაც აუტანელი შრომა იყო.

ყოველდღე ვწერდი სახლში მამაჩემს, მაგრამ პასუხს არ ვიღებდი იმ მიზეზით, რომ თურმე აკრძალული მქონდა სახლთან კავშირი...

ერთხელ დამსაჯეს და კარცერში ჩამსვეს. ჩამწერეს განსაკუთრებული რეჟიმის ბრიგადაში (БУР) დავყავდით მდინარე ბაქსანზე, სადაც მოდიოდა ოცი მანქანა „სუდაბეკერი“ და ისინი თექვსმეტ კაცს უნდა გაგვევსო სველი ქვიშით. იმ თექვსმეტი კაციდან სამნი ვიყავით პოლიტიკურები. დანარჩენი სულ ქურდები — „ზაკონინები“. ისინი არ მუშაობდნენ. ვერც კანვოი აძალებდა მათ მუშაობას. ისხდნენ ცეცხლთან და თბებოდნენ. მეც ავიღე ეს ჩემი დიდი „ლაპატკა“, გადავაბრუნე და მათსავით ჩამოვჯექი ცეცხლთან, მოვიდა ორი რუსი ქურდი და ამაყენეს: წადი იმუშავეო. მე ჩემი „ლაპატკით“ გავხტი გვერდზე. ჩემსკენ წამოვიდა „ლაპატკებით“ თოთხმეტი ქურდი, მოსაკლავად. ვიფიქრე: „ერთს მაინც ხომ მოვასწრებ, ჩავაძაღლო-მეთქი“. ამ დროს გამოქანდა ერთი ქართველი ქურდი — „ზაკონიკი“ **მიშა ჯაიანი** და ყვირილით მიმართა იმათ: „რას შერებით, ეგ კაცი გიჟია, მოგკლავთ რომელიმეს და მერე წადით და კანონი ეძიეთო!“ ამით გადამარჩინა და სამი თვე „БУР“-ში მეც ცეცხლთან ვთბებოდი.

ის. მე-6 გვ.



(მეხუთე გვერდიდან)

ექვსი თვე ვიმუშავე საერთო სამუშაოზე შახტში, რის შემდეგ მეძახის შახტის ინჟინერი კლიოპოვი და მეკითხება: **„ქართველი ხარ?"** როცა შეიტყო, რომ ქართველი ვარ, მითხრა: „ამ ლაგერში, სადაც შენ ახლა იმყოფები, მე გავათავე ორი წელიო. ვკვდებოდი და ლაზარეთში ექიმმა, გვარად **გაბუნიამ** გადამარჩინა სიკვდილს. იმ კაცმა სასჯელი დაამთავრა და წავიდა ისე, რომ პატივი არ მიცია. ამისთვის მინდა პატივი ვცე რომელიმე ქართველს. შენ გატყობ ხარ Благородний Грузин. ამიტომ ხვალიდან გამოხვალ, და იმუშავებ შახტის ინსტრუმენტალურ სახელოსნოშიო". **მეშველა! კაცმა სიკვდილისგან გამომიყვანა. იმ დროს შახტებში გაზისაგან ყოველ ცვლაში კაცი იღუპებოდა. ფაქტიურად, მიშველა ისევ ქართველი კაცის კაიკაცობამ. აი, რას ნიშნავს ქართველობა!**

შორეულ ჩრდილოეთში ჩემი ადრესი იყო: Интинский р-н Кашим, угол 2575/35 КРД. რას ნიშნავდა ეს КРД დიდი ხნის შემდეგ შევიტყვე: თურმე კონტრევოლუციურ მოღვაწედ ვიყავი მონათლული და ამ ზუსტი დასახელების გარეშე. ვერც წერილს მივიღებდი.

ჩემს ლაგერში თექვსმეტი ათასი კაცი იყო და ძველმა პატიმრებმა მიამბეს: ჩვენ სასამართლო არ გვქონიაო. აქ ძალით მოგვაწერიეს ხელი ათ-ათი წლის სასჯელზეო.

ლაგერში ორად ორი ქართველი ვიყავით... ერთმა რუსმა პროფესორმა შემეკითხა: ქართველები ქრისტიანები არიანო? ვუთხარი: „ვინ მოგცა პროფესორობა?"-თქო. ქართველებს აქ ცუდად გვეპყრობოდნენ, ასე გვეძახდნენ: „Звери идите суда!". იმ შეურაცხყოფისთვის, რომელიც ყოველ წუთში მესმოდა, გადავწყვიტე „ბერიოზკის" მოკლე ჯოხი მეტარებინა სახელოში, ხელზე მიმაგრებული თასმით და როგორც ვინმე მეტყოდა Звери იმ წუთში თავში მიდიოდა ჩემი ჯოხი... დაშინდნენ და ქართველებს „მხეცებს" აღარ გვეძახდნენ...

რვა წლიანი პატიმრობის ვადა მალე მითავდებოდა.

შემდეგ კი მოსკოვიდან ასეთი ბრძანება მოვიდა: გადავესახლებინეთ სამუდამო გადასახლებაში ყაზახეთში...

ვფიქრობდი: „აი, შენი სამშობლოს სიყვარული რა მწარედ რომ დაგიფასდა... და... **უფრო ძლიერად შეგიყვარე მაშინ, ჩემო ძვირფასო საქართველო...** სახლში მელოდებოდნენ ტანჯული მშობლები.... ამანათი მომივიდა ტანსაცმლით. მამა მწერდა: ჩაიცვი შვილო კარგად და ისე ჩამოდიო... **მე კი სამუდამო გადასახლებაში მიკრეს თავი...** ჯამბულამდე სამი თვე და 11 დღე ვიმგზავრე პირუტყვის ვაგონით. რა ქალაქები და ციხეები არ გამომატარეს, ციხეებში გაჩერებებით. ეს **ვიატკაო, სვერდლოვსკიო, ორენბურგიო და ხოლილეცკიო...** რომლის მსგავსი ციხე არც მქონდა ნანახი, მეფის რუსეთის დროს აშენებული, უცნაური რამ, სადაც გასაღების ჭახუნის მეტი არა ისმოდა რა... **კიროვის ციხეში** კი მეორე დღეს გასასეირნებლად წაგვიყვანეს. **ციხის მეორე სართულის სარკმლიდან ვიღაც ქართველი მიყვიროდა: „გივი! გივი!" — შემზარავი ხმით. დღესაც არ ვიცი, ვინ იყო. ალბათ, საწყალი ცოცხალი აღარაა.**



კიროვის ციხეშივე ვნახე ერთი ქართველი, რომელიც ვლადივოსტოკიდან მიეყვანათ, ამერიკიდან ჩამოსული, „პლენად" ნამყოფი. მივეცი ჩემი თბილი ტანსაცმელი, ვინაიდან ის ჩრდილოეთში იყო წასაყვანი, მე კი ცხელ კაზახისტანში მაგზავნიდნენ. გზაში რაც დამრჩა, ის ტანსაცმელიც სულ გავყიდე. პურზე მივყიდე ჩემ ყარაულ, კონვოის. ჩავდივარ ტაშკენტის ციხეში, სადაც დიდ საკანში მხვდება მაშინ მოხუცი მეღვინე — **ჭიჭინაძე.** ათი წელი ჰქონდა მისჯილი. რომ გაიგო ჩემი ბიოგრაფია, ნაგლეჯ ქაღალდზე მიმიწერა ჯამბულის ერთ რესტორანში ვინმე **გაბუნიასთვის** გადასაცემად, რათა მას დახმარება გაეწია ჩემთვის და ჭიჭინაძის ფულიდან 3000 მანეთი მოეცა.

აი, ჩაგვათრიეს ჯამბულში და იქ ველოდი, სად გამანაწილებდნენ. ჩვენი საკანი ღია იყო, ვინაიდან ცხელოდა და ძალიან ბევრნი ვიყავით შიგ, ქალიან-კაციანად. გარეთ მორიგე გვყარაულობდა ავტომატით.

ერთ-ერთმა მორიგემ შემეკითხა: **„შენ ქართველი ხარო?"** ის არ ჰგავდა რუსს. — **„რა რჯულის ხარ-მეთქი?" — „ბულგარელიო"** — მიპასუხა. მან რაღაც მიამბო, როცა ტუალეტში გასვლისათვის გამომიძახა: „მე ჯამბულში მყავს საცოლე და ყოველდღე მასთან დავდივარო. **იქ, მეზობლად ცხოვრობს ერთი ქართველი, პროფესორი, მეუღლითურთ. ისიც სამუდამო გადასახლებაშიო, გვარად წერეთელი"...**

მე განცვიფრებული დავრჩი: ნუთუ, ჩემი ნათლია **ალექსანდრე წერეთელი, უნივერსიტეტის სახელოვანი პროფესორი, 1936 წელს გადასახლებული, 20 წელია რომ არ მენახა, ცოცხალი იყო?** თავზარი დამეცა. თან სიხარულმა ამიტანა. ვთხოვე ჩემს ყარაულს: ნაგლეჯ ქაღალდზე დამეწერა ორიოდე სიტყვა და გადაეცა ნათლიაჩემისთვის. დამეთანხმა... მეორე მორიგეობაზე ბულგარელმა ყარაულმა მომიტანა 100 მანეთი ფული, უბარათოდ და სიტყვიერად გადმომცა: არ მოგშივდესო...

**აი, ეს არის ქართველობა...**

დიდი ლოდინის შემდეგ ჯამბულის შინსახკომმა გამანაწილა 20 კილომეტრის მოშორებით, მიხაილოვსკის რაიონში. თან გამომყვა ავტომატიანი ყარაული, რომელსაც ვთხოვე, სანამ ტრანსპორტს ვნახავდით, ამა და ამ რესტორანში ფული მაქვს მისაღები და გამატარემეთქი. პურიც ვჭამოთ და მერე წავიდეთ-თქო, დამეთანხმა, ისიც მშიერი იყო ჩემსავით.

მივედით რესტორანში, რათა **ჭიჭინაძის** ბარათი გადამეცა გაბუნიასთვის, რომელიც იქ მუშაობდა. ვიკითხე, მაგრამ სამი დღის განთავისუფლებული და ჯამბულიდან უკვე გამგზავრებული აღმოჩნდა. ასე რომ კეთილი ჭიჭინაძის სურვილი ვერ ასრულდა. არადა, ფეხზე ველარ ვიდექი შიმშილისგან. ვიკითხე: **„სხვა არვინ არის-მეთქი ქართველი?"**

გამომიყვანეს ერთი, გვარად **ჭიკაძე** გიორგი, რომელსაც ყველაფერი ვუამბე — ბარათი წაიკითხა. თურმე ჭიჭინაძესაც იცნობდა, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენია. გავბედე და ვუთხარი: **„თუ ძმა ხარ, ხუთი მანეთი მასესხე, ძალიან მშია, მეც და ჩემს ყარაულსაც-მეთქი".** მან ჩაიყო ჯიბეში ხელი. ამოიღო დასტა ფული. ეძება და ეძება იმაში **ერთი ხუთმანეთიანი** და გამომიწოდა, რომელიც იქვე უცბად „შევჭამეთ" მე და ჩემმა ყარაულმა.

**აი, ჭიკაძე გიორგი — საგარეჯოდან. ესეც ქართველია ვითომ...**

ჩამიყვანა ჩემმა „ავტომატჩიკმა" მიხაილოვსკის რაიგანყოფილებაში და დამემშვიდობა. იქ უფროსი ყაზახი იყო. გადმომიღო დაბეჭდილი ქაღალდი, სადაც ეწერა: მე, ესა და ეს პოლიტიკური პატიმარი, დღეიდან ვიმყოფები სამუდამო გადასახლებაში ამა და ამ ტერიტორიაზე და აქედან გასვლა აკრძალული მაქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებ 20 წლიან კატორღას. მომაწერინა ხელი და ჩააკერა ჩემს საქმეში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 137.**




**იზი დღევანდელობის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ლიტერატორია. მაგრამ ქონება მას, როგორც ლონდონური გაზეთი „თაიმსი" გვიყვება, მწერლის შრომით არ დაუგროვებია.**

ოლაფ ოლაფსონი მინისა და ლითონის სუპერთანამედროვე შენობაში მდებარე დიდებული კაბინეტიდან გადაჰყურებს ნიუ-იორკს, ხეების კენწეროებს ცენტრალურ პარკში, სახლებს მეხუთე ავენიუზე.

ამ უზარმაზარ ოფისში ყველაფერი მედიამაგნატის წარმატებებზე მეტყველებს. დიდი საწერი მაგიდა, კედელში ჩამონტაჟებული გიგანტური ტელევიზორი, მაგიდა და სკამები, სადაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ, მყუდრო დივანი და სავარძელი გავლენიან პერსონებთან კონფიდენციალური საუბრებისთვის. **ძნელი წარმოსადგენია, რომ აქაურობის მასპინძელი შესანიშნავი ისლანდიელი მწერალია, რომლის ლირიკულ პროზას კრიტიკოსები დიკენსის, დოსტოევსკისა და იბსენის ნაწარმოებებს ადარებენ.**

ამ დროს კი 42 წლის ოლაფსონისთვის, რომელიც პატარა ბიჭივით გამოიყურება, მთავარი ლიტერატურაა. დიახ, ის მულტიმილიონერი, იმ მძლავრი კონგლომერატის Time Warner ვიცე-პრეზიდენტია, რომელშიც შედის სახელგანთქმული კინოკომპანია Warner Bros მთელ მსოფლიოში ცნობილი საინფორმაციო ტელეკომპანია CNN, ჟურნალების იმპერია (მათ შორის Time და People), ურიცხვი სატელევიზიო არხი და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, მაგრამ ბიზნესს მისთვის მეორე ადგილი უკავია რომანებისა და მოთხრობების შემდეგ.

ამერიკაში სამეწარმეო ასპარეზზე ასეთ სიმაღლეებს შემთხვევით ძალზე იშვიათად აღწევენ. მაგრამ ოლაფსონს სწორედ ასე დაემართა.

**— მე უჩვეულო ბიზნესმენი ვარ. ბოლომდე თვითონაც ვერ გამიგია, როგორ მოვხვდი ბიზნესში,** — იღიმება იგი.

ამავე დროს ოლაფსონი აცხადებს, რომ ლიტერატორისთვის ჩვეულებრივი ამბავია ოფისში მთელი დღე მუშაობა:

**— ცოტა ვინმემ თუ იცის, მაგალითად, რომ ელიოტი, რომელიც მე გასული საუკუნის უდიდეს ინგლისელ მწერლად მიმაჩნია, ბანკირი იყო.**

**— ზოგი მწერალი შთაგონებისთვის ძალიან ბევრს მოგზაურობს,** — განაგრძობს ოლაფი, — **ჩემი საქმიანი კარიერაც მოგზაურობაა, თუმცა ის ჩვეულებრივი მოგზაურობებისგან განსხვავებულია.**

სიტუაცია, მისი აღიარებით, კიდევ უფრო პარადოქსულია:

**— მთელი ჩემი ცხოვრება შემთხვევითობების ჯაჭვისგან შედგება. არასდროს არაფერი დამიგეგმავს. დაგეგმვა არა მწამს, რადგან ეს გულისხმობს, რომ შენ იცი, რა გზით მიდის სამყარო... მაგრამ აქ, ოფისში, მე სწორედ სტრატეგიული ამოცანები მაქვს, მე უნდა განვსაზღვრო, საით მიდის ბაზარი და გამოვთვალო, როგორი უნდა იყოს ჩემი კომპანია მომავალში. აუცილებელი არ არის ათი წლის შემდეგ მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ მაინც.**

...ის ბავშვობიდან ოცნებობდა გამხდარიყო მწერალი, ისეთი, როგორიც მისი სახელოვანი მამა ოლაფურ სიგურდსონი იყო — ყველა ლიტერატურული ჟანრის ოსტატი, პოეზიიდან პროზამდე. ოლაფსონს კომერციაზე არც უფიქრია. მერე მასაჩუსეტსის შტატის უნივერსიტეტში შევიდა და ფიზიკის შესწავლა დაიწყო.

— არასდროს მიფიქრია ფიზიკისთვის მიმეძღვნა სიცოცხლე, — ჰყვება იგი, თუმცა ეს ძალიან სასარგებლო იყო. ფიზიკოსი ხომ ბევრი დეტალის გარკვევას ცდილობს, ისევე, როგორც მწერალი, განსაკუთრებით ისეთი, რომელიც მხატვრულ ნაწარმოებებს წერს. ჩემი პროფესორი ძალიან აღშფოთდა, როცა ვუთხარი, რომ სწავლას თავს ვანებებდი. „მაინც რის გაკეთებას აპირებთ?" — მკითხა მან. „წიგნის დაწერას, ხოლო როცა მას დავამთავრებ, შემდეგის დაწერას", — ვუპასუხე მე. მაშინ მან მითხრა: „იცოდეთ, დიდ შეცდომას უშვებთ. დღეს ჩვენთან ვახშამზე საინტერესო ადამიანი მოვა. იქნებ შეხვედროდით". იმ დღეს უნივერსიტეტის სტუმარი კომპანია „სონის" თავმჯდომარე იყო. ოლაფსონმა ძალზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მალე მან მას სამუშაო შესთავაზა. ოლაფსონს სილიკონის ხეობაში კომპიუტერების მწარმოებლებისთვის ფირმის პროდუქცია უნდა წარედგინა.

შინ დაბრუნებულმა ოლაფმა ცოლს აცნობა:

**— არ დაიჯერებ: ბიზნესმენობა შემომთავაზეს.**

**— შენ? — დამცინი?! — გაიკვირვა ცოლმა.**

— მე არც მაინტერესებდა ეს სამუშაო და არც რაიმე იდეები გამაჩნდა მასთან დაკავშირებით, — განაგრძობს თხრობას ოლაფსონი. — როცა მშობლების სახლში ვცხოვრობდი, ბიზნესი არც ერთ ჩვენგანს არ აღელვებდა. მაგრამ მე ჩემს თავს ვუთხარი: მწერალმა ბევრი რამ უნდა იცოდეს, კაცმა რომ თქვას, რატომ არ უნდა წავიდეთ ორი წლით კალიფორნიაში?.. მერე „სონის" შემდეგ მედიაბიზნესში გადავედი, მოგვიანებით კი ნიუ-იორკში, ფირმა Time Warner-ში მიმიწვიეს. იქ ჯერ არანაირი ინფრასტრუქტურა არ იყო, არც ამ ბიზნესის სხვადასხვა ნაწილების გაერთიანების იდეა არსებობდა. მისი მუშაობის მთავარი მიმართულება ელექტრონიკა გახდა. ოლაფსონს უწინარეს ყოვლისა, მისი მოხმარების ბაზარი უნდა დაედგინა. ჯერ იაპონელ კოლეგებთან ერთად ბიზნეს-გეგმა შეიმუშავა და ამ მომენტიდან დაიწყო წინსვლა. ყველაფერთან ერთად, ოლაფსონი თანამედროვე კომპიუტერული თამაშების სათავეებთანაც იდგა. თუმცა როგორც თვითონ ამბობს, თავისუფალ დროს ფეხბურთის თამაშს ან წიგნების კითხვას არჩევდა.

**ყველაზე დიდი სიმაღლეებს რომ მიაღწია, სულ უფრო აქტიურად დაიწყო წერა. — ამის გარეშე უბრალოდ სიცოცხლე არ შემიძლია, — ამბობს ოლაფი, — დირექტორთა საბჭოს სხდომებზეც კი ვწერ ხოლმე აზრებს მორიგი რომანისთვის. ახლა ვცდილობ მაქსიმალურად დისციპლინირებული ვიყო, ერთი წუთიც არ დავკარგო უქმად. ყოველ დილით ხუთი საათი ვწერ-ხოლმე, როცა ვიგრძნობ, რომ ძალიან დავიღალე, ოფისში მივდივარ და გვიან საღამომდე ვშრომობ. ეს კარგი შეთავსებაა.**

მოთხრობების პირველი კრებული ოლაფსონმა 23 წლისამ გამოუშვა. მერე ტრილოგია გამოსცა. სიუჟეტი ყველა მის რომანში მსგავსია: გასული საუკუნის დასაწყისში ისლანდიელი ემიგრაციით მიდის ქვეყნიდან, უკან რჩება დიდი უბედურებები, ტრაგედიებიც კი. პირველ ნაწარმოებში „ცოდვათა შენდობა" გაშმაგებული ვნების გამო ჩადენილი მკვლელობაა აღწერილი. მომდევნო რომანში „შინ დაბრუნება" ლაპარაკია ისლანდიელ ქალზე, რომელიც თანამემამულის მხრიდან სექსუალურ ძალადობას გამოექცა და ინგლისში მზარეულად იწყებს მუშაობას. იქ ის ერთი გერმანელის წყალობით უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას, ამ გერმანელს იგი მოგვიანებით ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკში ხვდება. წიგნის მიხედვით ლივ ულმანმა — შვედი რეჟისორის ინგმარ ბერგმანის საყვარელმა მსახიობმა — მშვენიერი სცენარი დაწერა.

ტრილოგიის „ღამეში მიმავალი" ბოლო ნაწილში გამონაგონი რეალურ ფაქტებს ერწყმის. ისლანდიელი კრისტიან ბენედიქტსონი ოჯახს ტოვებს და ამერიკაში მიდის. აქ ის ხდება პრესის მაგნატის უილიამ ჰერსტის მსახური მის სასახლეში „სან სიბეონი". „ერთხელ ერთ ისლანდიელთან ვსადილობდი, — იხსენებს ოლაფსონი, — მან მიამბო, რომ პაპა ნიუ-იორკში რამდენიმე მდიდარ ამერიკელს ემსახურებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ჰერსტი. მე მაშინვე მივხვდი, რომ ამ რეალურ ისტორიას გამოვიყენებდი და რომანს დავწერდი".

მან შეისწავლა ჰერსტისა და მისი საყვარლის მარიონ დევისის ცხოვრება და ამას საკუთარი წარმოსახვა დაუმატა. შედეგად გამოვიდა გულში ჩამწვდომი და სევდიანი თხრობა ეულ ადამიანზე, რომელმაც თვითონ მოიწყო ასეთი ცხოვრება და ახლა ცდილობს რაღაცნაირად მაინც შეიმსუბუქოს უბადრუკი ყოფა.

თავად ოლაფი ნიუ-იორკში დასახლებული ისლანდიელების უნიკალური „კლუბის" წევრია.

**— ჩვენ ამ კოსმოპოლიტურ ქალაქშიც კი ძალიან ცოტანი ვართ, — ამბობს ის. — აქ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ იმის ხსენება, რომ ესა და ეს ადამიანი ისლანდიიდანაა. საერთოდ ისლანდია მოდური ქვეყანა გახდა. ვარსკვლავები სიამოვნებით ჩადიან ისლანდიაში და იქ მათ არავინ აწუხებთ არც პაპარაცები დასდევენ უკან, არც რესტორნებში სთხოვენ ავტოგრაფებს. ადამიანები, ცხადია, ცნობენ მათ, მაგრამ ისლანდიაში მიღებულია საკუთარი საქმის კეთება, სხვებს არავინ აწუხებს.**

**ოლაფსონს საკუთარი სახლი აქვს რეიკიავიკში, რომელშიც მშობლიურ ქვეყანაში ჩასვლისას ის განცხრომას ეძლევა, მაგრამ ნიუ-იორკის დატოვებას ჯერ არ აპირებს. მან, ისევე როგორც მისი ნაწარმოებების გმირებმა, ისლანდიასთან განშორების შემდეგ სწორედ აქ იპოვა საკუთარი თავი და ის დაბრუნებას არ აპირებს.**

***P. S. ძნელი წარმოსადგენია, გამოადგებათ თუ არა ქართველ კალმოსნებს ოლაფ ოლაფსონის — მწერლის, ბანკირის და ბიზნესმენის მართლაც რომ საინტერესო ცხოვრებისეული გამოცდილება.***

***ფაქტი კი ის გახლავთ, რომ ილია ჭავჭავაძეც ბანკირი იყო, მაგრამ მილიონერი არ გამხდარა.***

# „ვისგანაც შეიძლება ვისწავლოთ"...




პირველი მოულოდნელობა მათთვის ის იყო, რომ ლიტვის დედაქალაქის — ვილნიუსის ქუჩებში იქაურები ქართულად ეუბნებოდნენ **„გამარჯობას"...**

ეს, როგორც შემდგომ აუხსნეს, იმასაც ნიშნავდა, რომ ქართველები ძალიან მოენატრათ და მთელი ქალაქი მათთან შესახვედრად ემზადებოდა.

ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში ჩინურ, ამერიკულ, ბელორუსულ, უკრაინულ და ლიტვურ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობდა ეთნომუსიკის თეატრი „მთიები" საქართველოდან.

ერთი კვირის მანძილზე, დღეში ორი ან სამი კონცერტი ჰქონდათ. ღია ცის ქვეშ სცენაზე, ეკლესიაში თუ ლიტვის დედაქალაქის მერიაში ისმოდა: **გურული „ხასანბეგურა", კახური „დიდება", „ალილო", „დიამბეგო", აჭარული „ყოლსამა", „ოჰოი, ნანო", სვანური „თამარ დედფალი", მეგრული „კუნტა ბედინერა".**

ქართველების რეპერტუარით და შესრულების მანერით ძალიან დაინტერესდნენ ლიტველი მეცნიერები. ვილნიუსის უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის კათედრის გამგემ **დაივა რაუნიაიტემ,** რომელიც 2004 წელს თბილისის კონსერვატორიაში გამართულ ფოლკლორის საერთაშორისო სიმპოზიუმშიც მონაწილეობდა, აღნიშნა, რომ **„მთიები" — ეს არის განსაკუთრებული მონაცემების ანსამბლი. სტილის მიხედვით, საქმე გვაქვს ნამდვილ აუთენტურ ხელოვნებასთან და რომ ეს არის მეცნიერულ დონეზე შესწავლილი და დამუშავებული მასალა".**

მკითხველისთვის მათი პროფესიული ტერმინოლოგია გასაგები რომ გავხადოთ, ანსამბლის ხელმძღვანელის ზიზი ზარაყანიძის განმარტებას მოვუსმინოთ.

**ზიზი ზარაყანიძე: აუთენტური ნიშნავს თვითმყოფადს. ჩვენი ანსამბლი, მისივე შემოქმედებითი პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოში აუთენტური ხელოვნების პიონერია, ანუ ეს სტილი გულისხმობს ფოლკლორული ნიმუშების იმგვარად გადმოტანას სცენაზე, როგორც მას ასრულებდნენ ან ნაწილობრივ დღესაც ასრულებენ ჩვენს ეთნოგრაფიულ გარემოში. სიმღერებსა თუ ცეკვებში დაცულია კონკრეტული კუთხისთვის დამახასიათებელი შესრულების მანერა. სოფლელი შემსრულებლების მსგავსად ანსამბლის წევრები სიმღერასთან ერთად ცეკვავენ, სხვადასხვა საკრავზე უკრავენ. „მთიებმა" წარმოადგინა — ქართველი ერის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილი მუსიკალური ნიმუშები — ქართულ ეთნოგრაფიულ გარემოში დამკვიდრებული. ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის წეს-ჩვეულებათა, რიტუალების თუ სხვადასხვა ცხოვრებისეული მომენტების განუყოფელი ნაწილია და თანმხლებ ხალხურ თამაშობებთან ერთად თეატრალურ სანახაობას ქმნის.**

* * *

ხელოვნების ლიტველი მეცენატი **მინდაუგას კარალიუსი,** რომელსაც ქართული ანსამბლის მეურვეობა ებარა, აღტაცებას ვერ ფარავდა და ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი და არსებითი რამ გაეგო საქართველოზე.

**თინათინ შერვაშიძე (ანსამბლის წევრი): იმ დღეებში ბატონი მინდაუგასის დაბადების დღე დაემთხვა. მიუხედავად იმისა, რომ იგი არასდროს ყოფილა საქართველოში, გადაწყვიტა, საკუთარი იუბილე ქართული ტრადიციების მიხედვით აღენიშნა. გაშალა ქართულს მიმსგავსებული სუფრა. ჩვენი ანსამბლის წევრებთან დეტალებს აზუსტებდა. მაგალითად, როდის შემოაქვთო მწვადი. ქართული წესისამებრ თამადაც დანიშნა და მაგიდის თავში დასვა. სუფრის წევრებს სულ აჩერებდა: „როცა თამადა ლაპარაკობს, ყველა ჩუმად უნდა იყოსო!" თამადობა ერგო ჩვენი ანსამბლის წევრს ლადო ჭანიას, რომელმაც ტრადიციული სადღეგრძელოები წამოიწყო: იუბილარის, იუბილარის მშობლების, დედ-მამის შვილების, მშვიდობის, სამშობლოს.... ყველა ერთსულოვნად ეთანხმებოდა, ემორჩილებოდა და ინტერესით უსმენდა თამადას.**

**საღამოს ანსამბლის გოგოებმა მინდაუგასის წლინახევრის შვილს „ნანა" ვუმღერეთ. პატარა გოგონა გაკვირვებული გვიყურებდა, მერე სიმღერის რიტმს აჰყვა, აქეთ-იქით ირწეოდა და მალე დაიძინა...**

**„ამიერიდან ქართველი ლიტველი ვარო!" — გვითხრა მინდაუგას კარალიუსმა.**

* * *

თბილისში ჩამოსვლისას, ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილის, უკრაინული ფოლკლორული ანსამბლის წევრის ირინა კლიმენკოს თბილი წერილი მიიღეს: **უკვე მომენატრეთ და გიგონებთო...**

**„ხშირად ვათვალიერებ საქართველოს ხედებს. ვუსმენ თქვენს სიმღერებს.... ვოცნებობ ისევ შეხვედრაზე... ვფიქრობ, რომ მალე ჩემს სამშობლოში, უკრაინაშიც გიხილავთ — ფოლკლორულ ფესტივალზე „კრაინა მრი"... უკვე მოველაპარაკეთ პროდიუსერს...**

**მინდა გითხრათ, რომ ნიჭიერებასთან ერთად, ძალიან მეგობრული ანსამბლი გაქვთ: ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის.... ურთიერთობის ეს მშვენიერი ფორმა ჩვენს კოლექტივში სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ არის, მაგრამ თქვენი მაგალითი ხომ არსებობს, ანუ არსებობთ თქვენ, ვისგანაც შეიძლება ვისწავლოთ"...**

# „ვინ მართავს სახელმწიფოს და უნივერსიტეტს?"

„ვარდების რევოლუციის" დღეებში უნივერსიტეტში თავმოყრილმა „კმარელებმა" რექტორის და, მათივე გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „დეკნების" გადადგომასთან ერთად, ესოდენ ავტორიტეტული **„დიდი სამეცნიერო საბჭოს"** გაუქმებაც მოითხოვეს.

უნივერსიტეტის ღირსების დასაცავად აკადემიკოსმა, ქალბატონმა **მარიკა ლორთქიფანიძემ** მაშინვე იკითხა: **„ბოლოს და ბოლოს, ვინ მართავს სახელმწიფოს, ხელისუფლება თუ „კმარელებიო"?**



როგორც ჩანს, ორივე ერთად, რადგან ჩვენივე ხელისუფლების განკარგულებით, **დიდი სამეცნიერო საბჭო უკვე გაუქმდა** და უნივერსიტეტის ერთპიროვნული მართვა რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ქალბატონ **რუსუდან ლორთქიფანიძეს** დაევალა.

**ასე რომ, „კმარელების" წამოძახილები შემთხვევითი არ ყოფილა და ყოველივე გეგმაზომიერად მიმდინარეობს.**

*„ამერიკანიზაცია", რასაც უკვე მთელი საუკუნეა ებრძვის „ბებერი ევროპა", დღევანდელ საქართველოში თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით, მყარად მკვიდრდება. როგორები არიან ისინი, „იანკების შთამომავლები"? რა არის მათთვის მისაღები და არმისაღები?*

*ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი უცნაური კანონი არსებობს. რა იმალება ამ ტაბუდადებულ უცნაურობათა მიღმა, რომლებიც რატომღაც იურიდიულ დოკუმენტებადაა ჩამოყალიბებული.*

# აბაზანაში ვირების ბანაობა აკრძალულია

ჯორჯიის შტატის ქალაქ კოლუმბუსში **აკრძალულია კვირაობით... ქათმის დაკვლა;**

აიდოხოში **აკრძალულია თევზაობა მათთვის, ვინც აქლემზე ზის;**

ბალტიმორში აკრძალულია **თეატრში მისვლა... ლომებით.**

არიზონაში **აჯარიმებენ ყველას, ვინც აბაზანაში აბანავებს... ვირებს.**

ტეხასში კი სასტიკად **აკრძალულია ესროლოთ ბიზონებს სასტუმროს მეორე სართულიდან.**

ოკლაჰომაში **პატიმრობა გელით, თუ თქვენ ტიტველს გძინავთ.**

ინდიანაში **აკრძალულია აბაზანის მიღება ოქტომბერსა და მარტს შუა.**

ალაბამაში **შეიძლება სიკვდილით დაისაჯოთ, თუ ლიანდაგებზე მოაბნევთ... მარილს.**

სენტ ლუისში **აკრძალულია ტროტუარზე მჯდარმა დალიოთ ვედროთი... ლუდი.**

ნიუ-მექსიკოს ქალაქ კარიზოზოში **ქალებს ეკრძალებათ საზოგადოებრივ ადგილებზე... გაუპარსავი მისვლა.**

ოკლაჰომაში **შეიძლება მოხვდეთ საპატიმროში, თუ გააჯავრებთ ძაღლებს ან მოკბიჩავთ სხვის ჰამბურგერს.**

**(მოგვაწოდა ზურამ ზომართელმა).**



ჩვენი ტელეფონებია:
99-55-01; 893 14-57-56.

ჩანართზე მუშაობდნენ: ნინო ხოფერია, მზეხა მახარაძე, მამუკა ვაშაკიძე, კახა ქორიძე.



# ირანი პრეზიდენტს ირჩევს

**ირანის 47-მილიონიანი მოსახლეობა ირჩევს ქვეყნის პრეზიდენტს. ამ არჩევნებზე ბრძოლა, როგორც მიმომხილველები ვარაუდობენ, უნდა გახდეს ყველაზე მწვავე 1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ.**



პრეზიდენტის პოსტი ირანში არ არის უმაღლესი თანამდებობა. ქვეყნის სულიერ ლიდერს აიათოლა ჰამენეის მეტი ძალაუფლება აქვს, და ქვეყნის ცხოვრების ყველა პოლიტიკურ საკითხში საბოლოო სიტყვაც მას ეკუთვნის.

ჰამენეი საარჩევნო უბანში ერთ-ერთი პირველი გამოცხადდა.

ირანის ამჟამინდელ პრეზიდენტს მოჰამად ჰათამის ქვეყნის კანონი უკრძალავს არჩევნებზე თავისი კანდიდატურის წამოყენებას.

ქვეყნის რელიგიურმა ხელისუფლებამ არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ მისცა თითქმის ათას კანდიდატს. საბოლოო ანგარიშით, კენჭისყრის ბიულეტენებში მხოლოდ შვიდი პრეტენდენტის გვარია დაფიქსირებული.

ფავორიტად ითვლება 71 წლის ექს-პრეზიდენტი აქბარ ჰაშემი რაფსანჯანი. მაგრამ მას შეიძლება არ ეყოს ხმები პირველ ტურში გამარჯვებისთვის – ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვით თუ ვიმსჯელებთ, არსებობს მეორე ტურის დანიშვნის პერსპექტივა, რომელიც, თუ საჭირო იქნება, ერთი კვირის შემდეგ გაიმართება.

გამარჯვებულად გამოაცხადებენ იმ კანდიდატს, რომელსაც ხმას მისცემს ამომრჩეველთა საერთო რიცხვის ნახევარზე მეტი.

რაფსანჯანის ძირითად კონკურენტებად ითვლებიან კანდიდატი რეფორმატორთაგან მუსტაფა მოინი და ირანის პოლიციის ყოფილი უფროსი მოჰამედ ბაქერ ქალიბაფი, რომელიც თავის დროზე რევოლუციის იდეის მომხრე იყო, მაგრამ შემდეგ ტექნოკრატად იქცა.

ჰათამი, რომელიც ტოვებს პრეზიდენტის პოსტს, თავისი მმართველობის დაწყებისას აცხადებდა, რომ ქვეყანაში განახორციელებდა დიდმასშტაბიან რეფორმებს, მაგრამ გადააწყდა წინააღმდეგობას რელიგიურ კონსერვატორთა მხრიდან.

# ევროკავშირის ლიდერები კონსტიტუციის გადარჩენას ცდილობენ

**ევროკავშირის ლიდერებმა ბრიუსელის სამიტზე გადაწყვიტეს გაახანგრძლივონ ის საბოლოო ვადა, რომლის ფარგლებშიც კავშირის 25-ვე წევრმა უნდა მოიწონოს გაერთიანებული ევროპის კონსტიტუცია.**

მანამდე ვარაუდობდნენ, რომ კონსტიტუციის რატიფიკაციას, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის წევრთა ახალი დონის ინტეგრაციას, 2006 წლის ნოემბრამდე განახორციელებდა კავშირის წევრი ყველა ქვეყანა. მაგრამ მას შემდეგ, რაც საფრანგეთისა და ნიდერლანდის მოქალაქეთა უმრავლესობამ რეფერენდუმებზე არ დაუჭირა მხარი კონსტიტუციის მიღებას, ეჭვქვეშ დადგა ამ დოკუმენტის მომავლის საკითხი.

ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრმა ჟან-კლოდ იუნკერმა, რომელიც ამჟამად თავმჯდომარეობს ევროკავშირში, განაცხადა, რომ კონსტიტუციის ამაზე უკეთესი პროექტის შემუშავება შეუძლებელი იქნება და ამიტომ, იგი გადასინჯვას არ უნდა დაექვემდებაროს.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკონსტიტუციო შეთანხმებაში არის პასუხები იმ მრავალ კითხვაზე, რომლებსაც ევროპელები სვამენ. ამიტომ, ჩვენი აზრით, რატიფიკაციის პროცესი უნდა გახანგრძლივდეს“, – თქვა იუნკერმა.




ჟან-კლოდ იუნკერის ეს სიტყვები გაისმა დანიის, ირლანდიისა და ჩეხეთის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა ფონზე, რომლებიც აპირებდნენ გადაედონ ევროკავშირის კონსტიტუციის შესახებ დაგეგმილი რეფერენდუმების გამართვა.

თავის მხრივ, ევროკომისიის თავმჯდომარეს ჟოზე მანუელ ბაროზუს საჭიროდ მიაჩნია გაირკვეს, თუ ფრანგმა და ჰოლანდიელმა ამომრჩევლებმა რატომ განაცხადეს უარი ევროპის კონსტიტუციის მიღებაზე. საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა კი გამოთქვა წინადადება საგანგებო სამიტის გამართვის შესახებ, რომელზეც უნდა განიხილონ ევროკავშირის მომავალი.

„უნდა გავარკვიოთ, შეძლებს თუ არა კავშირი შექმნილ ვითარებაში გააგრძელოს გაფართოების პროცესი და თანაც იმ პირობებში, როცა არ არსებობს ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც ამ გაფართოებულ კავშირს აიძულებენ უფრო ეფექტიანად მუშაობას“, – თქვა შირაკმა.

კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, რუმინეთს და ბულგარეთს აღუთქვეს, რომ ისინი 2007 წელს გაწევრიანდებიან ევროკავშირში. როგორც იუნკერმა თქვა, კავშირში ახალი წევრების მიღების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულებები მთლიანად იქნება დაცული.

# შეერთებულ შტატებში ორთავიანი კნუტი გაჩნდა

**ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ როზენბურგში გაჩნდა კნუტი, რომელსაც ორი პირი, ორი ენა, ორი ცხვირი და ოთხი თვალი აქვს. ახალშობილს ჯემინი შეარქვეს.**



„ძალზე მებრალება იგი, რადგან არ ვიცი, იცოცხლებს თუ არა, – თქვა კნუტის პატრონმა 40 წლის ლი ბლუტიამ. – თუ კნუტი ცოცხალი დარჩება, იგი იქნება აბსოლუტურად ნორმალური ჯანმრთელი კატა, ოღონდ ორი „სახით“.

როზენბურგელ ვეტერინარს ალან როსს ჯერჯერობით არ შეუძლია ზუსტად თქვას, თუ რამდენ ხანს იცოცხლებს ეს უნიკალური კნუტი. „მე და ჩემს კოლეგებს ჩვენი საქმიანობის მანძილზე ასეთი რამ ჯერ არ გვინახავს“, – თქვა გაოცებულმა ვეტექიმმა.

კნუტის პატრონი კი აცხადებს, რომ პირველი დღეების განმავლობაში ჯემინი მოღონიერდა და იგი ახლა უფრო მეტ რძეს სვამს.

ლი ბლუტია 1980 წლიდან ამრავლებს სხვადასხვა ჯიშის ცხოველებს. ამ სამიოდე წლის წინათ მისმა ერთ-ერთმა კატამ დაყარა ძალზე პატარა ზომის კნუტები, რომლებსაც ბლუტიამ „მინიატიურული კატები“ უწოდა. ახლა ამ ცხოველების წონა მხოლოდ ორ კილოგრამს აღწევს. ჯემინის დედა „მინიატიურული“ ჯიშის კატა არის, მამა კი – აბსოლუტურად ნორმალური ზომის.

ღვაწლი

# კვალი ღრმა და წარუშლელი

## აკადემიკოს ოთარ ონიაშვილის 90 წლისთავისათვის



**გარსოვანი სისტემების დინამიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი, აკადემიკოსი ოთარ ონიაშვილი დაიბადა 1915 წლის 26 მაისს თბილისში, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ლიტერატორის დავით ონიაშვილის და ფრიად განათლებული ქალბატონის სოფიო ხარაშვილის ოჯახში. მათ სახლში, რომელიც მდებარეობს ალ. ჭავჭავაძის ქუჩაზე და სადაც ახლაც ცხოვრობს დავით ონიაშვილის შვილიშვილი მაია თვარაძე თავისი ოჯახით, სუფევდა მაღალი კულტურისა და სანიმუშო ეთიკის ატმოსფერო, რომელიც მშობლების უდროოდ გარდაცვალების შემდეგაც (დედა გარდაიცვალა 1932 წ, ხოლო მამა რეპრესირებული იყო 1937 წ.) შენარჩუნებული იყო ახლობლების, თვით ბატონი ოთარისა და მისი დის, ექიმი-პედიატრის, სათნო ქალბატონის ეთერ ონიაშვილის მეცადინეობით.**

ოთარ ონიაშვილმა საშუალო განათლება მიიღო თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, სადაც პედაგოგები ცნობილი პიროვნებები და ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ. ამან, პიროვნულ თვისებებთან ერთად, ხელი შეუწყო ოთარის ნიჭის გამოვლენას. იგი თავისი განვითარებით წინ უსწრებდა სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის დონეს და საშუალო სკოლა დაამთავრა 15 წლის ასაკში. კარგად იცოდა მათემატიკა, ისტორია, ფრანგული, ინგლისური და რუსული ენები, ფლობდა მუსიკის თეორიას და როიალზე საშემსრულებლო ხელოვნებას, ნებისმიერი დარგით შეეძლო გაეგრძელებინა განათლების მიღება, მაგრამ მან არჩევანი ინჟინერ-მშენებლის სპეციალობაზე შეაჩერა. 1935 წ. დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი ინჟინერ-კონსტრუქტორის სპეციალობით. ერთდროულად დაამთავრა უცხო ენების ინსტიტუტიც. ასე რომ, უმაღლესი მათემატიკის, თეორიული და გამოყენებითი მექანიკის პროფესიონალად ჩამოყალიბებასთან ერთად იფართოებს და იღრმავებს ცოდნას უცხო ენების შესწავლის თვალსაზრისითაც, რასაც მისდევს მთელი ცხოვრების მანძილზე. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ენების შესწავლის სტიმულად მიაჩნდა სხვადასხვა ერის ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების შესწავლა თვით მათ ენაზე. ჩვენთან საუბარში ბატონი ოთარი არცთუ იშვიათად გვიმხელდა, რომ მისთვის ცხოვრება მრავალფეროვანი და საინტერესო ხდებოდა ღამის საათებში, როცა იგი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე რადიოსადგურებიდან იგებდა მსოფლიოში მიმდინარე კულტურული ცხოვრების სიახლეებს – მას ხომ ინფორმაციის გაცილებით დიდი მოთხოვნა ჰქონდა, ვიდრე ეს მაშინ შესაძლებელი იყო.

1935 წელს ცოდნის გასაღრმავებლად მიემგზავრება მოსკოვში და სწავლას განაგრძობს საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტის სამშენებლო მექანიკის კათედრის ასპირანტურაში ცნობილი საბჭოთა მეცნიერების ი. რაბინოვიჩისა და ვ. ვლასოვის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ იქვე იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, როგორც სამშენებლო მექანიკის კათედრის ასისტენტი და ერთდროულად მუშაობს მოსკოვის წამყვან საპროექტო ორგანიზაციებში.

1940 წელს საქართველოში დაბრუნების შემდეგ, მიუხედავად არახელსაყრელი სამუშაო პირობებისა და სხვადასხვა სამშენებლო თუ საპროექტო ობიექტებზე მუშაობის აუცილებლობისა, ოთარ ონიაშვილი განაგრძობს მოსკოვში დაწყებულ თეორიულ კვლევებს გარსზე ტემპერატურული ზემოქმედების საკითხებში და 1944 წ. იცავს საკანდიდატო დისერტაციას. იმხანად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ რუსეთიდან ევაკუირებული პროფესორები. მათ ალბათ გაუკვირდათ უცხო ენების ის რაოდენობა, რომლებსაც, საბუთების მიხედვით, ფლობდა დისერტანტი, ამიტომ გადაწყვიტეს შეემოწმებინათ – კითხვებს უსვამდნენ სხვადასხვა ენაზე. ო. ონიაშვილი ამომწურავად პასუხობდა მათ და ამავე დროს აუდიტორიას უთარგმნიდა კითხვა-პასუხის არსს, რაც ამ დროისათვის შთამბეჭდავი მოვლენა იყო.

დისერტაციის ბრწყინვალედ დაცვის შემდეგ ო. ონიაშვილი 1944 წ. მუშაობას იწყებს მეცნიერ თანამშრომლად ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. იმავე წელს აკადემიკოს მუსხელიშვილის წინადადებით იგი ინიშნება ჟურნალ „მოამბის“ რედაქციის პასუხისმგებელ მდივნად. 1946 წ. ო. ონიაშვილი იწყებს მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანტისეისმური მშენებლობის ბიუროში, რომელსაც სათავეში ედგა აკადემიკოსი კ. ზავრიევი. ამ ბიუროს ბაზაზე 1947 წ. შეიქმნა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი, სადაც ო. ონიაშვილი აირჩიეს სამშენებლო მექანიკისა და კონსტრუქციების განყოფილების გამგედ. აქ გამოვლინდა მისი დიდი მეცნიერული პოტენციალი. ამ, მისი მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერ და მნიშვნელოვან პერიოდში, მან სახელი გაითქვა როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე უცხოეთში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ო. ონიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მისი გარდაცვალების მერე მოაწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ 1990 წ. თბილისში, ქართველ მეცნიერებთან ერთად 60-მდე მოხსენება იყო წარმოდგენილი სსრკ-ს სხვადასხვა რესპუბლიკიდან.

ო. ონიაშვილის ნაშრომები გარსთა დინამიკისა და სეისმომედეგობის სფეროში, საფუძვლად დაედო მის სადოქტორო დისერტაციას, რომელიც წარმატებით დაიცვა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის ინსტიტუტში 1953 წ. 1954 წ. მას მიენიჭა პროფესორის წოდება, 1955 წ. აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წ. – აკადემიკოსად. იგი იყო სსრკ მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, 1957 წ. დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. ო. ონიაშვილი იყო გარსის ტიპის საერთაშორისო ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი აღმასკომის წევრი, სსრკ თეორიული და გამოყენებითი მექანიკის ეროვნული კომიტეტის, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის და მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის საპრობლემო და საკოორდინაციო საბჭოების წევრი, უცხოური და საკავშირო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიების წევრი. ფართო კონტაქტები ჰქონდა რუსეთის, ევროპის, იაპონიისა და აშშ ცნობილ მეცნიერებთან და ინჟინერ-კონსტრუქტორებთან.

ო. ონიაშვილმა ზოგადად გადაწყვიტა გარსოვანი სისტემების დინამიკური ამოცანა, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოვა დამრეც გარსთა ტექნიკური თეორია. სათანადო გადაწყვეტები მას წარმოდგენილი აქვს პრაქტიკული გამოყენებისათვის მოსახერხებელი ფორმით, რაც უდიდეს დამსახურებად მიიჩნეოდა გარსოვანი კონსტრუქციების და სეისმური ქცევის შესაფასებლად კომპიუტერიზაციამდელ ხანაში. ეს კი აუცილებელი იყო, რადგან სწორედ ამ დროს საქართველოში ფართო მასშტაბით აღორძინდა გარსოვანი გადახურვების მშენებლობის ტრადიცია, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია ჰქონდა, როგორც ყოფით, ისე საკულტო ნაგებობებში. 40-60-იან წლებში თბილისში მრავლად აშენდა თხელკედლიანი სივრცული გადახურვები, როგორიცაა „დარბაზის“ გადახურვა, შედური და ცილინდრული ფორმის გადახურვები და სპორტის სასახლის გუმბათი. ამ საქმის მამამთავრები იყვნენ ი. ღოღობერიძე, დ. ქაჯაია და ვ. შაიშმელაშვილი, რომლებთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი. მრავალი გარსოვანი ტიპის კონსტრუქციების დაპროექტებისა და განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ ოთარ ონიაშვილი და მისი განყოფილების თანამშრომლები. ასეთი ხასიათის კონსულტაციების ჩატარებაში ო. ონიაშვილს ღრმა ცოდნასთან ერთად, ხელს უწყობდა განსახილველი პრობლემის ინჟინრული გააზრების ალღოც.

ო. ონიაშვილის ძირითადი ფუძემდებლური გამოკვლევები ასახულია მის მონოგრაფიაში „გარსთა თეორიის ზოგიერთი დინამიკური ამოცანა“, რომელიც გამოაქვეყნა სსრკ მეცნიერებათა აკადემიამ 1957 წ. და გამოიცა 1959 წ. აშშ-ში. დიდი მოთხოვნის გამო იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა და საქართველოს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ 1978 წ. გამოცემულ ო. ონიაშვილის „რჩეულ ნაშრომებში“ მთლიანად შევიდა.

ო. ონიაშვილმა ღრმა და წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებაში.

**ოთარ ნათიშვილი, მინდია სალუქვაძე,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები;**

**გურამ გაბრიჩიძე,**
**მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი;**

**ლევან მუხაძე,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

იბეჭდება ავტორის ხარჯით.

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

**2005 წლის 3 ივნისი** — **ქ. თბილისი**

**ზურაბ მსხვილიძისათვის პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, იუსტიციის გენერალ-მაიორს **ზურაბ მსხვილიძეს** მიენიჭოს პოლიციის გენერალ-მაიორის სპეციალური წოდება.

**მიხეილ სააკაშვილი.**

## საქართველოს პარლამენტის აპარატის განცხადება

**საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტში განთავსებული ბუფეტების და სასადილოს არქიტექტურულ-დიზაინურ გადაწყვეტაზე (პროექტირებით).**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ნებართვა (ლიცენზია) გაცემული შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ ბუფეტების და სასადილოს ამჟამინდელ მდგომარეობას და მიიღონ არქიტექტურულ-დიზაინური პროექტირებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია.

კონკურსში მონაწილე პირებმა განაცხადი და არქიტექტურულ-დიზაინური პროექტი (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალები) უნდა წარმოადგინონ 15 ივლისის 12 საათამდე.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 15 ივლისის 12 საათზე დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებულს ეცნობება ხუთი დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულება დაიდება ათი დღის განმავლობაში.

კონკურსში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს პროექტის შესრულებაზე მეთვალყურეობა პროექტის საბოლოო შესრულებამდე.

კონკურსში მონაწილეებს ნამუშევრები (გარდა გამარჯვებულისა) უკან დაუბრუნდებათ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან შვიდი დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
**ზაურ ჯიოშვილი** 93-25-09.

---

**საქართველოს პარლამენტის აპარატი აცხადებს კონკურსს საქართველოს პარლამენტის ეზოს არქიტექტურულ-დიზაინურ გადაწყვეტაზე (პროექტირებით).**

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ნებართვა (ლიცენზია) გაცემული შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან.

დაინტერესებულ პირებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ ეზოს ამჟამინდელ მდგომარეობას და მიიღონ არქიტექტურულ-დიზაინური პროექტირებისათვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია (პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს ალ. ნეველის სახელობის ეკლესიიდან შემორჩენილი კელიების ძველი სტილი).

კონკურსში მონაწილე პირებმა განაცხადი და არქიტექტურულ-დიზაინური პროექტი (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მასალები) უნდა წარმოადგინონ 18 ივლისის 12 საათამდე.

დალუქული კონვერტები გაიხსნება 18 ივლისის 12 საათზე დასწრების მსურველი მონაწილეების თანდასწრებით.

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, მიღებული გადაწყვეტილება გამარჯვებულს ეცნობება ხუთი დღის ვადაში.

კონკურსში გამარჯვებულთან ხელშეკრულება დაიდება ათი დღის განმავლობაში.

კონკურსში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს პროექტის შესრულებაზე მეთვალყურეობა პროექტის საბოლოო შესრულებამდე.

კონკურსში მონაწილეებს ნამუშევრები (გარდა გამარჯვებულისა) უკან დაუბრუნდებათ გამარჯვებულთან ხელშეკრულების დადებიდან შვიდი დღის განმავლობაში.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
**ზაურ ჯიოშვილი** 93-25-09.

**საქმე № 2-31** — **ფორმა №**

## განჩინება

**სააქციო საზოგადოება „მეტეხის“ ქონების რეალიზაციის აუქციონის ჩატარების შესახებ**

17 ივნისი 2005 წ. — ქ. კასპი

**კასპის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ მალხაზ ენუქიძემ ერთპიროვნულად განიხილა სააქციო საზოგადოების „მეტეხის“ გაკოტრების მმართველის ირაკლი ხაჩიძის განცხადება სს „მეტეხის ქონების რეალიზაციისათვის აუქციონის ჩატარების თარიღის დადგენის შესახებ.**

**გამოარკვია:**

2005 წლის 17 ივნისს კასპის რაიონულ სასამართლოში შემოვიდა სს „მეტეხის“ გაკოტრების მმართველის განცხადება სს „მეტეხის ქონების რეალიზაციისათვის აუქციონის ჩატარების თარიღის დადგენის შესახებ.

2004 წლის 22 ნოემბრის განჩინებით დამტკიცებული იქნა დებულება სს „მეტეხის“ გაკოტრების მმართველის განკარგვაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით გასხვისების შესახებ და ს.ს. საქართველოს სახალხო ბანკის კასპის ფილიალში გაიხსნა სპეციალური სააუქციონო ანგარიში.

მიმაჩნია, რომ გაკოტრების მმართველის მოთხოვნა ქონების რეალიზაციისათვის აუქციონის ჩატარების თარიღის დადგენის შესახებ კანონიერია და უნდა დაკმაყოფილდეს. გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გაკოტრების მმართველმა გაკოტრების მასა უნდა გაყიდოს მასისათვის რაც შეიძლება უკეთესი პირობით, რაც შესაძლებელია მიღწეული იქნეს აუქციონის გზით.

ვიხელმძღვანელე „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსსკ-ის 284-285-ე მუხლებით

დავადგინე:

1. დაკმაყოფილდეს სს „მეტეხის“ გაკოტრების მმართველის ი. ხაჩიძის განცხადება.
2. სს „მეტეხის“ ქონების რეალიზაციისათვის აუქციონის ჩატარების თარიღად დამტკიცდეს 2005 წლის 28 ივნისი, დღის 12 საათი, სს „მეტეხის“ ადმინისტრაციულ შენობაში.
3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე **მალხაზ ენუქიძე.**

---

## სააქციო საზოგადოება „მეტეხის“ გაკოტრების მმართველი აცხადებს აუქციონს

**კასპის რაიონის სოფელ მეტეხში მდებარე სს „მეტეხის“ ქონებაზე.**

**ქონების დახასიათება: აგურის აწარმო.**

დაკავებული მიწის ფართობი: 12.5 ჰა.

საწყისი გასაყიდი ფასი: 337945 (სამასოცდაჩვიდმეტი ათას ცხრაას ორმოცდახუთი)

საგარანტიო თანხა: საწყისი ფასის 10 პროცენტი – 33795 ლარი.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია: – განაცხადი აუქციონში მონაწილეობის მისაღებად;
– პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;
– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით;
– გარანტიის დამადასტურებელი დოკუმენტი;
– იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს.

განაცხადის მიღების და აუქციონის ჩატარების ადგილი (მისამართი): კასპის რ-ნი, სოფ. მეტეხი სს „მეტეხის“ ადმინისტრაციული შენობა. განაცხადის მიღების ბოლო ვადა: 27.06.05 წ. აუქციონის ჩატარების დრო: 28.06.05 წ. 12 სთ. ბიჯის ოდენობა: 5000 (ხუთი ათასი) ლარი.

**სს „მეტეხის“ გაკოტრების მმართველი**
**ი. ხაჩიძე.**

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**ქ. ბორჯომის გამგეობა განმეორებით აცხადებს ღია ტენდერს:**

**1. ქალაქის ცენტრალური ქუჩების, ტროტუარებისა და მოედნების დასუფთავებისა და ანახვეტების გატანის მომსახურების შესყიდვაზე.**

ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, ვისაც აქვს შესაბამისი გამოცდილება და ტექნიკური აღჭურვილობა.

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მონაცემები ცნობების სახით:

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება საზოგადოების რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

ბ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ ყოფილა მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

დ) რეკვიზიტები: (პასპორტი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).

ფიზიკურმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საკვალიფიკაციო მონაცემები ცნობების სახით:

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

გ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

დ) რეკვიზიტები: (პასპორტი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები).

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 7 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი № 1. ადმინისტრაციული შენობის მეორე სართული. მე-9 ოთახი. 11-დან 17 საათამდე.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება. საკვალიფიკაციო მონაცემების შერჩევა მოხდება 12 ივლისამდე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 20 ივლისამდე. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით 30 ივლისს 13 სთ-ზე. ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით სატენდერო კომისიის აპარატის საკონტაქტო პირს **ელიზავეტა ლომიძეს.** ტელ.: 8 (267) 2-14-53.

**სატენდერო კომისიის თავმჯდომარე**
**ბესიკ ფოფხაძე.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ამა წლის 12 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა სს „ვაზიანი-2000“-ის კრების შესახებ განცხადება. დღის წესრიგის 1 საკითხი ნაცვლად 2000 წლისა უნდა იკითხებოდეს 2004 წელი. დანარჩენი როგორც არის.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



მარცხნიდან: ჭიჭიკო, კოლია და ანტონ ნაყოფიები (დარჩელიდან) სტუმრად აფხაზეთში კაკა რატიას ოჯახში (ზის ზურგით) გადაღებულია ოტობაიაში, გალის რაიონი, 1959 წელს.

მოგვაწოდა ვიქტორ ნაყოფიამ.

## გიხაროდეს!

### სამივე ვაჟს გვერდში ამოვიყენებ

ორი ბიჭი უკვე გვყავდა. მე და ციცინო მესამეს ვნატრობდით. უფალმა ინება და ამ დღეებში ჩემს მეუღლეს მესამეც ვაჟი შეეძინა, ასე რომ, სამი შვილი მართლა შვილია! მადლობა თქვენ, თუ ჩემი ოჯახის სიხარულს გაიზიარებთ. დედაჩემი დღეს შვილიშვილებში ხარობს, სულ მეუბნება დედისერთა იყავი, ახლა სამი შვილის პატრონი ხარო.



მე და ციცინოს მომავლის არ გვეშინია, მშენებელი ვარ, ციცინო კარგი დიასახლისია, დედაჩემიც ეხმარება და შვილების გაზრდა არ გაგვიჭირდება, სამივე ვაჟს მშენებლის ხელობას ვასწავლი და გვერდში ამოვიყენებ.

დათო ბერძენიშვილი,
ბათუმი.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ცოტაც გავიღიმოთ...



ნალდი ქართველი მძღოლია ის, ვინც სამზოლიან გზაზე, რომელზეც მანქანები ხუთ რიგად მოძრაობენ, მეექვსე ზოლს იპოვის.

* * *

მიხო მივლინებაში წასასვლელად ემზადება.

— ჩემოდანში შარვლის, პიჯაკის, პერანგისა და წინდების ჩალაგება არ დაგავიწყდეს, — აფრთხილებს ცოლი.

— შე შეჩვენებულო, მაშინ რაღა ჩავიცვა?

* * *

როდესაც, ბოლოს და ბოლოს, შეძლებ სპორტული მანქანის შეძენას, მასში ვერც ჩაეტევი.

* * *

— მითხარი, ძვირფასო, — ეუბნება ახალდაქორწინებული პეტკა ცოლს, — ჩემამდე რამდენი მამაკაცი გყავდა?

ქალი დუმს. „ალბათ, ეწყინა“, — გაიფიქრა პეტკამ და ოცი წუთის შემდეგ კვლავ ჰკითხა:

— ხომ არ გამიბრაზდი?

— არა, ვითვლი...

* * *

— ჩემს დირექტორს ჩემი დახრჩობა უნდა, — ეუბნება მდივანი ქალი დაქალს.

— რატომ გგონია ასე?

— საკმარისია, დავიგვიანო, რომ იგი ყველას ეკითხება: „სად არის ჩვენი დეზდემონა?“

* * *

— მომილოცე, ფეხმძიმედ ვარ, — ეუბნება მაშკა დაქალს.

— გილოცავ, ვინ არის ბავშვის მამა?

— იცი, რა! თუ ვინმეს ჯერ კიდევ შეუძლია ქარაფშუტობა დამწამოს, ცნობისმოყვარეობაში ვერვინ დამდებს ბრალს!

* * *

— მამი, საით მიფრინავს წერო მას შემდეგ, რაც ბავშვს მოიტანს? — ეკითხება ნიკა მიხოს.

— საით მიფრინავს, საით მიფრინავს და... კვლავ შარვალში.

* * *

— ძილის წინ წინდები ჩაიცვი, — ეუბნება ქმარი ცოლს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ფეხის თითები ულამაზო გაქვს.

— კარგი, მაგრამ მაშინ ძილის წინ შენც ჩაიცვი ტრუსები და ხელთათმანები, დაიხურე ქუდი და გაიკეთე ალიკაპი.

* * *

თვითმფრინავის კაბინაში, რომელიც პარიზში უნდა გაფრინდეს, კარგად შექეიფიანებული პილოტი შედის. ხედავს, მეორე პილოტიც გამობრუჟულია.

— შე ნაძირალა, ხომ მოვილაპარაკეთ, რომ დღეს მე უნდა დამელია? დილიდანვე რამ ჩაგახექთა სასმელი!

...

— კარგი, ჩაფრენით როგორმე ჩავფრინდებით, მაგრამ პარიზში მანქანის საჭესთან ვინ დაჯდება?

* * *

სამშობლოში რეპატრიაციის წინ სომეხი მოელაპარაკა დასავლეთში დარჩენილ ძმას, რომ, თუ საბჭოთა კავშირში ცხოვრების პირობები მძიმე იქნებოდა, უშიშროებისთვის თვალის ასახვევად, წერილს მწვანე მელნით მოსწერდა.

მალე მისგან მოდის ჩვეულებრივი მელნით დაწერილი წერილი: „ყველაფერი კარგად არის, მივიღე ბინა, სამსახური, არაფერი მაკლია. ნაკლოვანებებიც არის, მაგრამ — ფრიად უმნიშვნელო. მაგალითად, ძალიან ძნელი საშოვნელია მწვანე მელანი“.

## ფესტივალი „საჩუქარი“

# ...უთეატრებოდ დარჩენილ ქალაქში ქეთიმ ზეიმი მოაწყო



საქართველოს კულტურული ცხოვრების განახლებასა და განვითარებაში დიდ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო საფესტივალო ურთიერთობები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ასე აქტუალურია ქართული კულტურის მსოფლიო კულტურასთან ინტეგრაციის საკითხი. ფესტივალ „საჩუქრის“ გახსნიდან ათ დღეზე მეტი გავიდა და ამ ხნის მანძილზე ქართველ მაყურებელს თბილისის სხვადასხვა თეატრის სცენაზე არაერთი უცხოური სპექტაკლის ნახვის საშუალება მიეცა. ფესტივალის მსვლელობამ გარდა უცხოურისა, ქართული თეატრების (კინომსახიობთა თეატრი, თეატრალური სარდაფი, თეატრი „გლობუსი“, თავისუფალი თეატრი) სპექტაკლებიც მოიცვა. ასევე, ინგლისური, ამერიკული, თუ ბრაზილიური სათეატრო და ქორეოგრაფიული დადგმების პარალელურად, საფესტივალო პროგრამაში ჩართული იყო საერთაშორისო თეატრალური საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი რეჟისორების, ანატოლი ვასილევისა და მინდაუგას კარბაუსკისის სპექტაკლები, რომლებიც თეატრში „დრამატული ხელოვნების სკოლა“ და მოსკოვის თეატრ-სტუდიაში (ხელმძღვანელი ოლეგ ტაბაკოვი) დაიდგა. მრავალფეროვანი საფესტივალო პროგრამიდან გამომდინარე წარმოდგენილი სპექტაკლები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდნენ როგორც ფორმის, ასევე რეჟისორული ინტერპრეტაციისა და აქტიორული შესრულების თვალსაზრისით, მაგრამ ამასთან მაყურებლის განსაკუთრებული ინტერესი ა. ვასილევისა და მ. კარბაუსკისის სპექტაკლებისკენ იყო მიმართული. ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან ასეთ ავტორიტეტულ რეჟისორთა შემოქმედების გაცნობა ჩვენს თანამედროვეობაში იშვიათ სიამოვნებად იქცა, თუმცა სპექტაკლების ნახვის შემდეგ მაყურებლის და მათ შორის პროფესიონალთა მოსაზრებებიც არაერთგვაროვანი იყო...

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ანატოლი ვასილევის ორი სპექტაკლი „პუშკინის დილა“ და „K...“ წარმოადგინეს. კ. სტანისლავსკის, „რუსეთის ახალი სინამდვილის“ (ევროპის კრიტიკოსთა ჟიურის) პრემიების ლაურეატი რეჟისორისაგან, რომელსაც ასევე მინიჭებული აქვს „ქაოსის პრემია“ და რუსეთის სახელმწიფო პრემია, მაყურებელი მეტს მოელოდა. მით უმეტეს, რომ ა. ვასილევი დამაარსებელია თეატრისა — „დრამატული ხელოვნების სკოლა“. სპექტაკლი — „პუშკინის დილა“ მაყურებელზე უწინარესად მსახიობის ოსტატობის ერთ-ერთი გაკვეთილის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს. რეჟისორის ინტერესიც სწორედ ამ მიმართულებით მჟღავნდება, რომელმაც სიუჟეტური განვითარებისა თუ იდეური განსაზღვრების ძირითადი აქცენტი შემსრულებელთა ინტონაციურ გამომსახველობაზე გადაიტანა. სპექტაკლის ფორმა პუშკინის პოეზიის მიხედვით შექმნილ ერთგვარ კომპოზიციას ეყრდნობა, სადაც ვერბალური მხარის განსაკუთრებულად გააქტიურებამ თეატრალური ქმედებისა და დინამიკის პრობლემა წარმოშვა. ფაქტობრივად, მთელი სპექტაკლი აქ რეჟისორის მიერ შექმნილი თეატრის სახელწოდების გამართლებად შეიძლება ჩაითვალოს. თეატრმცოდნე ზაზა სოფრომაძის აზრით: „სპექტაკლი — „პუშკინის დილა“ პოეტური ნიმუშების დეკლამირებაა. ანატოლი ვასილევი მსახიობის ოსტატობაში განსაკუთრებულ ყურადღებას დეკლამაციას, არტიკულაციას, ფრაზის წარმოთქმის მანერას უთმობს. თუმცა ასეთი რეპერტუარის მხოლოდ თეატრის სახელწოდებით გამართლება არასწორად მიმაჩნია. წარმოდგენა მოკლებულია სანახაობითი ხელოვნების აუცილებელ თვისებებს: დინამიკას, ინტრიგას, ამბის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის ფართო მაყურებელთა წრისათვის განკუთვნილი სანახაობა. აქ, დრამატული ხელოვნების მხოლოდ ერთი კომპონენტი, ერთი გამომსახველობითი საშუალება — სიტყვა არის მაქსიმალურად განვითარებული და გამოყენებული. ეს კი, წარმოდგენის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მონოტონურობის ეფექტს ბადებს და მაყურებილს გულგრილობას იწვევს“.



ა. ვასილევის ამ და ზოგადად სხვა ექსპერიმენტულ რეჟისორული ძიებების შესახებ თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძე აღნიშნავს, რომ — „ა. ვასილევი ერთხანს თეატრალური სპექტაკლების უარყოფამდეც კი მივიდა (მახსოვს მისი შესანიშნავი სპექტაკლები. სტანისლავსკის სახელობის თეატრში — „სერსო“ და „უფროსი ქალიშვილი“...) თავისი ახალი დადგმებით იგი შემოქმედებით აღმავლობას განიცდის — (ძალიან ბევრ სპექტაკლებს დგამს უცხოეთის სახელგანთქმულ თეატრებში), სწორედ თვისობრივად ახალი ძიებების ეტაპზე. „პუშკინის დილა“ და „K....“ სწორედ ასეთი ძიებების შედეგია. უეჭველად საინტერესო ნამუშევრებია, მაგრამ, რაც ვიცოდი ა. ვასილევზე, რაც წამიკითხავს და მინახავს, ჩემთვის მოულოდნელი არაფერი იყო“. აზრთა სხვადასხვაობით გამოირჩეოდა ა. ვასილევის მეორე სპექტაკლიც — „K..“, რომელიც ასევე რეჟისორის ექსპერიმენტული ძიებების ერთ-ერთ შედეგად ითვლებოდა. სპექტაკლი ამ შემთხვევაშიც ა. პუშკინის პოეზიის მიხედვით არის შექმნილი და გაჯერებულია ვოკალით.

ინტერესს მოკლებული არ იყო რეჟისორ მინდაუგას კარბაუსკისის სპექტაკლი — „ოდეს ვკვდებოდე“, რომელიც ცნობილი ამერიკელი მწერლის ფოლკნერის რომანის სცენური ინტერპრეტაციაა. ამ წარმოდგენაში რეჟისორის უმთავრესი პრობლემა პროზაული ტექსტის სცენურ ენაზე ამეტყველება იყო, პრობლემა ბოლომდე ვერ იქნა დაძლეული. მიუხედავად მსახიობთა მაქსიმალური მცდელობისა და რამოდენიმე საინტერესო მიზანსცენისა, მთლიანობაში სპექტაკლი სქემატიზმით და მოქმედების განვითარების ერთფეროვნებით გამოირჩევა. ნოდარ გურაბანიძე მიიჩნევს, რომ „სპექტაკლი „ოდეს ვკვდებოდე“ ბალტიისპირეთის რეჟისორთა ახალი ტალღის წარმომადგენლის ნამუშევარია. ეს რეჟისორი მთლად „გარუსებულა“ — ფოლკნერის სამყარო, ჩვენთვის ცნობილი მწერლის შესანიშნავი რომანებიდან, უმალ ღრმა რუსული პროვინციის „მუჟიკების“ სპექტაკლია, მსახიობებიც „გულიანად“ თამაშობენ, მაგრამ არანაირი ორიგინალური რეჟისორული სვლა აქ არ არის-. ზაზა სოფრომაძე კი აღნიშნავს, რომ — „ეს ნაწარმოები ფოლკნერისეული მანერის ერთ-ერთი საუკეთესო გამოვლინებაა შიდა დინებებით, მოქმედების დროში გადანაცვლებით, პერსონაჟთა შინაგანი მონოლოგებით უფრო გამოირჩევა, ვიდრე სიუჟეტის თანმიმდევრული განვითარებით. მიუხედავად ამისა, რეჟისორმა მსახიობებთან ერთად მოახერხა ფოლკნერისეული ფარული დრამატიზმისა და პერსონაჟთა მკვეთრი ინდივიდუალობის ჩვენება“.

ბატონმა ნოდარ გურაბანიძემ ჩვენთან საუბარში აგრეთვე აღნიშნა:

**„ორიოდე სიტყვით მსურს გამოვხატო ჩემი ღრმა პატივისცემა ქ-ნ ქეთი დოლიძის (და მისი პარტნიორების მიმართ) თეატრალური ფესტივალის „საჩუქრის“ გამო. საკუთარი გამოცდილებით ვიცი, თუ რაოდენ ძნელია ასეთი მასშტაბის, ასეთი მრავალფეროვანი ფესტივალის გამართვა. მსოფლიო თეატრალურ პრაქტიკაში არსებობს ფესტივალების ჩატარების დიდი გამოცდილება. ამგვარი ფესტივალების უკეთ ორგანიზების მიზნით შექმნილია მუდმივმოქმედი საორგანიზაციო სტრუქტურები, რომლებიც წლიდან წლამდე მუშაობენ პროგრამების დახვეწაზე და რთული პროექტების განხორციელებაზე. ედინბურგის, ავინიონის, ბიტეფის ფესტივალებზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია დავასახელოთ ჩეხოვის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება, რუსეთის პრეზიდენტის პატრონაჟით და სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების დიდი მორალური და მატერიალური ხელშეწყობით სარგებლობს. ჩვენს გაღატაკებულ, ჯერჯერობით უთეატრებოდ დარჩენილ ქალაქში კი, ქეთი დოლიძე აწყობს ამ მშვენიერ და უკვე პოპულარულ ფესტივალს. რამდენადაც ვიცი, ამ ფესტივალის დირექცია (თუ კი არსებობს ასეთი) უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდება, ვიდრე მხარდაჭერას... ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ ქ-ნ ქეთისთანა ენერგიული, კომუნიკაბელური, დიდ ფესტივალთა ასპარეზზე გასული, ავტორიტეტიანი მოღვაწეები ამ სფეროში საერთოდ არა გვყავს და მას საყოველთაო მხარდაჭერა უნდა აღმოვუჩინოთ...**

**ფესტივალი „საჩუქარი“ ხვალ საზეიმოდ დაიხურება აბანოთუბანში, ქართველი მომღერლების მონაწილეობით.**

ნერონ აბულაძე,
თეატრმცოდნე.

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ოდეს ვკვდებოდე“.**

## ხსოვნა

### ვლადიმერ (ლადო) ბახუტაშვილი



ქართულმა ეროვნულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამედიცინო ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი **ვლადიმერ (ლადო) ბახუტაშვილი.**

ლადო ბახუტაშვილის შრომებს იცნობდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოება, იგი სისტემატურად გამოდიოდა ლექციამოხსენებებით სიმპოზიუმებსა და კონფერენციებზე საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, იტალიაში, ბელგიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, არჩეული იყო ამ ქვეყნების მეცნიერებათა თუ სამედიცინო აკადემიების წევრად, სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტითა და პატივისცემით. მას მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში იცნობდნენ, როგორც მრავალი ფართოდ გახმაურებული წამლის, მათ შორის უპირველესად ინტერფერონის შემქმნელს, ზედმიწევნით განათლებულსა და მაძიებელ მეცნიერ-მედიკოსს, ადამიანებზე მზრუნველსა და მოყვასისადმი სითბოთი გამსჭვალულს.

ლადო ბახუტიშვილი იყო უაღრესად ნათელი პიროვნება, რომლის მსგავსი ძალზე იშვიათად შეიძლება შეგხვდეთ ცხოვრების გზაზე, ღირსებით სავსე და კეთილშობილი. თავმდაბალი და ყველა საუკეთესო ქართული თვისებით გამორჩეული, ოჯახის, მეგობრების, ახლობლების უსაზღვროდ ერთგული, საქართველოს პატრიოტი და მშობელი ხალხის კეთილდღეობისკენ მიმართული, ენერგიით, იუმორითა და იმედიანი განწყობით გამორჩეული, მაგალითის მიმცემი თბილისელი, ყველას მოყვარული და მხარში მდგომი, მეცნიერებათა მრავალი კანდიდატისა და დოქტორის უანგარო აღმზრდელი, თავად ყველასთვის საყვარელი და სასურველი ადამიანი, ვისაც კი მასთან რაიმე ურთიერთობა ჰქონია. როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, ის იყო ჭეშმარიტი კაცური კაცი, სახელოვანი მამულიშვილი.

ძნელზე ძნელია ამ სიცოცხლით სავსე იშვიათ პიროვნებაზე წარსულ დროში საუბარი, რაც ძლიერი მწუხარებითა და გულისტკივილით გვავსებს, მხოლოდ ერთადერთი იმედი გვანუგეშებს, რომ ლადო ბახუტაშვილის მაღალ სახელს თბილისსა და საქართველოში არასოდეს დავიწყება არ უწერია.

**საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრების, თანამშრომლებისა და ლექტორების სახელით გამგეობის თავმჯდომარე ნუგზარ წერეთელი.**

### ვლადიმერ ბახუტაშვილი



ქართულ საზოგადოებაში, ღვთის წყალობით, იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი არსებობით, ადამიანური და საქმიანი თვისებებით თავისთავად ხდებიან ეტალონი ადამიანთა ფართო წრისათვის.

ადამიანთა ასეთ კატეგორიას უდავოდ მიეკუთვნებოდა **ვლადიმერ ბახუტაშვილი** — აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რომლის გარდაცვალებამ დიდად დაწყვიტა გული თბილისის და მთლიანად საქართველოს ფართო საზოგადოებრიობას. სამედიცინო მეცნიერებაში ბატონი ლადოს დამსახურების და ღვაწლის ჩამოთვლა უკიდეგანო საქმეა. მისი ღირსების აღწერისთვის ეს საჭირო ალბათ არც არის. აღვნიშნოთ თუნდაც მარტო ნიშანდობლივი მომენტები: ბატონი ლადოს თაოსნობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წიაღში დაარსდა სამედიცინო ბიოტექნოლოგიების ინსტიტუტი, ბატონი ლადო იყო შემოქმედი მედიცინაში ფართოდ დანერგილი პრეპარატებისა, რომელთა სამედიცინო და ბიოლოგიური ღირებულების კვლევა დღესაც მიმდინარეობს მსოფლიოს წამყვან სამედიცინო ცენტრებში, ბატონმა ლადომ აღზარდა მეცნიერ-მკვლევართა მთელი არმია, რომლებიც დღესაც და მომავალშიც, იმედია, გააგრძელებენ მის საქმეს და იქნებიან ქართული საბუნებისმეტყველო მეცნიერების სამსახურში.

ძნელი მოსაძებნია, ვფიქრობთ, ადამიანი, რომელიც ბატონი ლადოს დარად შეძლებდა გულწრფელი ადამიანური სითბოს, კაცთმოყვარეობის, ერთგულების, ტკბილმოუბრობის, დელიკატურობის და, ამავე დროს, საქმიანი თვისებების გამოვლინების მაგალითის მიცემას ირგვლივ მყოფთათვის — ახალგაზრდასა თუ მოწიფული ადამიანებისთვის.

მძიმეა იმის გაცნობიერება, რომ ბატონი ლადო აღარ არის ჩვენს შორის, მაგრამ მის მიერ დატოვებული სიყვარული, სითბო და საქმე მისი არდავიწყების გარანტიაა ადამიანთა ძალიან ფართო წრისთვის მრავალი ათეული წლის განმავლობაში.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.**

---

გურამ და დავით ტატიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, ცნობილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

ვლადიმერ (ლადო) ივანეს ძე ბახუტაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

სს „აკად. კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი“, საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრა ღრმა მწუხარებას გამოხატავენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს

ვლადიმერ ბახუტაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ამირან გამყრელიძე და მარინე კვეზერელი-კოპაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის, ქართული იმუნოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ

ლადო ბახუტაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

ვახტანგ დავითაია და ირაკლი მეგრელიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, აკადემიკოსი

ლადო ბახუტაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

---

რევაზ სეფიაშვილი, რემ პეტროვი, ვალერი ჩერეშნევი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, აკადემიკოსი

ვლადიმერ ბახუტაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

თერაპიის ეროვნული ცენტრის — თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ბიოტექნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი

ვლადიმერ ბახუტაშვილი

პანაშვიდი 17, 18 VI, 16 სთ. გამოსვენება 19 VI, 14 სთ. მისამართი გამსახურდიას პრ. № 9, სად. 2-ე, სართ. IV.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან აკადემიკოს

ვლადიმერ ბახუტაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ლარის კურსი

### 17 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლ. გირვ. სტერ. | 1 | 3.2868 ლ. |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8175 ლ. |
| ევრო | 1 | 2.2050 ლ. |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0636 ლ. |
| აზერბაიჯ. მან. | 1000 | 0.3835 ლ. |
| სომხური დრამი | 100 | 0.3984 ლ. |
| უკრაინული გრივ. | 10 | 3.6205 ლ. |

## ამინდი

| 18 ივნისი | ☼ | ) |
|---|---|---|
| თბილისი | 32⁰ | 17⁰ |
| ბათუმი | 27⁰ | 16⁰ |
| თელავი | 30⁰ | 16⁰ |
| სოხუმი | 26⁰ | 15⁰ |
| ქუთაისი | 26⁰ | 15⁰ |

---

მეუღლე ლილი, შვილები მარიკა, ვანო ლოლაშვილები, რძალი მარინა ღვედაშვილი, სიძე თამაზ ზუბიაშვილი, შვილიშვილები კოტე, გიორგი ლოლაშვილები, ნინიკო ზუბიაშვილი, ძმა კაკო, რძალი თამრიკო, ძმისწულები გიორგი, ლალი ლოლაშვილები, მძახლები ანზორ, მაყვალა ღვედაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

კოტე ივანეს ძე ლოლაშვილი

დაკრძალვა 18 VI, 14 სთ. დიდოფლისწყაროში, ევდოშვილის 6.

---

გურამ გომართელი ოჯახით მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობრის რამაზ ფანცხავას მეუღლე

რუსუდან დიდიძე-ფანცხავა.

---



სს „საქწყალპროექტის“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი ინჟინერ-გეოლოგი

ჯემალ (ბიძინა) ბექანიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



დედა ვერა ორაგველიძე, მეუღლე რევაზ გიგინეიშვილი, შვილები დავითი, გიორგი, ძმისწულები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თალიკო რიბზინოვსკაია-გიგინეიშვილი

პანაშვიდი 19, 20 VI, გამოსვენება 21 VI, 14 სთ. მისამართი: ღრმაღელის დასახლება კორპ. 10 ა, მე-2 შესასვლელი, მე-8 სართული, ბინა 22.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომლის ოთარ გამყრელიძის და ქალბატონი

არეთა (ნელი) გამყრელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს რუსეთ-საქართველოს საქმიანი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ფიფიას მამის

სერგო მოსეს ძე ფიფიას

გარდაცვალების გამო.

## ისარგებლეთ ცხელი ხაზით!

საპატრულო სამსახური — 022;
გენერალური პროკურატურა — 99-74-10;
შინაგან საქმეთა სამინისტრო — 99-53-50;
საგარეო საქმეთა სამინისტრო — 28-47-47;
ფინანსთა სამინისტრო — 22-17-80; 22-09-24;
იუსტიციის სამინისტრო — 75-82-21;
ჯანდაცვის სამინისტრო — 94-34-98;
ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო — 38-47-98;
სოფლის მეურნეობის სამინისტრო — 98-57-81;
ეკონომიკური განვითარების სამინისტრო — 98-23-58; 50-69-00;
შსს სანებართვო განყოფილება — 98-57-01;
კონტროლის პალატის გენერალური ინსპექცია — 95-30-81; 96-71-78;
თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექცია — 23-56-73;
საქართველოს სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 39-52-47;
თბილისის სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია — 37-78-70;
შხამიანი ქვეწარმავლების გაუვნებელყოფის სამსახური — 22-61-48; 22-33-53;
ერთიანი საპენსიო ფონდი — 69-65-93; 69-65-94.
კატასტროფების ცენტრი, გადაუდებელი და სასწრაფო დახმარება, რეანიმობილის მომსახურება — 24 საათი; პაციენტის გადაყვანა რეგიონული სტაციონარებიდან თბილისის კლინიკებში — 51-77-37.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი — „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.

CYAN BLACK